

ჭელიძე ჩაკვეტაძე
(ვასო ბაძან)

მეამბოხის იდეალი და კრიტერიუმი



გატენა და გადაიგდო, — ფუ, გამჩენი გაგიწყდეს!

ჭელიძე ჩაპვეტაძე

(ვასო ბიძია)

მეამბოხის იდეალი და კრიტერიუმი



გატეხა და გადააგდო, – ფუ, გამჩენი გაგიწყდესა!

პროლიტი

„ადამიანი თავისი ბუნებით მეამბოხეა“.
დოსტოევსკი

„სადაც არ არის სიყვარული იქ არც სიკეთეა“.
ბერდიავი

„კაცი ან ეშმაკთან უნდა იყოს, ან ღმერთთან; შუაში
არავინ გაჩერებულა, ვერც შენ გაჩერდები“.
გვეტაძე

ჩემი პუბლიცისტური სტატიების კრებული „მეამბოხის
იდეალი“ მცდელობაა იმისა, რომ ფართო საზოგადოებამ ყუ-
რადლება მიაქციოს თავისი წევრების იმ კატეგორიას, რომე-
ლიც ვერ უგუვდება იმ მოთხოვნებს, რომელსაც მას არსებული
სინამდვილე უყენებს, ობიექტურად მოაზროვნე კაცს უნდა
ჰქონდეს მისწრაფება, რომ დროისა და სივრცის შესაფერისად
იზრუნოს საზოგადოების კულტურული, ინტელექტუალური
და ეკონომიკური დონის ასაწევად და სამართლიანობის და-
სამკვიდრებლად. ამ „თავისუფალ საქართველოში“ კომერცია
ისე პარპაშობს, როგორც მას აწყობს, ანგარიშს არ უწევს არც
საზოგადოებრივ ტრადიციებს და არც მთავრობის დადგენი-
ლებებს. რაც ხალხში უიმედობის, უიდეობის და უპატრონობის
განცდას იწვევს, გაზეთ „ასაგალ-დასაგალის“ მიერ გასული
წლის 20 ივნისს გამოქვეყნებული ინფორმაციით ქალაქს და
რესპუბლიკას ეცნობა, რომ „ასტრაზენკა“ (ვაქცინა) რომელმაც
ახალგარდა ექთანი მევი ბაქრაძე იმსხვერპლა, საქართველოში
სწორედ მაშინ შემოიტანეს, როდესაც ევროპაში შეჩერებული
ჰქონდათ მისი გამოყენება ლეტალური შედეგების გამო. განა
ეს უკონტროლობა არ არის?! გასულ წელში რომ მშენებლების
უკონტროლობის გამო მოსწავლე ქალიშვილი დაიხრჩო საცურაო
აუზში ელექტროდენის დაზიანებული კაბელის გამო, განა ეს
ტრაგედია უყურადღებობის და უპასუხისმგებლობის შედეგი არ
არის?! თვითეულმა გამოცდილმა კაცმა იცის, რომ შემთხვევის

გაანგარიშების შანსი არ არსებობს, ან თუ არსებობს ისე მინი-მალურია, რომ მისგან თავს ვერ დაიხსნი. მაგრამ ჩვენს მიერ დასახელებულ არგუმენტებს შემთხვევითობას მხოლოდ იპოტე-ტურად მოაზროვნე ბრიყვი თუ მიაწერს, თორემ ნორმალური კაცი ასეთ სიბრიყვეს როგორ დაიჯერებს. იგი ხომ საქმისადმი ჰაი-ჰაირად დამოკიდებულების შედეგია.

დღეს თვითეულმა დაკვირვებულმა კაცმა იცის, რომ სახელ-მწიფო სამ ძირითად ბურჯეს ეყრდნობა: ინდუსტრიას, სოფლის მეურნეობას და ვაჭრობას. ეს ბურჯები ანექსირებულ საქარ-თველოს ავად თუ კარგად გააჩნდა. ინდუსტრია ჩვენში ისე განადგურდა, რომ თბილისში დამზადებულ ლურსმანსაც ვერ წააწყდები სადმე. სოფლის მეურნეობა, როგორც საქმეში ღრმად ჩახედული კაცები ამბობენ, მთელი ისტორიული ეპოქით ჩამორ-ჩა გარემომცველი სამყაროს ქვეყნებს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ვაჭრობას ჯერ კიდევ უდგას სულიო, საშინლად ცდება. ჩვენში ვაჭრობის ფუნქციას სპეცულაცია ეწევა, რომელიც ვაჭრობის უკანონო აქსესუარია. უკანონო შვილია, რომელიც უშვილობით გამოწვეული მდგომარეობის გამო მთავრობამ კანონიერ შვილად აღიარა და 34 წლის ნაშვილებს სააკვანე შვილივით უფრთხილ-დება და თავზე ევლება.

ლმერთი ხედავს, თუ როგორ პარპაშობენ ლვთიშობლის წილხვედრ მინაზე „Надменные потомки известной подлостьюю прославленных отцов“ მაგრამ არ მოქმედებს. ეს უმოქმედობა საზოგადოების დიდ ნაწილში ეჭვს აღძრავს, მის არსებობაში.

მის მიერ ადამიანისადმი ბოძებული თავისუფალი არჩევანის უფლება ჩანჩურას აპოლოგეტებისათვის ისეა საჭირო, როგორც ღორისთვის ძვირადღირებული კულონი და ოქროს ძენკვი.

ცოდნის ხის ნაყოფის გამოყენების აკრძალვა საღად მოაზ-როვნე თითეულ ადამიანში აღძრავს კითხვებს: რატომ უნდო-და ღმერთს რომ ადამიანი უვიცობაში და გაუნათლებლობაში ჰყოლოდა?! რატომ არ უნდა ყოფილიყო ადამიანი გამიჯნული ცხოველისაგან?! სწამს რამე ჩანჩურას გარემოცვას ღმერთის ან კაცის?! ვფიქრობ, რომ ისინი ნამდვილი ათეიისტები არიან, თორემ ქურუმების მიერ ათეიისტებად მონათლულმა კაცებმა, რომლებსაც „ნათლიების“ მიერ შემოთავაზებული ღმერთი არ

სწამთ, თორემ: კაცობის, ქალობის, სინდის-ნამუსის მეგობრობის, სიყვარულის და სხვა კეთილშობილური გრძნობების შემეცნებაში ნამდვილი ღრმად მორნშუნეები არიან.. ასეთმა კაცებმა რომ ამ თვალუწვდენელ სამყაროში რომელიმე გალაქტიკის რომელიმე პლანეტაზე სამართლებრივი სახელმწიფო აღმოაჩინონ (დედამიწაზე ასეთი სახელმწიფოს არსებობა სრული ილუზია) და მის სასამართლოში საჩივარი შეიტანონ ცილისწამების თაობაზე. გნამდეთ რომ ჩვენი ეკლესიების, მეჩეთების და სინაგოგების ქურუმები მკაცრად დაისჯებიან. მაგრამ უსამართლო ქვეყანაში სადაც როგორც შექსპირი ამბობს

„დევნილია ჭეშმარიტი სრულყოფილება და უბინობა გათელილა უხეშად, მკაცრად და ძლიერება უძლურებას ემორჩილება და ბრმად გვიჩვენებს თავს რეგვენი გამობრძმედილი. და თავის მონად უქცევია ბოროტს კეთილი (იხ. სონეტი 66) ვის რა ჯავრი აქვს ან შენი და ან შენი ჩანჩქრების. მთლად რომ შეგჭამოთ შენ და შენი ჩანჩქრა არტაშას მურამ, გნამდეს, რომ დიდად არვინ შეწუხდება და არც დაზარალდება, განა ასეთი დამოკიდებულება ადამიანებისადმი დასაგმობი არ არის!?

არსთა განმრიგის მიერ მაკროკოსმოსად გაჩენილი ადამიანი მიკროკოსმოსურობამდე ქვეითდება და მისი დეგრადაციით არავინ წუხს, განა ეს საპატიოა?!

ძველ საბერძნეთში იდეალისტებსა და მატერიალისტებს შორის დაწყებული ომი, რომელიც გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობამ ღმერთის არსებობასა და შემოქმედებაზე, დღემდე გრძელდება. პირველი ირწმუნებიან, რომ სამყაროს და მასში არსებული ყოველი არსის სუბსტანციას ღმერთი წარმოადგენს მატერიალისტები კი გვასწავლიან რომ „მატერია არის მარად მოძრავი სუბსტანცია, რომელიც არც წარმოშობილა და არც მოისპობა იგი ობიექტურად არსებობს სივრცეში და დროში... ყველაფერი რაც ხდება სამყაროში არის მატერიის შინაგანი კანონზომიერება. თვით ადამიანი და მისი ცნობიერება მატერიის განვითარების და მისი ევოლუციის შედეგია“ ეს ომი დღემდე გრძელდება და კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

დედაკაცთაგან შობილთა შორის კაცობრიობის განვითარების მთელ მანძლზე, არ გამოჩნდა კაცი, რომელიც გააგები-

ებს ამ „განათლებულ“ ხალხს რომ მათი ომი ლილიპუტების და მათი მეზობელი კუნძულებების ომს ჰგავს, რომელიც მათმა მთავრობებმა დაიწყეს იმის გამო, რომ ლილიპუტების იმპერიის კანონმდებლობის მიხედვით კვერცხი წვერიდან უნდა გატეხონ, ხოლო კუნძულებები ფსკერიდან ტეხავენ, რაც იმპერიის კანონის მიხედვით დიდ ცოდვად ითვლება. (იხ. ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“).

ღმერთმა შექმნა ადამიანი თუ ადამიანმა ღმერთი ამის ცოდნა და გარკვევა კარგი საქმეა, მაგრამ მასზე უფრო კარგი ის იქნება, რომ ადამიანი ღმერთს ემსახურებოდეს და არა სატანას.

კაცმა შეიძლება დიდი და სასახელო სამსახური ვერ გაუნიოს ღმერთს, რადგან ეს დიდ უნარს მოითხოვს, რომელიც შეიძლება მას არ ჰქონდეს, მაგრამ ის მაინც უნდა შესძლოს, რომ ღვთის გმობით სატანა არ გაახალისოს.

ბებრებმა იციან და ჯეელებმა უნდა გაიგონ, რომ კაიკაცობის კრიტერიუმი არის პატიოსანი ადამიანებისადმი მხარდაჭერა სულიერად და შესაძლებლობის ფარგლებში ზოგჯერ ეკონომიკურადაც, მათი ჭირისა და ლხინის გაზიარება და ყურადღებიანობა.

მოცემული წიგნის ლეიტმოტივი არის კაცთა შორის იმ წინააღმდეგობების დაძლევაზე ზრუნვა, რომლებიც მას მთელი ცხოვრების მანძილზე ერთგული ძალლივით დასდევს ყველგან. ამ წინააღმდეგობებში ლომის წილს ფლობს წარმოებული დოვლათის განაწილების პრინციპის დარღვევა. სხვა წინააღმდეგობები შეიძლება მის აქსესუარებად ჩაითვალოს. ისინი ერთად ქმნიან იმ უზარმაზარ წინააღმდეგობას, რომლის გადალახვაზე დიდი ხანია ზრუნავენ კეთილი ნების ადამიანები, მაგრამ ბევრი არაფერი გამოსდით. ბებერი ლომი ყველგან სუქდება და ბებერი ხარი ყველგან მჭლევდება, რაც იწვევს უკმაყოფილებას ფართო მასებში. იგი ხშირად გამოიხატება გაბატონებული პრეროგატივების წინააღმდეგ გამართული დემონსტრაციებით, მიტინგებით, ამბოხებებით და ზოგჯერ შეიარაღებული აჯანყებებით.

ამბოხი ნიშნავს ხალხის პროტესტის გამოხატვას პრეროგატივების უყურადღებობაზე, ზოგჯერ უკანონობაზე.

შინაარსის მიხედვით ამბოხება შეიძლება იყოს პროგრესული ან რეგრესული, თუ იგი რეგრესულია და ხალხს სიკეთის წინააღმდეგ აქტებს და აგულიანებს აუცილებელია მისი უარყოფა ჯერ მენტორული საშუალებებით, ხოლო შემდეგ კანონით გათვალისწინებული მეთოდებით. მეამბოხემაც და კონფორმისტმაც დაზარალებულმაც და დამზარალებელმაც უნდა დაიჯეროს ჯაბა იოსელიანისეული მენტორული დარიგება: რომ „დემოკრატია ლობიობა არ არის“.

რაც შექება პროგრესულ ამბოხს იგი კი არის მხარდასაჭერი ღონისძიება, მაგრამ სანამ მხარდაჭერას გამოხატავდეს, მოქალაქე ღრმად უნდა დაუკვირდეს მეამბოხეთა მოთხოვნებს და თუ ნამდვილად პროგრესულია უნდა გაჰყვეს.

ორად გაყოფილ წუთისოფელში, რომელშიც ერთად უხდება ცხოვრება მდიდარსა და ღარიბს, გმირს და ლაჩარს, პრძენს და რეგვენს, ბოროტს და კეთილს, ბეპერს და ჯეელს, ზარმაცს და მამაცს, მახინჯს და იმპოზენტს, სუსტს, ძლიერს, სწავლულს და უსწავლელს, უვიცს და მცოდნეს, კონფორმისტს და მეამბოხეს, ყველას გააჩნია თავისებური ხასიათი, ნიჭიერება, ტემპერამენტი, აზროვნება, წარმოსახვა, აღქმა, გრძნობა, შეგრძნება, ილუზია და ფანტაზია ძნელია მათ შორის მორიგების შანსების გამონახვა, მაგრამ არსთა განმრიგემ იმიტომ მისცა გონება ადამიანს, რომ გამოძიოს სასიცოცხლო საშუალებები და გამოიმუშაოს სხვა არსებებთან ურთიერთობის უნარი.

კაცთა ცხოვრებაში ფიგურირებს ორი ერთმანეთთან შეურიგებელი ფაქტორი, სიკეთე და ბოროტება. პირველის განსახიერებას წამოადგენს ღმერთი, მეორის-სატანა. როგორც ეპიგრაფში გამოთქმული აზრი გვატყობინებს: „მათ შუა ჯერ არავინ გაჩერებულა“ და ვერც მომავალში გაჩერდება ვინმე. ღმერთი კი ექაჩება თავისკენ ადამიანს, მაგარამ სატანა უფრო აქტიურობს და თავის ფერხულში ითრევს კაცთა მოდგმის უმრავლესობას და თუ ღმერთმა აქტიურობას არ მოუმატა, ადამიანი, რომელიც ეკლესიამ ღმერთის ქმნილებად მიიჩნია, ისე მარტივად ჩავარდება ჯოჯოხეთში, როგორც ჭრელი პეპელა შხამიანი გველის ხახაში.

უტვინო პეპელას, რომლისთვისაც არსთა განმრიგეს სილამაზის მეტი ვერაფერი გაუმტეტებია, გველის ხახა ყვავილი

ჰერონია და თვითონვე უვარდება შიგ იმ იმედით, რომ მისგან ნექტარს ამოწოვს.

ადამიანი, რომელსაც სწავლულები და მეცნიერები მაკრო-კოსმოსურ არსად მიიჩნევენ, თავისივე ნებით რომ უერთდება იმ არმიას, რომელსაც სატანა ჯოჯოხეთის ჯურლმულებისაკენ ერეკება, ეს ჭკვიან კაცებში დიდ განცვიფრებას იწვევს.

ადამიანის იდეალი ხშირად უკავშირდება უმაღლეს ცნებას, რომელსაც სიცოცხლის აზრს ეძახიან, რომლის ფუნქცია ორგვაროვანია-უარყოფითი ან დადებითი. უარყოფითია მაშინ, როცა ამტკიცებს სიცოცხლის უაზრობას, ცხოვრების უმიზნობას, ღირებულებათა ამაოებას და მოჩვენებითობას. ასეთი კონცეფცია არის პესიმიზმის და მიზანთროპიის საფუძველი.

დადებითი შეფასება ნიშნავს ცხოვრების ღირებულების და-დებითად ალიარებას, უმაღლესი მიზნების ძებნას და პრძოლას მათი განხორციელებისათვის. ასეთი კონცეფცია ყოველთვის იყო და არის ჰუმანიზმისა და ორგანიზებულობის საფუძველი.

ადამიანთა არსებობა არის მიზანი და არა მხოლოდ საშუალება რაღაცისა და ვიღაცისთვის, რაც ყოველთვის იყო ხელსაყრელი ნიადაგი ჩაგვრის, მონობის, ძალადობის და ექსპლოატაციის შენარჩუნებისათვის.

ყველას და მათ შორის ყველაზე მეტად მეამბოხებმა უნდა იცოდნენ ბარბიუსის შეხედულება: რომ „ყველაზე მაღალი იდეების ქადაგებაც კი არაფერს ემსახურება, თუ ვერ ხედავს სწორ გზას მათ მისაღწევად“.

ჩვენი ცხოვრება სავსეა ათასნაირი საშინაო და საგარეო წინააღმდეგობებით, რომელთა დაძლევა ჩვენს მომიტინგებს, დემონსტრაციებს და ყოველი რჯულის მეამბოხეებს ტრანსპარანტებით, ლოზუნგებით, ლანდვა-გინებით და ზოგჯერ უხეში ძალითაც უნდათ, რაც მათი თვალსაწირის სიმოკლეზე და უანგარიშობაზე მიგვითითებს.

მათ აუცილებლად უნდა გაუწიონ ანგარიში ადილელი ხალხის ბრძნულ დარიგებას: „მკლავი მოსინჯე, ღონე გაიგე, ვიდრე მძიმე ტვირთს მხრებზე გაიდებ“. წინააღმდეგ შემთხვევაში წითელ ან მიხაკისფერ ჭაობში აღმოჩნდებიან.

არც პოლიციის მუშაკებს აწყენთ ჯაბა იოსელიანისეული აზრის შეხსენება: რომ „დემოკრატია ლობიობა არაა“ და დე-მოკრატია სხვა არაფერია თუ არა კანონის დიქტატურა.

სტალინის ვასიამ პატარა ბიჭობაში თანაკლასელი ბიჭი დაჭრა დანით. ახალგაზრდა პოლიციელმა დამნაშავე ბავშვი დაიჭირა და მილიციაში წარადგინა... უთხრეს: ეს ბიჭი სტალინის შვილია, როგორ გაძევდე მისი დაჭერაო – დანაშაულისთვის ბიჭს კი არა მამამისს დავიჭერო – გასცა პასუხი. ქრილობა დიდად საშიში არ შეიქმნა და ექიმმა საქმეს სწრაფად მოუარა. ბავშვი იოლად გადარჩა. მოენეს სტალინთან მიუტანია მილიციელის სიტყვა. სტალინს მილიციელი გამოუძახია და უკითხავს: „რას იზამ, ვასიას მამამ რომ დანაშაული ჩაიდინოსო“. მილიციელს ფერი ეცვალა... სტალინმა მოუწონა სიტყვა და მენტორული დარიგებაც მისცა: „ყოჩაღ ყმანვილო, ასეც უნდა, ვინც წესრიგს დაარღვევს, ყველა უნდა დაიჭირო“-ო.

ეს ფრაგმენტი მაჩვენებელია იმისა, რომ პასკვილანტების მრავალრიცხვობანი არმიების აზრით დიქტატორობის ეგიდით გალალებული სტალინი, კაცთა შორის სამართლიანობის დამკვიდრების საქმეში კანონის დიქტატურას სცნობდა, რაც მისი დემოკრატიულობის წისქვილზე ასხამს წყალს.

აკადემიკოსი ზელიძე ჩაკვეტაძე
4-III 2024 ნ.

შემოქმედებითი შრომის აკოლობის

„ბოლოს და ბოლოს თვით ღმერთებიც რანი არიან
რომ ადამიანს არ შეეძლოს ღმერთად გადიქცეს“.

მილტონი

„შრომა აკეთილშობილებს ადამიანს“.
ბელინსკი

ო უძლეველო დიდო წამო შემოქმედების ახლა
ყველაფერს ყველაფერს ვემნი ახალი ღმერთი“.
გალაკტიონი

ენგელსისეული შეხედულება „შრომამ შექმნა ადამიანი“
ნათელყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანი (ნამდვილი ადა-
მიანი და არა ჰომო) შექმნა შრომამ. ენგელსისეული განმარ-
ტება ფრაგმენტული ხასიათისაა ენგელსის პირველი სიტყვა
დასახელებული წინადადებისა საჭიროებს მსაზღვრელ წევრს
„შემოქმედებითმა“-ს და მივიღებთ სრულ განმარტებას, რომ
„შემოქმედებითმა შრომამ შექმნა ადამიანი“. წინააღმდეგ შემ-
თხვევაში კრიტიკანულად მოაზროვნე კაცმა შეიძლება გაიფი-
ქროს, რატომ სხვა არსებები არ აქცია მოაზროვნებად: ხარე-
ბიც შრომობენ, ცხენებიც, ვირებიც... ჭიანჭველებიც, მაგრამ
მოაზროვნებად არ გადაქცეულან. ისინი სამუშაოს ასრულე-
ბენ ყოველგვარი მანიპულაციის გარეშე. უძველესმა ადამიანმა
კი შრომის მანიპულირება დაიწყო, რამაც იგი შემოქმედებითი
შრომის ავტორად აქცია.

შემოქმედებითმა შრომამ აიძულა ჩვენი შორეული წინაპარი,
რომ სამუშაოს შესრულებისას და მოძრაობისას უკანა კიდუ-
რებს დაყრდნობოდა და ზედა კიდურებით ეშრომა ან ებრძოლა.
შრომა და ბრძოლა აიძულებდა მას გონივრულად და აქტიურად
ემოქმედა.

ერაკში, ბარდა-ბარკაში აღმოჩენილია უძველესი მობინა-
დრეების ქვის იარაღები, რომელთა ასაკი 100 000 წლით განი-
საზღვრება (იხ. შარაშენიძის „შუმერები და მათი კულტურა“) ეს
აღმოჩენა დამადასტურებელია იმისა, რომ კოგნიტური რევო-

ლუცია უნდა დაწყებულიყო არა 70 000 არამედ 100 000 წლის წინათ. ეს რევოლუცია (რომელსაც მე ევოლუციად მივიჩნევ) გაგრძელდა 90 000 წელიწადს სასოფლო-სამეურნეო რევოლუციამდე, რომელიც დაახლოებით 10 000 წლის წინათ მოხდა.

შარაშენიძის მიერ მოწოდებული აზრი, ჰომოების გაადამიანების შესახებ იძლევა ერთადერთ, მაგრამ მყარ არგუმენტს იმის შესახებ, რომ გაადამიანებული ჰომო ხელს ჰკიდებს „შემოქმედებითი“ საქმიანობის სათავეს პირველყოფილ „ხელოვნებას“.

სიტყვა ხელოვნება ქართულ ენაში დაკავშირებულია ხელთან, ხელით შრომასთან. დიალიქტიკურ-მატერიალური თეორია შრომას განიხილავს, როგორც პრაქტიკულ მოღვაწეობას და ჭეშმარიტი ცოდნის კრიტერიუმს.

შემოქმედება მატერიალური და სულიერი ღირებულებების შექმნის პროცესია, რაც დაკავშირებულია, გამოწვეულია ადამიანთა შრომითი პროცესით.

ბარდა-ბარკაში აღმოჩენილი იარაღები წარმოადგენს უდიდეს საგანძურს ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, რადგან იგი უჩვენებს, რომ დასახელებულ ეპოქაში ადამიანი ცდილობს, გამოეყოს ცხოველთა სამყაროს და საფუძველს უმზადებს „შემოქმედებით“ შრომას. – დიახ, შემოქმედებითს რადგან იმ დროინდელი ადამიანისთვის უმარტივესი იარაღის დამზადება ისეთი დიდმინიშვნელოვანი მიღწევა იყო, როგორც დღეს საპლანეტაშორისო კოსმოსური ხომალდის დამზადებაა. სხვა დროსაც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ რომ ადამიანის ღვაწლის შეფასებისას თუ მთავარი ყურადღება არ მივაქციეთ იმ დროსა და სივრცეს, რომელშიც შესაფასებელ პიროვნებას მოღვაწეობა უხდებოდა, ჭეშმარიტებიდან ამოვგარდებით.

შემოქმედებითი შრომა არის მასტიმულიზირებელი ძალა იმ ადამიანებისა, რომლებმაც მოახდინეს დიდი გეოგრაფიული და კოსმოსური აღმოჩენები. ააგეს კოლიზეუმები და პირამიდები, რომელთა არხიტექტონიკა და კომპოზიცია თანამედროვე სწავლულთა და მეცნიერთა გაკვირვებას იწვევს. შემოქმედებითი შრომის ნაყოფია თანამედროვე დიდი ქალაქები თავისი მაღლივი საცხოვრებელი კორპუსებით, უდიდესი ქარხნებითა და სავაჭრო ცენტრებით, დიდი პოეტების, მხატვრების და არქიტექტორების

მიერ შექმნილი შედევრებით, სწავლულთა და მეცნიერთა მიერ შექმნილი უზარმაზარი საზღვაო და საჰაერო ხომალდებით, ტელევიზორებით და კომპიუტერებით.

შემოქმედებითი შრომის რომანტიკითა და სიყვარულითაა შთაგონებული იოპან გოეთეს პერსონაჟის დოქტორ ფაუსტის ლრმა აზროვანი სიტყვები რომელბიც მან, ნიჩბებით შეიარაღებული მრავალთასიანი არმიის მუშაობის დანახვით ნასიამოვნებმა წამოიძახა: „მშვენიერი ხარ წამო, შეჩერდი“-ო.

შეიძლება კაცმა გაიფიქროს: უძველესი კოლიზეუმები, ტაძრები, ციხეები და პირამიდები ხომ მონათა ხელითაა ნაშენები და მონის მოქმედება ხომ მოკლებულია შემოქმედებით თავისუფლებასო, მაგრამ შრომის ნაყოფი მაინც დიდად მოსაწონია, რაში ვეძიოთ ამის გამომწვევი ფაქტორიო. დიახ, მონის შრომა და მოქმედება გამოწვეული იყო მბრძანებლის დიქტატით, მაგრამ ამ დიქტატში იგი გრძნობდა რომ დიქტატორის კაპრიზებთან ერთად საღვთო საქმეს აკეთებდა. სხვა შემთხვევაში ვერ დააკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ხელოვნების შედევრი ოსტატისაგან მოითხოვს. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ კარგი მინიშნებაა იმისა, რომ ოსტატი იმისთვის კი არ შრომობს, რომ გიორგი მეფე და მელქისედეკ კათალიკოსი შესაფერის პატივს მიაგებენ, არამედ იმისთვის, რომ მის მიერ შექმნილი ტაძარი გახდეს სიმბოლო მთლიანი, ძლერი და განუყოფელი საქართველოსი. მაშინ საქმე და საღვთო საქმე ერთ მთელში იყო გააზრებული.

ქალებმა კარგად იციან, რომ კვერცხებზე იძულებით დაჯდენილი ქათამი წინილებს ვერ გამოჩეკავს, ხოლო ის მწევარი ნადირს ვერასდროს დაეწევა, რომელსაც პანლურებით აიძულებენ, რომ ირბინოს.

იძულებითი შრომა, თუ მასში ღვთაებრივი და ზნეობრივი ფაქტორები არ მონაწილეობენ თუნდაც აქსესუარების სახით, დიდმნიშვნელოვან საქმეს ვერ განახორციელებს. ამის დასამტკიცებლად „წითელ კოლექტივზე“ უკეთეს ნიმუშს ვერავინ დაასახელებს. ვერ გადაარჩინა კოლექტივი ბიბლიური 10 მცნების მიბაძვით შემქნილმა „კომუნიზმის მშენებლის მორალურმა კოდექსმა“. გლეხი აშკარად ხედავდა, რომ სიმინდის დიდსა და

საღ ტაროს თავმჯდომარის ფავორიტები ცალკე ინახავდნენ, ხოლო გლეხების კუთვნილებად მიჩნეულ ჩიჩქსა და დამბალ ტაროებს უგულოდ მიყრიდნენ კუთხეში. იმდროინდელი ხალხური ლექსი ამბობს: „დრამხტიტარო, დრიმხტიტარო, თავჯდომარეს დიდი ტარო, საწყალსა და გაჭირვებულს დამპალი და ჩიჩქი ტარო“-ო. განაწილების პრინციპის უხეში დარღვევა იწვევდა შრომაზე გლეხის გულალრძნილობას და საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. კაცთა მიერ საქმისადმი უგულო დამოკიდებულებაზე ობიექტურ შეფასებას გვაძლევს შოთა რუსთაველი: „უგულო კაცი ვერ კაცობს“-ო. ამ სიტყვებში ჩაქსოვილია აზრი, რომ ადამიანისაგან შემოქმედებითი შრომა მოითხოვს მისადმი გულითად დამოკიდებულებას.

კომუნისტები ყოველთვის ცდილობდნენ, რომ მათ მიერ პოლიტიკურად დასაჭურისებელი „ბუნჩულა ბიჭები“ გმირებად ექციათ, რითაც სასაცილო მდგომარეობაში ვარდებოდნენ, რადგან მათი ფავორიტები ისე ჰგავდნენ გმირებს, როგორც პითეკანთროპი თანამედროვე ლამაზმანს.

საქმე იქამდე მივიდა, რომ სსრკ-მა ხორბლის ყიდვა კანადიდან და ევროპიდან დაიწყო. რუსეთის ეს გაჭირვება ჩერჩილს რომ გაუგია, უთქვამს: „ვფიქრობდი, რომ სიბერით მოვკვდებოდი, მაგრამ ახლა რომ ვხედავ, რუსეთი პურს ყიდულობს, სიცილით ვკვდებიო“ ჩერჩილისთანა პრაქტიკოსი კაცი ასეთი პარადოქსული აქტის გაგებისას ნამდვილად „მოკვდებოდა სიცილით“.

შეცდომა იქნება, რომ წითელი და კომერციული კოლექტივები ჭეშმარიტ კოლექტივთან გავათანაბროთ. ორივე მათგანი ერთი ხის ორი ტოტია, რომელთა ძირითად საზრუნავს ნარმოადგენს ცალკეულ ინდივიდთა ეგოისტური მიზნების განხორციელება. ჭეშმარიტად პროგრესული კოლექტივი იქმნება ერთნაირი ნების მქონე ადამიანებისგან, რომლებიც კოლექტივის საერთო ინტერესების დაცვასთან ერთად იცავენ პიროვნებათა ინტერესებსაც. ასეთ კოლექტივზე აუგის თქმას და გამასხარავებას მეჭორეების უდიდესი მთავარსარდლებიც ვერ გაბედავენ, რადგან კარგად იციან, რომ მისი გალანძლვითა და დამცირებით თვითონ გაილანდლებიან და დამცირდებიან.

XX საუკუნეში ორჯერ მოხდა უდიდესი გაერთიანება კაცთა ცხოვრებაში პირველი მეორე მსოფლიო ომის დროს და მეორე, როცა ფაშისტური გერმანია სამხედრო მანქანად ტრანსფორმირებული ევროპით ვოლგას მოადგა, რითაც ქვეყანას აუწყა, რომ მისი მომრევი ძალა პლანეტაზე არ არსებობდა. მაგრამ მოხდა ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო. მოხდა კაცობრიობის ანტიფაშისტური ძალების კონსოლიდაცია, რომელმაც აიძულა ის მთავრობები, მახვილი მიემართათ იმ ფაშისტური გერმანი-ისაკენ, რომელსაც „გათავსედებამდე“ სულს უბერავდნენ. ამ გაერთიანებამ, მიუხედავად მძიმე დანაკლისისა აგრძნობინა კაცობრიობას, რომ შეუძლებელია მის წინააღმდეგ აღიმართოს ისეთი ძალა, რომელიც მის დაჩიავებას დამონებას და დაჩიმორ-ვას შესძლებს.

მაშინდელი ფაშისტური კოალიცია იყო ნაყოფი ახალი დროის ანტიფაშისტური იდეოლოგების აღრინდელი „შემოქმე-დებითი“ მოღვაწეობისა.

დიდი გაერთიანება მოაწყო მასონულ-სიონისტურმა უნიტებამ „ბოროტების იმპერიად“ წოდებული სსრკ-ს წინააღმდეგ. მან იმ-პერიალისტურ ძალებზე დაყრდნობით შესძლო დაეშალა ფოლა-დის თითებით შეკონიწებული იმპერია მსოფლიო ომის გარეშე.

„ბოროტების იმპერიის“ დაშლა კი არის პროგრესული ნა-ბიჯი, მაგრამ მის მაგივრად რომ რეგრესული კომერცია მკვი-დრდება, ამაში პროგრესული ჯერ-ჯერობით არაფერი ჩანს და მომავალში ვნახავთ, რაც იქნება.

აკადემიკოსი ზელიმ ჩაკვეტაძე
4-IX-2023 წ.

ამა ქვეყნის უძლიერესი და გათი მსახურები

„არც ერთი მოქალაქე არ უნდა იყოს ისე მდიდარი, რომ შესძლოს სხვისი შესყიდვა და არავინ ისე ღარიბი, რომ სხვას მიეყიდოს“.

რესო

„დიდი სიმდიდრე რყვნის მის პატრონს“.

რობესპიერი

„ერთდროულად იყო ძალიან კარგი ადამიანი და ძალიან მდიდარი შეუძლებელია“.

პლატონი

„ყოველგვარი შენაძენი რაც არ შეესატყვისება მასზე დახარჯულ შრომას უპატიოსნოა“.

ლევ ტოლსტოი

პირველყოფილ ადამიანთა გვაროვნულ წყობილებაში კერძო საკუთრების ჩასახვამ დაარღვია კაცთა შორის ურთიერთობაში არსებული ურთიერთ თანაგარდნობისა და თანამეგობრობის პარმონია და ადამიანები ერთმანეთს დააპირისპირა.

ტექნიკური რევოლუციის დასაწყის ეტაპზე ფილოსოფოს-მორალისტმა, ანთროპოლოგმა ეგზისტენციალიზმისა სხვა თანამედროვე ფილოსოფიური სკოლების მიმართულების შორეულმა წინაპარმა ბლეზ პასკალმა კაცთა შორის ურთიერთობა ასე შეაფასა: „ადამიანებს ერთმანეთი სძულთ, რა ქნან, ასეთია მათი ბუნება და თუმცა ხანდახან მაინც ცდილობენ, საზოგადო სიკეთეს დაუქვემდებარონ თავიანთი ანგარება. ყველა ამნაირი ცდა არა არის რა, თუ არა პირფერობის თამაში და გულმოწყალობანა, ყალბი ქველმოქმედება, ვინაიდან თავი და თავი მხოლოდ სიძულვილია“.

ტექნიკური რევოლუციის დასაწყისი კაცობრიობის ისტორიის ის პერიოდია, როცა კაცთა შორის ურთიერთობაში მყარად არის ფეხმოდებული რომაელი პოეტის პლავტეს შესძულება, რომ „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“ პლავტეს მიერ 23

საუკუნის წინათ გამოთქმული აზრი მუდამ განახლებადია და კაცთა ცხოვრების სავალალოდ ყოველდღიურად მტკიცდება და მკვიდრდება.

დასახელებული არგუმენტებით მტკიცდება, რომ კაცთა შორის ურთიერთ კავშირი არ არის სახარბიელო, მაგრამ არც ისე სავალალოა, როგორც ამას მელანქოლიკები ამტკიცებენ. ჩვენს მიერ დასახელებული არგუმენტების ავტორები მხოლოდ ცალი მხრიდან ხედავენ და აფასებენ ადამიანს. ჰეირდარი გვასწავლის: რომ „ადამიანი ანგელოზის და ეშმაკის ნაზავია“ რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი ორივე მხრიდან უნდა დავინახოთ და შევაფასოთ. სატანური მხრიდან იგი ობიექტურადაა შეფასებული, ხოლო ლვთაებრივი მხრიდან მისი შეფასება იმხელა ოსტატობითაა გაშუქებული რუსთაველის პოეზიაში, რომ მის ობიექტურობაში ურნმუნო თომაც სანინააღმდეგოს ვერაფერს იტყოდა და დარწმუნდებოდა იმაში, რომ კაცი კაცისთვის ძმა და მეგობარია.

მონათფლობელური წყობილების დროს საზოგადოება გაიყო ორ ძირითად ნაწილად: მონებად და მონათფლობელებად. მათ როგორც სერგეევი წერს: „ხშირად ეცვლებოდათ სახელწოდებანი მაგრამ თვით სოციალური დედა არსი მონათა სახელმწიფოების უცვლელი რჩებოდა“. სერგეევის მიერ დასახელებული დედა არსი, თუ მკითველმა მდიდართა ბატონობა არ წარმოიდგინა ჭეშმარიტებიდან ამოვარდება.

საზოგადოების ფენებად დაყოფის შემდეგ მქონებელი კაცი ყოველთვის მეტი უფლებებით სარგებლობდა თანამემამულეთა შორის ვიდრე უქონელი. მაგრამ ჩვენი წელთაღრიცხვის XVI საუკუნეში მისმა ავტორიტეტმა ადამიანების მიერ შექმნილ ღმერთებსაც გადააჭარბა. ეს პერიოდი, რომელსაც ისტორიკოსები ტექნიკური რევოლუციის ეპოქას ეძახიან, იწყება ამერიკისა და ინდოეთის სანაოსნო გზების აღმოჩენით.

ფულმა ტექნიკური რევოლუციის პერიოდში კაცთა ცხოვრებაში და ურთიერთობაში მიღებული ყველა ფაქტორი უკან მიატოვა და სამეფო ტახტზე ისე მყარად მოკალათდა, რომ მისი შერყევა არავითარ მიწიერ ძალას არ შეუძლია. სამეფო გვირგვინიც ყველაფრისშემძლე თავზე მოირგო და საქვეყნოდ განაცხადა:

მე ვარ ამ ქვეყნად კაცთა ცხოვრების კანონმდებელი და მბრძანებელი-ო და მართლაც:

გახდა ფული დედამიწის ბატონი და პატრონი,
დაუწერა კაცთა მოდგმას შეუცვლელი კანონი:
იყავ ჩემი მსახური და ჩემი ნების მორჩილი,
ჩემი მონა ერთგული და ჩემი მადიდებელი.

კაცობრიობის ბრძოლა მიმართული უნდა იყოს ფულის წინააღმდეგ, არა განადგურების არამედ უფლებების ნაწილობრივად შეზღუდვის მიზნით. რადგან იგი შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობს, ხოლო შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობა არავისთვის საპატიო არ არის. ყველაფერი ამ ქვეყნად თავის შესაფერისი ჩარჩოთი უნდა იფარგლებოდეს. კაცი-კაცობის, ქალი-ქალობის, მგელი-მგლობის, ლომი-ლომობის, ხოლო ის არსი, რომელიც მისთვის დაწესებული ჩარჩოდან ამოვარდება, ჰკარგავს არსთა განმრიგის მიერ ბოძებულ ფორმასაც და შინაარსსაც, არსთა განმრიგე სასტიკი მომთხოვნია თავის მიერ შექმნილი არსის მიმართ, რომ მან იარსებოს იმ ფორმითა და შინაარსით, რომლის გათვალისწინებით იგი შექმნა და თუნდაც მისი ნაწილობრივი შეცვლაც კი შემქმნელის საქმეა და არა შექმნილისა.

ფული შექმნილია კაცთა შორის საქონლის გაცვლის და არა კაცობრიობაზე ბატონობის მიზნით, რასაც იგი ძველ დროში ნაწილობრივ ასრულებდა, ახალში მთლიანად ახორციელებს.

ჯერ კიდევ ცხონებულ ილიას უთქვამს: „უფულო კაცი და უფულო სახელმწიფო მონაა ფულიანის“-ო. გამოქმულ წინადადებაში ნათლად ჩანს, რომ ფულს სხვა ფუნქციებთან ერთად კაცთა და სახელმწიფოთა დამმოწერელი ძალა ჰქონია. მონობა დიდი ხანია იურიდიულად გაუქმდა, მაგრამ რეალურად როგორც ფულის ფუნქციის გამომხატველი ძალა, აგერ ყოფილა ჩვენს თვალწინ. და ჩვენს იურიდიულ და ზნეობრივ დადგენილებებს ისე შეჰქონიერებს, თითქოს ისინი არარაობას წარმოადგენენ მისი ამქვეყნიური ბრწყინვალების წინაშე.

საზოგადოების კლასებად დაყოფის საფუძველზე მონათფლობელურ სახელმწიფოში საქმე გვქონდა მონათფლობელებთან, მონებთან და პლებეებთან, ფეოდალურში-ფეოდალებთან

და ყმა-გლეხებთან, ხოლო ტექნიკურ რევოლუციის შემდეგ ასპარეზზე ფული და ფულიანი კაცები გამოდიან გამოჩნდნენ და ფენად ჩამოყალიბდნენ „ძლიერნი ამა ქვეყნისაანი“ რომლებიც XX საუკუნემდე მართავდნენ სახელმწიფოებს, ხოლო მეოცე საუკუნეში კაცობრიობის ბედი სამართვად ჩაიბარა „ამა ქვეყნის ძლიერთა ნალებმა ფენამ, რომელსაც დროის შესაფერისად შეიძლება „ამა ქვეყნის უძლეველთა ფენა“ ვუწოდოთ. ეს ფენა მცირერიცხოვანია, მაგრამ დიდფულოვანია. არის ასეთი ამერიკული შეხედულება: იმას რისი გაკეთება კაცს არ შეუძლია აკეთებს ფული, ხოლო იმის გაკეთება რაც ღმერთს არ შეუძლია, აკეთებს ბევრი ფული.

ფულის აბსოლუტური ბატონობა XVI საუკუნეში დაიწყო (თუმცა უუფლებობას იგი არც ძველი საუკუნეებში შეუწეუბია) და XX საუკუნეში კაცობრიობის ბატონ-პატრონი გახდა. 1925 წელში გენრე ფორდის მიერ გაზით „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გაკეთებული განაცხადი „იზოლაციაში მოაქციეთ 50 ყველაზე მდიდარი ებრაელი და ომები შეწყდება“-ო, მაჩვენებელია იმისა, რომ ფული და მისი მფლობელი ადამიანები თავიანთი ნების მიხედვით მართავენ კაცობრიობის ბედს. ფორდის მიერ და-სახელებული ებრაელების შთამომავლები: სლომები, დიუპპონები, ფერორები, ბუშები, ასტორები, თათები, ვოლტონები, როკფელერები, როტშილდები და მათი ორგანიზაცია „ილუმანიტი“ მართავენ მსოფლიო პროცესებს და ახალი „მსოფლიო წესრიგიც“ მათი დამსახურებაა.

კერძო საკუთრებას პროგრესულად მოაზროვნე კაცი უნდა იცავდეს. მისი გაუქმება სოფლის ისეთ მშენებლებს მიაჩნიათ საჭიროდ, როგორებიც კომუნისტები არიან მკაცრად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი არც აკრძალვა და არც გაპარპაშება არ შეიძლება, თორემ კაცობრიობას თავისი ბურჟუაზიული თავისუფლების ეგიდით კომერციულ ჭაობში ჩაახრჩოს. ამის სიმპტომები აშკარად ჩანს.

2024 წლის №1 „საქართველოს რესპუბლიკა“ იტყობინება, რომ 500 მილიარდერის კაპიტალი 1,5 ტრილიონი დოლარით გაიზარდა და ყველაზე მდიდარი ადამიანების სამეულს: ილონ მასკის. ბერნარ არნოს და ჯეფ ბეზოს 585 მილიარდი დოლარი

აქვთ. ეს სტატისტიკა იმის მაუწყებელია, რომ ცალკეული მილიარდერების ხელში თავს იყრის მსოფლიოში არსებული ფინანსური კაპიტალის უდიდესი ნაწილი. ანტიმონოპოლისტურმა სამსახურმა უნდა დააწესოს მოგების ჭერი და თუ საშუალო მეწარმე იპერგრება X დოლარით, ფულის უფსკერო ტომრად ქცეული მეწარმე უნდა დაიბერვოს იმდენი X-ით, რამდენსაც სათანადო უნყება დაადგენს და ფულის ტომრად გადაქცეული კაცი ხელახლა კაცობას დაუბრუნოს.

ჩვენ პროგრესისტები შორს ვართ როგორც ფაშისტებისგან და კომუნისტებისგან ისე თანამედროვე მონოპოლისტებისგან, რადგან მათი მუშაობა საშუალოდაც ვერ აქმაყოფილებს ფართო საზოგადოების სამართლიან მოთხოვნებს. ეს რომ ასეა, ამაზე მსოფლიო ბაზარზე გამეფებული ფასების მატება მეტყველებს.

პარადოქსულია ის ფაქტი, რომ ტეხნიკის გეომეტრიული პროგრესით განვითარების პირობებში, რომელიც საქონლის თვითლირებულებას ყოველდღიურად ამცირებს, ნაცვლად იმისა რომ მასთან დაკავშირებით საბაზრო ლირებულებაც უნდა მცირდებოდეს, ხდება პირიქით, ესეც მასავით გეომეტრიული პროგრესით იზრდება იშვიათად-არითმეტიკულით.

დასახელებული ფაქტორები მაჩვენებელია იმისა, რომ უძლიერესი და ძლიერნი ამ ქვეყნისა ისე ზრუნავენ ხალხზე, როგორც ძველ ოხუნჯობაშია ნათქვამი: მამამ ოჯახის წევრთა უფლებრივი იერარქია ასე გააცნო ბავშვს: „ჩვენს ოჯახში მე ვარ პარტია და ჩემი თვითეული სურვილი უნდა სრულდებოდეს. დედაშენი-მთავრობა, შინაური საქმების მომწესრიგებელი. ბებიაშენი პროფესიონალის, რომ იეშმაკებ და გაგლახავენ, მოგეფერებაო. შენ მუშა ხარ-ო. მეორე დღეს ჭიშკართან გამვლელ მგზავრს შემოესმა. მიშველეთ ვკვდები კაციო-შევიდა ჭიშკარში აფხარკალებული ბავშვი წამოაყენა, მოეფერა და დაანუგება მალე მოგცილდება ეგ ტკივილი-ო თან ჰეთა: მარტო ხარ ბიძია, სახლში არავინ გყავს-ო? ო... კი მყავს მაგრამ ჩემი გაჭირვების ჯავრი არა აქვთ. პარტია აგერ მუხის ჩრდილში მთავრობასთან ერთად კოტრიალობს, პროფესიონებს „კუხნაში“ სძინავს და საწყალი მუშა ფეხებზე ჰეთა-ო“.

ეს ოხუნჯობა მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ პატრონობენ პრეროგატივები იმ ადამიანებს, რომელთა ბედი მათ აბარიათ

მათი ცხოვრებისა და შემოქმედების კრედო შემოიფარლულია იმით, რომ ქვეშევრდომები მორჩილებაში იყოლიონ და მათგან სარგებელი ნახონ. ეს ფაქტორები ხალხის უკმაყოფილებას უხსოვარი დროიდან იწვევდა და ახლაც იწვევს.

ილია ჭავჭავაძის „მუშა“ რომელიც მკაცრი მხილებაა, მშრომელი ხალხის უუფლებობისა, ასეთი ეპიგრაფით იწყება „В труде проходит жизнь его и не приносит ничего“.

ყველა დროის მდიდრებმა და დიდგვაროვნებმა კარგად იცოდნენ, რომ მათი კეთლდღეობა მთლიანად იყო და არის დამოკიდებული მდაბიო ხალხზე და ხალხის ზურგიდან ჩამოსვლა მათვის ნამდვილი კატასტროფა და ყოველნაირად ცდილობენ, შეინარჩინონ „სტატუს კვო“.

უნდა ითქვას, რომ გაბატონებული კლასები ვერასდროს იმდენ მოგებას ვერ ნახულობდნენ ხალხისგან, რამდენსაც ახლა მონბოლისტურ ეპოქაში ნახულობენ. მონათფლობელს მონის-თვის ძალლურ ლუკმასთან ერთად საცხოვრებელი ბინაც უნდა მიეცა და სხეულის დასაფარავი ტყვავი ან ქსოვილი. წარმოების იმდროინდელი საშუალებების პირობებში მონა ცოტათი მეტს ანარმოებდა იმასთან შედარებით ვიდრე მას ახმარდა პატრონი არსებობის შესანარჩუნებლად.

სამტრედიდან ბათუმამდე 100 კმ-იან მანძილს საბარგო მატარებელი უხეში გაანგარიშებით 2 საათამდე დროში ფარავს თავისი ათასტონიანი ტვირთით. და მისი ორი მემანქანე ერთად ლებულობდა 11 მანეთს. 80-იან წლებში არსებული ნორმის მიხედვით. თუ გავიანგარიშებთ იმას, რომ ტვირთი ადრეულ საუკუნეებში ხარ – ურმებით გადაქონდათ ურმით 0,5 ტონა ტვირთი შეიძლებოდა გადაეტანათ 4 კმ-ის სიჩქარით საათში. გასაგები გახდება თუ რა მოგებას ნახულობს თანამედროვე მეწარმე ძველთან შედარებით. ყველაზე ძვირი ტვირთის გადატანა ხარებით ან კაცების ზურგით არის ხოლო ყველაზე იაფი საზღვაო ხომალდებით. თანამედროვე მაღალი წყალწყვის ერთი საოკეანო ხომალდი მეტ ტვირთს გადაიტანს ვიდრე იმ პატარა შუასაკუნობრივი გემების, რომლებსაც რაჭული ტერმინოლოგით „ნავუკები“ შეიძლება ვუწოდოთ, მსოფლიოში არსებული ყველა ესკადრილია, ვერ გადაიტანდა. ეს მონაგები დღეს თით-

ქმის მთლიანად, ნაცვლად იმისა რომ საზოგადოების ეკონომიკური და კულტურის დონის ამაღლებას მოხმარდეს, მენარმეთა ჯიბებში ილექტა და როგორც ბატონი ყიზილაშვილი წერს: XXI საუკუნის დასაწყისში მთელი მსოფლიოს მოსახლეობის 20% ანუ უდარიბესი ადამიანები კმაყოფილდებიან მსოფლიოში ნარმოებული შემოსავლის 1,1%-ით. 800 მილიონზე მეტი კაცი კაცი შიმშილობს... მილიარდ ადამიანს არა აქვს საშუალება იმკურნალოს, 2 მილიარდ ადამიანს სახლში არა აქვს ელექტრო ენერგია. შემოსავლების უთანაბრობა განაპირობებს სიმდიდრის არათანაბარ დაგროვებასა და მოსახლეობის ქონებრივ დიფერენციაციას... (იხ. მისი „ეკონომიკური თეორიის საფუძვლები გვ. 130 2004 წ).

აქ მოტანილი არგუმენტები მაჩენებელია იმისა, რომ ამ ქვეყნის უძლიერესთა ფავორიტები „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, ვერც ბურუუაზის ლიბერალურ-დემოკრატიული დოქტრინები, ვერც ბუნებრივი სიმდიდრის და ვერც საზოგადოების მიერ ნარმოებული მატერიალური დოვლათის სამართლიან განაწილებას ვერ ახდენებ და ქვეყნას ემსახურებიან ამა ქვეყნის უძლიერესთა ინტერესების შესაბამისად.

როგორც ვხედავთ, ბურუუაზიულ-ლიბერალური თავისუფლება, თავისუფლება კი არა ყაჩალობაა, გაიძვერობაა, ჰუმანიზმის ნიღაბაფარებული მიზანთროპიაა, არა კაცობა და უნამუსობაა.

კაცთა ცხოვრებაში კარგად ჩახედულ ადამიანებს მოსწონთ ბურუუაზის კლასის წევრთა: მომჭირნეობა, რისკიანობა და ანგარიშიანობა. არ მოსწონთ მისი სიძუნე და მიზნის მისაღწევად აკრძალული ილეთების გამოყენება.

პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები იცავდნენ და იცავენ კერძო საკუთრებას მხოლოდ ობიექტური სამართლიანობის მოთხოვნათა შესაბამისად.

მარტო დედამიწაზე კი არა მთელ სამყაროში ყოველი არსი თავისი ნარმოდგენითი ჩარჩოთი არის შემოფარგლული, რომლის იქეთ მისი არსობა აღარ ჩანს, იმ უფლებებით და სახით, ისე გამოკვეთილად და შემოქმედებითად როგორც თავის ჩარჩოში, რომლის იქეთ მისი მეობა რაღაც გავლენას შეიძლება ახდენდეს, მაგრამ ისე დიდს ვერა, რომ იქ თავისი

ბატონობა დაამყაროს. თუკი ეს მთელ სამყაროში ასეა, შენ ვინ მოგცა ბატონო მენავთობევ, მენახშირევ, მეფოლადევ, ვაჭარო, ფინანსისტო, მეცნიერო და გამომგონებელო, იმის უფლება, რომ კაცად გაჩენილი არსება ფულის შესანახ იმოდენა ტომრად გადააქციო, რომელიც სამყაროში არსებული ექვსი ძირითადი მიმართულებით უსასრულოდ გრძელდება და იბერება. არავის კაცთა შორის არა აქვს იმის უფლება, რომ თავისი მოძმის უკი-დეგანო ტომრად გადააქციევის გულგრილი მაყურებელი იყოს და მის კაცობისკენ შემობრუნებაზე არ იზრუნოს. განწირული SOS-ით ატყობინებს გარემოს თავისი უიმედო მდგომარეობას, თუ მშველელი არ გამოჩნდა, მისი ზნეობრივი დაღუპვა გარდაუ-ვალია. მისი გადარჩენა მხოლოდ სახალხო ინტერესებისადმი დაქვემდებარებულ სახელმწიფო აპარატს შეუძლია. რაც შეეხება გამვლელ-გამომვლელის ლაპარაკს, ეს უბრალოდ ჭყამპალია და არა დადებითი შედეგის მომტანი ღონისძება.

ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ბურუუაზია ჯერ კიდევ აღმა-ვალი კლასია. იგი ნაყოფიერების ასაკშია და მან მის შემოქ-მედებით საქმიანობას აპორტმენტერობა კი არა მეანობა უნდა გაუწიოს და როცა იგი თავის დროს მოჭამს, როგორც ეს არსთა განმრიგის ნებით არის დადგენილი, რაღაც უკეთესით უნდა შეიცვალოს იმ რაღაცას ადამიანის გონება ჯერ-ჯერობით ვერ სწვდება და მომავალში ვნახავთ, რაც იქნება რუსულ-ებრაუ-ლი სოციალიზმი, რომელიც საქმეში ზედაპირულად ჩახედულ კაცებს პროგრესული იდეოლოგიად მიაჩნიათ, ბუტაფორიაა, ჩუჩელაა, რომელმაც თავისი თავი რუსეთის თვალუწვდენელ იმპერიაში გამოამზეურა როგორც უარყოფითი ტრადიციების დამცველმა და გამამტკიცებელმა იდეოლოგიამ. აბსოლუტურად გაკოტრდა გერცენის შეხედულება: „მე ვერ ვხედავ მიზეზს, რომლის გამოც რუსეთმა აუცილებლად უნდა გაიაროს ევრო-პული განვითარების ყველა ფაზა“ თანამედროვე ეპოქამ უკვე ირწმუნა მერაბ მამარდაშვილის შეხედულება: რომ „ოქტომბრის რევოლუცია ისტორიიდან ამოვარდნაა“.

ისტორიიდან რუსეთის იმპერიის ამომგდებმა ბოლშევიკებ-მა მთელი იმპერია თავისი მეტრონომით და აქსესუარებით დანტეს ჯოჯოხეთს დაამსგავსეს. ათასგვარი გაჭირვებისგან

გულშეწუხებული ხალხის დიდი ნაწილი ფიზიკურად გაანადგურეს გადარჩენილი ნაწილი კოლექტივებში შედენეს მიწებით, ბაღვენახებით, ხარებით და ცოლ-შვილით და სახლში მხოლოდ რკინის უღელი დაუტოვეს კისერზე დასადებად და რუსულად აამლე რეს: „Я другой такой страны не знаю, где так вольно дышит чоловек“-ო პროლეტარიატის დიქტატურა კი გამოაცხადეს მაგრამ პროლეტარები, რომლებსაც ძველ დროში ცოტაოდენი საკუთრება გააჩნდათ, გლეხობასთან ერთად გააბოგანეს და თვითონ რაიკომის მდივნობა, საბჭოების და კოლექტივების თავმჯდომარეობა, ბრიგადირობა, ექიმობა და ვექილობა დაიწყეს და თავისი თავი ხალხისთვის წამებულ რაინდებად შერაცხეს.

ხალხი რაჭველი კაცივით გვიან ხვდება ყველაფერს, როცა მიხვდნენ რა წამებულ რაინდებთან ჰქონდათ საქმე, დაიწყეს ამბოხებები, მაგრამ რაღას გააწყობდნენ თავიანთი ფილთა თოვებით, ფინლებით და ყურებიანი თოხებით როცა, მატყუარა მიზანთროპებს მძიმე არტილერიაზე მბრძანებლობის უფლება მოპოვებული ჰქონდათ. დაიწყეს ძველი ლირებულებების გადაფასება და ახალი პროლეტარული კულტურის დანერგვა. კანოს, გრეკოს, ლეონარდოს, ჯოტოს, მიქელანჯელოს და რაფაელის შედევრებს იწუნებდნენ და განადგურებით ემუქრებოდნენ. ერთ-მა შერეკილმა პროლიტკულტელმა ასეთი განაცხადი გააკეთა: ჩვენ, ხვალინდელი დღის სახელით დავწვავთ რაფაელს, ეკლესიებსა და მონასტრებს კი გადავთელავთ“-ო.

ბოლშევიკებმა ქონებრივად დაიხსნეს თავი პროლეტარობიდან, მაგრამ გონებრივად მაინც პროლეტარებად დარჩნენ. პროლეტარობისგან შეიძლება რაღაც მანქანებით თავის დახსნა, თუ მხრებზე საქმიანობის უნარის მქონე თავი გადგას, მაგრამ თუ არსთა განმრიგებ თავის მაგივრად წითელი გოგრა დაგადგა მხრებზე, მაშინ ჭკუით პროლეტარობის მარწუხებისგან ვერცერთი მიწიერი ძალა ვერ გიხსნის.

ბოლშევიკები ყოველნაირად ცდილობდნენ მასების დაზომბვას, სულიერად დაჩიავებას და დასაწყლებას, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ასეთი ადამიანები იოლი სამართავი არიან. მათი მოღვაწეობის ძირითად ინტერესს ხალხის შემოქმედებითი ძალების მიერ დაძაბული და დაუღალავი შრომით მიღწეული შედეგების

ცალკეულ პიროვნებებზე მიწერა შეადგენდა და ეს პიროვნება აუცილებელად ბოლშევიკი უნდა ყოფილიყო. თაგვი აუცილებლად წითელ კატას უნდა დაეჭირა, თუ სხვა ფერის კატა დაიჭირდა, ეს ბოლშევიკების დაბალუნარიანობის მაჩვენებელი იყო.

ისინი თავს ყოვლის შემქმნელ და ყველაფრის მქნელ და გარდამქმნელ ძალებად მიიჩნევდნენ და ამ „სიბრძნეს“ მასებში დიდი მონდომებით ნერგავდნენ.

გავიხსენოთ აკადემიკოს ლისენჯიოს სიტყვა წარმოთქმული 1935 წელს: „სსრკ-ში ამხანაგებო, ადამიანები არ იბადებიან, იბადებიან ორგანიზმები, ხოლო ადამიანებად მერე ჩვენთან კეთდებიან-ტრაქტორისტები, მოტორისტები, მექანიკოსები, აკადემიკოსები, მეცნიერები და სხვები. ერთ-ერთ ასეთი ადამიანთანი მეც ვარ, მე არ დავბადებულვარ ადამიანად მე ადამიანად შემქნეს

ლისენჯიოს სიტყვაშ დიდად აღაფრთოვანა სტალინი: „ის აღეგზნო ისე რომ ფეხზე წამოხტა, ტაში დაუკრა და შესძახა: „ბრავო, ამხანაგო ლისენჯიო, ბრავო“ („ოგონიოკი“ №1 1988 წ.) აქ აღნერილი შემთხვევა მაჩვენებელია იმისა, რომ ბოლშევიკები თავს მიიჩნევდნენ ყველაფრის-მქნელ-გარდამქმნელად და თვით სტალინის ბრძოლისა და მოღვაწეობის კრიტერიუმი იყო, კაცობრიობისათვის დაენახათ, რომ ერთ ქვეყანაში კომუნიზმის, ჩვენებურად რომ ვთქვათ ამქვეყნიური სამოთხის აშენება, შესაძლებელი ყოფილა.

იდეოლოგია, რომელმაც აკადემიკოს კაცს ზემოთ ჩანერილი შეუსაბამობა ათქმევინა, რას უზამდა მდაბიო ხალხს, ეს კომენტარების გარეშეც ცხადია, მაგრამ კაცობრიობის აბსოლუტური დადგებილება და განადგურება თუნდაც უზენაესს რომ შეეძლოს, საეჭვოა.

თანამედროვე პირობებში როცა მთელი ეროვნული სიმდიდრეები, პერესტროიკის პრეროგატივებისაგან ნაწყალობები პრივატიზაციის წყალობით ათასგვარმა ვიგინდარებმა ჩაიგდეს ხელში, გაძარცული ხალხი მთავრობის მიერ ნაწყალობები ლუკმის იმედზე დარჩენილი, უცხო ქვეყნებში ეძებს თავშესაფარს და ტოვებს მშობლიურ მიწას, წყალს, სახლკარს და უცხო ქვეყნებში ეძებს თავშესაფარს, რადგან მისმა „ცა ფირუზ ხმელეთ

ზურმუხტიანი“ სამშობლო მხარის პრეროგატივებმა მინიმალურადაც ვერ დაკამაყოფილეს მისი მოთხოვნები.

ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსი არისტოტელე წერს: „ბუნებით მონებს ურჩევნიათ სხვისი მფარველობის ქვეშ იცხოვრონ. მონა თავისი ბატონის ცხოვრების თანაზიარია. ხელოსანი ბატონთან ნაკლებ დაკავშირებულია და თავის საქმეში სრულყოფილებას მაშინ აღნევს, როცა მონა ხდება. დაბალი ხელოსნები სხვაგვარ მონობაში იმყოფებიან“.

კაცი, რომელიც ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ სოციალურ მონად აქცია, მაგრამ სულიერ მონად ვერა, სულ იმის ცდაშია, რომ გაექცეს არსებულ მდგომარეობას და გარბის შიმშილით გაძვალტყავებული სულის გადასარჩენად.

ბოლშევიკურმა ტირანიამ სოციალურ მონებად აქცია რუსეთის თვალუწვდენები იმპერიის ხალხები.

არსებობს მონათა ორი კატეგორია: ბუნებრივი ანუ სულიერი და იძულებითი მონა თუ კონფორმისტია, იგი არ იბრძვის და უპრეტენზიოდ ემორჩილება ბატონების ნებისმიერ განკარგულებას. როცა გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟს, შერვაშიძეების ოჯახში ბატონყმობის დროიდან შემორჩენილ ყმას ლუკაია ლაბახუას ჰერიტაჟდენ: „ლუკაია, გირტყამს კიდევ ბატონი? -ო ასეთ პასუხს აძლევდა: რა გინდა მერე შენ, მე მირტყამს, შენ ხომ არა“ -ო. მაგრამ ბარათაშვილის ყმამ (იძულებითმა მონამ) მეამბოხე არსენა ოძელაშვილმა თავისი უხეშობით და დაუმორჩილებლობით ბებერი სიცოცხლე გაუმწარა ბებერ ზაალს.

ქართველი კაცი კი გახადა ბოლშევიკურმა ტირანიამ სოციალურ მონად, მაგრამ მისი ასიმილირება სულიერ მონობასთან ვერ მოახერხა. ვერ შესძლო მისმა დახვეწილმა დემაგოგიამ კავკასიელი კაცის მეამბოხე სულის გარდაქმნა და დატოვა იგი იძულებით მონად (მეამბოხედ).

არსებული სინამდვილე ყოველნაირად ცდილობს მეამბოხე მონა სულიერ მონად აქციოს და უფრო მომგებიანად ჯიჯგნოს, რასაც ნაწილობრივ აღწევს კიდევაც, მაგრამ ამ ავგიას თვლად ქცეულ გარემოში ხშირად გაისმის ქართველი კაცის პროტესტანტული და ომახიანი კავკასიური ხმა, რომელიც ერის სულიერი ძალის სიდიადის მაჩვენებელია. მე საქართველოს

მომავლის მიმართ ოპტიმისტურად განწყობილი კაცი ვარ და მჯერა, რომ რაც ვერ შესძლეს მურმან ყრუებმა, ჯალალედ-დინებმა, ზორეზმშაჰებმა, თემურ ლენგებმა, შაჰ-აბასებმა, ნუ-ქრადინებმა, ბიზანტიის იმპერატორებმა და ბოლშევიკებმა მას ვერც რუსულ სოციალიზმზე აღმოცენებული და პერესტროიკის იდეებით განციერებული ქართული დემოკრატია შესძლებს და ერი გადაურჩება იმ დიდ წინააღმდეგობებს, რომლებიც მის წინააღმდეგ არსებულმა გარემოებამ აღმართა.

როგორც კი საქართველოდან გავრცელდება ინფორმაცია, რომ ქართველი კაცი ცდილობს ავგიას თავლად ქცეული გარემო კაიკაცობისკენ, ობიექტური სამართლიანობისკენ, სინდის-ნამუ-სისკენ და სხვა პროგრესული ტრადიციებისკენ შემოატრიალოს და კაიკაცობის კრიტერიუმად ძალლობისა და მამაძალლობის მაგივრად პატიოსანი შრომა და კაცთა შორის სამართლიანი ურ-თიერთობა აღიაროს, მთელ მსოფლიოში ძველი ეპრაელებივით გაფანტული ქართველები მშობლიური მიწისკენ გამოსწევენ. ჯერ-ჯერობით კი, სანამ საქართველოში მდაბიო ხალხის ცხო-ვრება არისატოტელეს მიერ დახასიათებული მონის ცხოვრების დონეზე დაბალია, იგი ვერ კისრულობს ევროპელი მონის ეკო-ნომიკური ცხოვრების პირობებზე ხელის აღებას და ვერ მოდის.

რადგან აქაური ბოგანოობა უფრო აუტანელია ვიდრე არისატო-ტელეს მიერ გაანგარიშებული მონათა თვშესაფარში, რომელშიც „მონა თავისი ბატონის ცხოვრების თანაზიარია“ აქვს თავშესაფარი, სამუშაო ინვენტარი, სამუშაო მასალა და საარსებო მინიჭების სახით ღებულობს იმოდენა გასამრჯელოს, რომ ცოტაოდენს ოჯახსაც უგზავნის, მაგრამ მაინც უკმაყოფილოა, იგი სახის და თავის ქალის ფორმებით მართალია ევროპეიდია, ევროპულ რასას ეკუთვნის, მა-გრამ მასში აზიურ-კავკასიური სისხლი დუღს, რომელიც მას აბორ-გებს და აბუქბუხებს: მოსვენებას არ აძლევს მისი ახლო მეზობლის ომარ ხაიამისგან მიღებული დარიგება:

„იშიმშილე შვილო, მაგრამ მონად არვის ემსახურო,
სხვისი პურის ჭამას გიჯობს, შენი გულის სისხლი სწუნო“

აკადემიკოსი ზელიმ ჩაკვეტაძე
14-1-2024 წ.

ლეგატი და პოსტი, პატი და ადამიანი

„დიად ბუნებას მპრძანებელი არა ჰყოლია,
თვითონ ყოფილა ყოვლის მქმედი ღმერთის გარეშე“.

ლურკეციუსი

„ნეტარ სულებს ეუცხოვებათ ცრუმეტყველება,
რადგან ისინი ჭეშმარიტის მისწვდნენ სათავეს“.

დანტე

„დრო არ არის ღმერთი... რომელიც ადამიანმა
თავისი განვითარების საფეხურებზე შექმნა“.

ლაო-ძ

მრავალი წლის წინ გაჩენილ პომინიდებს შორის ყველაზე
მეტად ჰომი საპიენსი უახლოვდება ადამიანს, რომელიც შეიქმნა
კაინოზოური ერის მეორე ნახევარში.

70 000 წლის წინ დაწყებულ 40 000 წლოვან პერიოდში
აზროვნებისა და კომუნიკაციის ახლებური საშუალებების გა-
ჩენას კოგნიტურ რევოლუციას უწოდებენ.

10 000 წლის წინ ცხოველებისა და მცენარეების ცხო-
ვრებაში საპიენსებმა ჩარევა დაიწყეს. ამ პერიოდს სასო-
ფლო-სამეურნეო რევოლუციის პერიოდს უწოდებენ, რომელ-
მაც ჩვენი წ/ა-ის XVI საუკუნემდე მოაწია, ხოლო XVI-XVII
საუკუნეებში დაწყებული რევოლუცია გრძელდება დღემ-
დე. ეს სამი რევოლუცია წარმოადგენს დიდ რევოლუციებს
რომელთა „მონათვლა“ (ჩემი აზრით) ევოლუციებად უფრო
გამართლებული იქნებოდა. რაც შეეხება ტექნიკური რე-
ვოლუციის პერიოდში მომხდარ ცვლილებებს, რომელთა
ჩამოთვლა საჭიროდ არ მიმაჩნია, აჯანყებებია, ამბოხებე-
ბია, უფრო სწორად „ფაფხურია“, რომლითაც დაჩაგრული
და დამონებული ადამიანების გარკვეული ჯგუფები იმას კი
არ ცდილობდნენ მონობა მოესპოთ, არამედ იმით იყვნენ
დაინტერესებული, რომ თვითონ გამხდარიყვნენ მონათ-
ფმლობელები. ხოლო მეორენი გაბატონებულ მდგომარეობის
შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ.

ამ სტატიის ლეიტმოტივია კოსმოსის, ადამიანისა და ღმერთის წარმოშობა და ურთიერთდამოკიდებულება.

მნერალი აკიმუშებინო წერს: „მეტეორებში ორგანული ნივთიერებები და ბაქტერიული უჯრედები აღმოაჩინეს“, რაც იმის დადასტურებაა, რომ სიცოცხლე კოსმოსის საკუთრებაა და არა მარტო დედამიწის, ჩამოთვლილ არსთავან ყველაფრის სუბსტანციას კოსმოსი წარმოადგენს, რაც ჩემამდეც ბევრს უთქვამს, ბევრს დაუჯერებია, ბევრი კიდევ იტყვის და ბევრი დაიჯერებს.

შეუძლებელია იმ გიგანტმა, რომლის უკიდურეს (უშორეს) წერტილებს ჯერ კაცის გონება ვერ მისწვდენია და არც არსებობს რაიმე გარანტია, რომ თუნდაც ოდესმე მისწვდება, ვინმეს ან რამეს რაიმეში დაუთმოს სუბსტანციურობა და თვითონ არ იყოს ყველაფრის არსი და საფუძველი.

ძნელია იმის დაჯერება, რომ ამდენ ახოვან ვაჟუაცს, ამდენ ლამაზ ქალს, ამდენ ნიჭიერ და პატიოსან კაცს, ჩვენს ირგვლივ რომ ვხედავთ, რაიმე ნათესაობა ჰქონდეთ მაიმუნებთან, მაგრამ ეკლესიის სავალალოდ გაჩენილი დარვინის მოძღვრება „გვაიძულებს“, რომ დავიჯეროთ მათთან ბიოლოგიური და შორეული ნათესაობა ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანებისა.

დარვინის თეორია გვასწავლის, რომ ადამიანების სუბსტანციას ჰომონიდები წარმოადგენენ, ხოლო ჰომონიდები მაშინ გაჩნდნენ, როცა კოსმოსში ჩვენს პლანეტაზე შექმნა მრავალფეროვანი ფლორისა და ფაუნის გაჩენის ყველა პირობა. რაც შეეხება ცოცხალ უჯრედს, იგი დედამიწაზე აბორიგენულია თუ მოტანილი სხვა პლანეტებიდან, ამის ძებნა სპეციალური უწყებების საქმეა. ორივე შემთხვევაში ჩვენ გვჯერა, რომ სიცოცხლის და მასთან ერთად ადამიანის გაჩენის სუბსტანციასაც კოსმოსი წარმოადგენს.

სტატიაში მოცემული არგუმენტებით მტკიცდება, რომ ადამიანი წარმოადგენს სიცოცხლის განვითარების ხანგრძლივ ევოლუციურ და არა რევოლუციურ პროცესს, რაშიც წამყვანი როლი როგორც ენგელსი ამტკიცებს, შრომამ შეასრულა. ბოძოლასთან დაკავშირებული იყო უამრავი ბუნებრივი და ცხოვრებისეული ფაქტორები თავისი აქსესუარებით, რომელთაგან

ერთ-ერთ ძირითადს, არა მარტო ადამიანებისათვის, არამედ თვითეული ცოცხალი არსებისათვის წარმოადგენს სწრაფვა თვითგადარჩენისაკენ.

მხოლოდ კოგნიტური რევოლუციის (უფრო სწორად ევო-ლუციის) გვიან პერიოდში იწყებს ჰომოსაპიენსი გამოყოფას ცხოველთა სამყაროსაგან. ერაყში, ბარდა-ფოკაში აღმოჩენილი უძველესი მობინადრეების ქვის იარაღები, რომელთა ასაკი 100 000 წლით განისაზღვრება, ვერ ადასტურებს რომ იმდროინდელი ჰომოები გაადამიანებულები იყვნენ, რადგან მობინადრეობას ცხოველებიც ენევიან და ზოგიერთი მათი სახეობა უმარტივეს იარაღსაც იგონებს. მაიმუნს ჭერზე ყურძენი დაუკიდეს. მან ბამბუკის წვრილი ჯოხის თავი მსხვილი ჯოხის ნახვრეტში ჩააკვეთა და გადაბმული ჯოხებით ყურძენი ძირს ჩამოაგდო. ეს მოქმედება ნამდვილად არის უმარტივესი აზროვნების შედეგი, მაგრამ ეს არ კმარა იმისთვის, რომ იგი ადამიანის შორეულ წინაპარს გავუტოლოთ.

კოგნიტური რევოლუციის პერიოდში საქმე გვაქვს ჰომოდან ადამიანობის გზაზე შემდგარ არსებასთან, რომელიც ტოვებს ჰომოობას და გადადის ადამიანობაზე. ხოლო სასოფლო-სამეურნეო რევოლუციის ადრეულ პერიოდში საქმე უკვე ადამიანთან გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანობის კრიტერიუმად მარტოოდენ იარაღს ჩავთვლით, მაგრამ ადამიანს იარაღის წარმოების უნართან ერთად აუცილებლად უმარტივესი ზნეობრივი ნორმებიც უნდა შეექმნა. ამას ადამიანი უხეში გაანგარიშებით ვერ შესძლებდა. სასოფლო-სამეურნეო რევოლუციის შუა პერიოდში ამავე პერიოდში საფუძველი უნდა ჩაჰუროდა რელიგიასაც. ამ სამი ფაქტორით ადამიანი სამუდამოდ დაადგა კაცობრიობის გზას. ამ სამი ფაქტორიდან უფრო ძველია იარაღის წარმოება. იარაღის მწარმოებელმა კარგა ხანს არაფერი იცოდა და არც გაეგებოდა ღმერთისა და ზნეობის, რომლებიც ადამიანის შეგნებაში თითქმის ერთდროულად გაჩნდნენ. უზნეოდა ულმერთო კაცი რომ კაცად არ ვარგა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს საკითხი კომენტირებას არ საჭიროებს.

მიუხედავად იმ დიდი მიღწევებისა, რომელიც თანამედროვე ადამიანებს გააჩნიათ ტეხნიკურ, ასტრონომიულ და ფილოსო-

ფიურ აზროვნებაში, მათი უდიდესი მიღწევა ადამიანურ სარბიელზე მაინც ღმერთია, რომელთან უშუალო კავშირშია ზნეობა.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 50 წელიწადში მოსალოდნელია ადამიანმა შექმნას უკვდავი ადამიანი. ეს ვარაუდი, როგორც ამბობენ, 1 000 წელიწადს მაინც არ გადასცილდება ის იქნება IV დიდი რევოლუცია კაცთა ცხოვრებაში.

ვინ არის ადამიანი, ვინ არის კაცი და ვინ არის ღმერთი!?

ჩემს „მეამბოხის კრედოში“ საუბარია იმის შესახებ, რომ ადამიანი და კაცი სხვადასხვა შინაარსის მქონე ცნებებია, მაგრამ ხალხი სინონიმებად მიიჩნევს. ხალხს როგორც სურს ისე მოანახელაფებს ყველაფერს: მას კი სურს ადამიანი კაცი იყოს, მაგრამ ეს ასე არ არის. ადამიანი არის ლუარსაბ თათქარიძე იგი წარმოადგენს ორ ფეხზე მოსიარულე ძუძუმწოვარ და პირ-მეტყველ არსებას. ამით ის ანატომიურად აკმაყოფილებს ადამიანობის ყველა ძირითად მოთხოვნას. მაგრამ კაცობის ვერც ერთ ფუნქციას ვერ ასრულებს. ხოლო მისი ავტორი კაცობის ყველა ფუნქციის შემსრულებელია თუ პირველი მხოლოდ ადამიანია და კაცობის არაფერი გააჩინა. მისი ავტორი კაციც არის და ადამიანიც.

რაც შეეხება ღმერთს, იგი განვითარების მაღალ საფეხურზე უნდა შეექმნა ადამიანს; საკმაო განვითარების გარეშე მისი გონება ვერც ღმერთს შექმნიდა და ვერც თვითონ იქცეოდა კაცად. იგი ჩარჩებოდა იმავე ფორმასა და შინაარსში, რომლითაც ბუნებამ გააჩინა.

ღმერთს და კოსმოსს ხშირად აიგივებენ ერთმანეთთან, მათ ერთმანეთის მიმართ სინონიმებად მიიჩნევენ, რაც არ არის სწორი. კოსმოსი თავისი: ძალური ველებით, პლაზმებით, პროტონებით, ნეიტრონებით, ელექტრონებით და ატომებით არის ყველაფრის სუბსტანცია. იგი როგორც ნიკო ნიკოლაძე წერს, არც კეთილია ვინმეს მიმართ და არც ბოროტი, იგი თავისთავადია, რომელსაც როგორც ლუკრეციუსი წერს: „მბრძანებელი არა ჰყოლია“, ხოლო ვაჟა-ფშაველას შეხედულებით: „ბუნება მბრძანებელია, იგი მონაა თავისა, ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ მემნელია ავისა“. ასე რომ იგი თავისით „მუტრუკობს“ და არავის არაფერს არ ეკითხება.

ადამიანის გონებამ მის ირგვლივარსებული სამყარო ორ ნაწილად გაჰყო და ერთს სიკეთე უწოდა, მეორეს-ბოროტება სიკეთის დამცველ „ლიდერად“ ლმერთი მიიჩნია, ხოლო ბოროტების-სატანა. ეს ორი ადამიანური გონების წარმონაქმნი განუწყვეტლად იბრძვიან და ქუჩური ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ხან ერთია ქვეშ და ხან მეორე.

ლმერთი კი არის ყოველგვარი სიკეთის ძლიერი დამცველი და გამტარებელი, მაგრამ არც მისი ანტიპოდი სატანაა უძლური და უბოროტო. მარტოოდენ XX საუკუნეში მან სხვა სახელმწიფოებრივ ომებთან ერთად კაცობრიობას ორი მსოფლიო ომი აწარმოებია და სისხლში და ცრემლში აჭყუპალავა, ხოლო იმავე საუკუნის 40-იან წლებში მსოფლიო საინფორმაციო საშუალებებმა კაცობრიობას აუწყეს, რომ „1945 წლის 16 ივლისს დილის 5 საათზე 29 წუთსა და 45 წამზე, ამერიკელმა მეცნიერებმა ნიუ-იორკში, ადამოგორდოში პირველი ატომური ბომბი ააფეთქეს. ამ მომენტიდან მოყოლებული ადამიანებს არა მხოლოდ ისტორიის მიმართულების შეცვლის, არამედ მისი დასრულების შესაძლებლობაც გაუჩინდა“. ჰარარის მიერ ჩვენამდე მოღწეული ეს განაცხადი მაუწყებელია იმისა, რომ თანამედროვე ადამიანს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია მიწიერი და ციური ძალების წინაშე, რომ დედამინა, რომელიც უხეში გაანგარიშებით კოსმიურმა ძალებმა 10 მლრდი წლის წინ შექმნეს, დღემდე აარსებეს, ახლა მისმა ბინადრებმა მტვრად ქცეული არ გაფანტონ კოსმოსის უსაზღვრო სივრცეში.

კაცობრიობის 16%-ი რომ ათეისტობაზე დებს თავს, ეს ძალიან ცუდია. დიდი მუშაობა მართებთ როგორც ათეისტებს, ისე პედაგოგებს, რომ ხალხს შეაგნებინონ ღვთისადმი და კაცისადმი სიყვარულის გარეშე ადამიანი სრულქმნილებას ვერ აღწევს. ისინი, შემქნელიც და შექმნილიც რწმენის თვალსაზრისით ერთ მთელს წარმოადგენენ და ერთის ცნობა მეორის ცნობას ნიშნავს, მეორისა-პირველის.

თანამედროვე ადამიანი უნდა მიხვდეს, რომ მის მიერ შექმნილი უსხეულო და უხილავი არსება, რომელსაც მან ღმერთი უწოდა, მისგან შემოქმედებით შრომას, სიკეთისადმი თაყვანის-ცემას და ბოროტისა და კეთილის გარჩევას მოითხოვს.

კაცობის კრიტერიუმი უნდა იფარგლებოდეს ზემოთ და-
სახელებული ფაქტორებით და არა მამისშვილობით, გვარისშვი-
ლობით, დიდი კაცის ძმისშვილობით, ჩალიჩობით და ათასგვარი
ძალლობით და მამაძალლობით.

ვინც ჩვენს მიერ დასახელებული კაცობის კრიტერიუმში
ჩასტია თავის ცხოვრება, მან შესძლო თავისი თავი ჩამოე-
ყალიბებია ისეთ ხორციელ და ხილულ არსებად, რომლებიც
თვიანთი შემოქმედებითი ძალით ნამდვილად გაუტოლდნენ
მათი წინაპრების მიერ შექმნილ ღმერთებს. სხვა რა შეფასება
უნდა მიეცეს ჰომეროსებს და ვირგილიუსებს, პლატონებს და
ნიუტონებს, დანტეებს და გოეთებს, შექსპირებს და ბაირო-
ნებს, რუსთაველებსა და ფირდოუსებს, ბარათაშვილებს და გა-
ლაკტიონებს, კანოს, გრეკოს, ლეონარდოს, ჯოტოს, რაფაელს,
მიქელანჯელოს და მისთანებს, რომელთა ჩამოთვლა შორს წა-
გვიყვანს და დროში ზედმეტად გადაგვხარჯავს. დრო კი ის
ფენომენია, რომლის დეფიციტს ყოველთვის განიცდიდნენ არა
მარტო გიგანტები არამედ ჩვეულებრივი საქმიანი ადამიანებიც.
იგი ღმერთს მხოლოდ ზარმაცებისთვის და სხვადასხვაგვარი
არამზადებისთვის მიუცია უხვად.

აკადემიკოსი ზელიმ ჩაკვეტაძე
18-VIII-2023 წ.

საქართველოს სტატუსური და სუბსტანცია

„ქონებას ის ადამიანი უნდა ფლობდეს, ვინც
გონებას ფლობს, დანარჩენ შემთხვევაში საკუთრება
შეიძლება საზოგადოებრივ საშიშროებად იქცეს.
ფრიდრიხ ნიცეს

„იცვლებოდნენ ადამიანები და სახელწოდებანი,
თვით დედა არსი სახელმწიფოებისა უცვლელი რჩებოდა“
სერგეევი

„ერთდროულად იყო ძალიან კარგი ადამიანი და
ძალიან მდიდარი შეუძლებელია“.

პლატონი

უხსოვარი დროიდან არსებობს საკუთრების ორი ფორმა
კოლექტიური და კერძო, რაც შეეხება დანარჩენ ფორმებს, ისინი
საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე შექმ-
ნილი აქსესუარებია.

საკუთრების ორ უძველეს სახეობას შორის უფრო ძველია
გვაროვნულ-კოლექტიური საკუთრება, ხოლო განვითარების
შედარებით მაღალ საფეხურზე, იარაღის წარმოებასთან დაკავ-
შირებით უნდა შექმნილიყო კერძო საკუთრება პირველყოფილი
ფორმით, რაც შეიძლებოდა დაკავშირებულიყო იარაღთან შეჩ-
ვევეასთანაც. იარაღთან შეჩვევა-შეგუება შეიძლება ადამიანის
თანდაყოლილ ინსტიქტადაც ჩაითალოს. შეუგუვდება ადამიანი
იარაღის რომელიმე სახეობას და მას უფრო მოხერხებულად
ხმარობს, ვიდრე სხვას და დაეპატრონებოდა, რითაც გვარი თუ
ტომი არ ზარალდებოდა; ხოლო რაც შეეხება კერძო საკუთრე-
ბის იმ ფორმას, რომელთანაც საქმე გვაქვს ადამიანის განვითა-
რების შემდგომ საფეხურებზე და წარმოადგენს გაიძვერობის,
ჩალიჩობის და სხვა მამაძალლობების სუბსტანციას, რომლებიც
უშუალოდ დაკავშირებულია წარმოებული დოკუმენტების განაწი-
ლების წესის დარღვევასთან, რითაც მოხერხებული გაიძვერა
ცდილობს და ახერხებს, რომ კუთვნილზე მეტი დოკუმენტი მი-
ითვისოს.

კერძო საკუთრების შედარებით მაღალ საფეხურებზე კაც-თა შორის ურთიერთობაში მყარი საფუძველი ჩაეყარა „წენ-ვა-გლეჯის“ ბაზარს, რომელსაც გაჩენის დღიდან არავითარი სასიკეთო ცვლილება არ განუცდია და არც არის საიმედო რომ მომავალში განიცადოს. მისი შეცვლა კაცთა შორის ურთიერთობის პროგრესული ფაქტორებით არის უდიდესი პრობლემა კაცობრიობის წინაშე.

კერძო საკუთრების ქვესახეობა, რომელსაც პირად საკუ-თრებას ეძახიან, არ არის გამორიცხული რომ სამოსის სახით იარაღის საკუთრებასთან ერთად გაჩენილიყო. იგი სხვადასხვა ზომის ადამიანებს ბუნებრივია, რომ სხვადასხვა ზომის დასჭირდებოდა და ამ ფაქტორის მოთხოვნის გადაწყვეტა თუნდაც უმარტივეს გონიერასაც არ გაუჭირდებოდა.

კოლექტიურ საკუთრებასთან დაკავშირებით უნდა გაჩე-ნილიყო გვაროვნულ-ტომობრივი საკუთრების ალმნიშვნელი ტერმინები. ლეჩხუმ-სვანეთში დღესაც გაიგონებ ასეთ ტოპო-ნიმიკურ მინიშნებას: მამარდაშვილების მინა, ყურაშვილების ნაყანები, მუშქუდიანების ნამოსახლი და სხვა.

კოლექტიური საკუთრების ერთ-ერთ ძირითად სახეობას წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრება, ცალკეული კოოპერატი-ვები, ამხანაგობები, სააქციო საზოგადოებები და მოქალაქეთა სხვა გაერთიანებები, მათი ძირითადი ნიშანია წარმოებული დოკუმენტის განაწილების კოლექტიური ხასიათი და ბუნება.

სახელმწიფო საკუთრება წარმოებული დოკუმენტის გა-ნაწილებას ახდენს საზოგადოების ინტერესებისა და თავისი ფუნქციების შესასრულებლად. რაც შეეხება სხვა კოლექტიურ წარმონაქმნებს ისინი ტყუპისცალებივით ჰყვანან „წითელ კო-ლექტივს“, რომლის „ქება-დიდება“ მეც ბევრჯერ მითქვამს და არც სხვებს დაუკლიათ მისთვის წყევლა-კრულვა და და ლან-დლვა-გინება.

თანამედროვე ცხოვრებაში გაჩნდა კოლექტიური საკუთრების ახალი ფორმა, რომელსაც შერეული საკუთრება უწოდეს. იგი შეიქმნა სახელმწიფოში არსებული სხვადასხვა ფორმის საწარმოების და უცხო სახელმწიფოების კაპიტალის (ინვესტი-ციების) გაერთიანების საფუძველზე. ყოველგვარი გაერთიანება

კარგია, თუ იგი პირადულთან ერთად საზოგადოების კეთილ-დღეობისთვისაც მოღვაწეობს.

დიდი მისწრაფება აქვს ხალხს კერძო საკუთრებისაკენ, მა-გრამ იმას ვერ გრძნობენ, რომ კერძო საკუთრებასთან ერთად საზოგადოებრივსაც სჭირდება მოვლა-პატრონობა და დაფასება.

სანამ ადამიანების გარკვეულ ჯგუფებს საზოგადოებრივი ქონება მარტოოდენ მდიდარი უმცირესობის სიკეთედ მიაჩინათ და ვერ ათვითცნობიერებენ იმას, რომ მდიდარი უმცირესობა ლომის წილით სარგებლობს, მაგრამ იმ წილის გარდა ხომ თვი-თეული მოქალაქე თუნდაც მინიმალურად, მაგრამ მაინც სარ-გებლობს და ამ მინიმუმსაც დაკარგავს, თუ მისადმი ჯეროვან ყურადღებას არ გამოიჩენს. საზოგადოებრივი საკუთრების და-ცვა თვითეული მოქალაქის ვალდებულება კი არა მოვალეობაა.

სიტყვის და საქმის ერთმანეთისაგან გათიშვამ, სიცრუემ, უყურადღებობამ, უიმედობამ გათიშა ადამიანი კოლექტივიდან და ობიექტური სამყაროს მიმართ გულცივი გახადა. პიროვნების მიერ კოლექტივისა და საზოგადოების ინტერესების იგნორირე-ბის გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი სხვა აქსესუა-რებთან ერთად წარმოებული დოვლათის განაწილების წესის უსამართლობაა. მასთან დაკავშირებით პიროვნება უარყოფს კოლექტივთან ურთიერთობას და კერძო ინტერესებში იკუთხება და მასში იზრდება პირადული ინტერესებისაკენ სწრაფვა. სა-ბოლოო ანგარიშში კოლექტივისტის მაგივრად ხელში გვრჩება ინდივიდუალისტი და ჰუმანისტის მაგივრად ეგოისტი.

XIX საუკუნეში ევროპაში ინყება ბრძოლა სოციალური უსა-მართლობის წინააღმდეგ და კომუნის კაცების იდეოლოგია სა-ქარათველოშიც შემოდის. სოციალ-დემოკრატებმა დიდი ძალით შეუტიეს როგორც კერძო, ისე ეროვნული საკუთრების ფორმებს და დაინყეს ერის საკუთრებაში არსებული მიწების გასაჩქრება. მაშინ როცა მოსახლეობის რაოდენობაზე გადაანგარიშებით სა-ქართველო ახლო მეზობლებში ყველაზე მცირემინიანი ქვეყანაა. გლეხობასაც მკაცრად შეუტიეს აქაო და კერძო საკუთრება ბოროტების სათავეა და იგი ხალხებისთვის საჭირო აღარ არი-სო. ილია ჭავჭავაძე ბოლშევიკების გაბატონებას და თარეშს არ მოსწრებია, მაგრამ ცხონებულმა ადრე მოისაზრა ამ ცუნდრუკა

პოლიტიკოსების შემოქმედება და ასეთი დარიგება მოგვცა: „კერძო საკუთრება სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდ პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდა იყოს, იაფი არ დაუჯდება“-ო.

კერძო საკუთრებაზე მისევამ მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია ისე გააქტიურა, რომ უკანა რიგში გადაიყვანა სახელმწიფო მთელი თავისი აქსესუარებით და მბრძანებლური პოზიციები თვითონ მას ჩაიბარა. დღევანდელი სახელმწიფო წარმოადგენს მდიდარი უმცირესობის მიერ შერჩეულ პიროვნებათა სამოქმედო ობიექტს. ამ პიროვნებებს როგორც წესი ასახელებენ მდიდარი უმცირესობის წარმომადგენელები, რა თქმა უნდა თავიანთი წრიდან და ხალხები არჩევნებით აკანონებენ მათ ძალაუფლებას.

მდიდარი უმცირესობის აგენტების №1 ამოცანაა თავის მბრძანებლის მითითებების სასახელოდ შესრულება ხოლო რაც შეეხება ფართო მასების ობიექტურ მოთხოვნებს, იგი ყოველ-ნაირად ცდილობს შეასრულოს ისე, რომ თავისი მბრძანებელი და მწყალობელი არ დააზარალოს.

სახელმწიფო, როგორც საზოგადოების მართვის წარმონაქმნი ყოველთვის ცდილობდა ემართა ხალხის ცხოვრება ისე, რომ მდიდარი უმცირესობა კმაყოფილი ჰყოლოდა, რაც ხშირად იწვევდა საზოგადოებრივი მოთხოვნების ჰარი-ჰარიპად შესრულებას, რასაც ხშირად მოჰყვებოდა ამბოხებები, აჯანყებები და ზოგჯერ რევოლუციები. აი ამიტომ თვლიდნენ მარქსი და მისი მიმდევრები კერძო საკუთრებას ბოროტების საწყისად. ეს შეხედულება ზედაპირულია და თუ დასახელებული მდგომარეობის კულისებში ღრმად ჩავიხედავთ, აღმოჩენდება რომ კაცთა შორის დაპირისპირების ძირითადი მიზეზი საკუთრების ფორმით კი არ არის გაპიროვნებული, არამედ წარმოებული დოვლათის განაწილების პრინციპების დარღვევით, რომლის გარეშე მდიდარ უმცირესობას სიმდიდრე ხელიდან გამოეცლება. ღარიბ უმრავლესობას ამ პრინციპის დარღვევა აგანგაშებს და აფორიაქებს და არა პოლიტიკოსების მიერ მონათლული საკუთრების სხვადასხვა ფორმები. მაქსიმ გორკი წერს: „ხალხს

იმის ჯავრი კი არა აქვს დედამიწა ტრიალებს თუ ადგილზეა გაჩერებული. იგი ცაზე თუ გინდა ლურსმნით მიაჭდე, თუ გინდა თოკით ჩამოკიდე, ამის შესახებ არ იჯავრებს... მის ინტერესში შედის, რომ დედამიწამ ხალხი გამოკვებოს და სხვას არაფერს მოითხოვს“ (იხ. მ. გორკის „დედა“) ჩვენი გალაქტიონი კი წერს: „რა სიკეთეს მოელი გამვლელ-გამომვლელისგან, თუ რამ მემა-მულებს არ წაგლიჯე ხელიდან“-ი. თუ მდიდარ უმცირესობას ხელიდან გამოგლიჯე წარმოებული დოვლათის განაწილების პრინციპის დარღვევის შანსი, მაშინ ღარიბთა უმრავლესობის მხრიდან სადაო და საომარი არაფერი იქნება. კაცთა შორის ნამდვილად დამყარდება: ძმობა, ერთობა და თავისუფლება, რომლის დამყარებას ცუნდრუკა სოციალ-დემოკრატები ამაოდ ცდილობდნენ. მათ ორი საუკუნის წინათ დაიწყეს ხალხის დაი-მედება ამქვეყნიურ სამოთხეს აგიშენებით, მაგრამ დაპირებული სიკეთის მაგივრად მხოლოდ „წენვა-გლეჯის“ ბაზარი გაამაგრეს თავისებური აქსესუარებით. არის ასეთი ხალხური ლექსი: მხა-ტვარმა ხატვა დაიწყო, მაღლა ღმერთი ახსენა, ვაჟა ფშაველას ხატავდა გამოვიდა არსენა“-ი ანალოგიური მოქმედება ჩაიდონეს სოციალ-დემოკრატებმა, რომლებსაც თავი „ხალხისთვის წამე-ბულ“ რაინდებად მოჰქმნდათ.

ხალხმა უნდა იცოდეს, რომ სანამ სახელმწიფოს მართვის ბერკეტები მდიდარი უმცირესობის ხელშია, მისი ცხოვრება სასიკეთოდ ძნელად შეიცვლება.

არსებობენ, მრავალგვარი ფორმები საკუთრებისაც და მმართველობისაც, მაგრამ სახელმწიფოზე დიდმნიშვნელოვანი გაერთიანება და მმართველობის ფორმა კაცობრიობას ჯერ არ შეუქმნია და თუ ჩემს აზრს მკითხველი დაეწყობა, ვერც ვერას-დროს შეუქმნის, რადგან მასზე უკეთესი ფორმა არც არსებობდა და ვერც ვერასდროს იარსებებს. იგი რამდენიც არ უნდა წყე-ვლონ და აგინონ საქმეში ჩაუხედავმა ადამიანებმა, იყო არის და იქნება ფართო საზოგადოებისათვის კეთილდღეობის ყვე-ლაზე დიდი გარანტი და თუ ილია კერძო საკუთრებაზე მისევას უვიცობად თვლიდა, ჩვენ სახელმწიფოზე მისევა პოროტებად უნდა ჩავთვალოთ და მას კი არ უნდა მივესიოთ, პირიქით, უნდა შევენიოთ ჩვენი კულტურული და შრომითი საქმიანობით. რად-

გან არ არსებობს კაცთა საკეთილდღეოდ გაერთიანების უფრო გამართლებული ფორმა. ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ მდგომარეობაზე, რომ ჩემნაირი შეხედულებების მქონე კაცებისათვის იგი გამართლებულია როგორც ფორმა, რაც შეეხება შინაარსს, იგი მთლიანად დამოკიდებულია ადამიანების ზნეობრივ და აზროვნულ ფაქტორებზე.

მდიდარი უმრავლესობა რომ სახელმწიფოს იყენებს წარმოებული დოვლათის განაწილების პრინციპის დარღვევასა და სხვა სუბიექტური ინტერესების განხორციელებაში ეს არა მარტო ზნეობრივი, არამედ იურიდიული დანაშაულიცაა, რომლის-თვისაც ორივე უნდა ისჯებოდეს.

მდიდარი უმცირესობის წევრები გამოირჩევან ფართო საზოგადოებისაგან თავისი მოხერხებულობით, ანგარიშიანობით, პრაქტიკულობით, უნარიანობით, რისკიანობით და ხშირად განათლებითაც, რომელთა საშუალებით იგი იმუშავებს ისეთ ხერხებს და მეთოდებს, რომლითაც ბატონდება სხელმწიფოზეც და მთელ მის შემადგენლობაზე, მაგრამ ფართო საზოგადოებას არ აქვს უფლება, რომ იგი ათარებოს თავისი მაღალუნარიანობის გამო.

ჩვენ არ გვაქვს უფლება და არც შეიძლება გვქონდეს, რომ მეჯლანუაშვილებს, ბახვა ფულავებს, დურმიშხან წამალაძეებს, გოგოლის ჩიჩიკოვებს და გონჩაროვის შტოლცებს ზემოთ ჩამოთვლილი უნარების გამო ვეომოთ. მაგრამ როცა წარმოებული დოვლათის განაწილების პრინციპს დაარღვევენ, აუცილებლად უნდა შევახსენოთ ტოლსტოისებური შეხედულება: რომ „ფული, რომელიც აღემატება მასზე დახარჯული შრომის ღირებულებას უსამართლოა“ და იგი უნდა ჩამოერთვას სხვისი ნაშრომის მიმთვისებელ მოძალადეს.

საკუთრება, კერძო იქნება თუ კოლექტიური, აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს სამართლიანობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი საქმიანობა უნდა გავხადოთ სამართალდამცავი უწყების მსჯელობის საგნად, მაგრამ თუ ადამიანებმა მათ სამართლიანობისკენ ვერ მისცეს მიმართულება, არ არის გამორიცხული, რომ ორივე მათგანი თავიანთი აქსესუარებით სატანას სამსახურში ჩადგეს.

რადგან სამყაროში ყველაფერს თავისი შინაარსის შესაფერისი ფორმა აქვს და თუ არ აქვს უნდა ჰქონდეს, ამიტომ ყველაფერი შეზღუდულია დროითაც და სივრცითაც. ყოველ ფორმას და შინაარსს თავისი შესაფერისი საზღვარი აქვს დადებული და მხოლოდ კერძო მესაკუთრის უფლებები არის შეუზღუდავი და რადგან მდიდარი უმცირესობა ნებივრობს ლარიბი უმრავლესობის ათასგვარი გაჭირვების ხარჯზე, ჰიუგო წერს: რომ „მდიდართა სამოთხე ლარიბთა ჯოჯოხეთზეა დაშენებული“ და პლატონის შეხედულებით: „შეუძლებელია, იყო ძალიან კარგი და ძალიან მდიდარი“. (ალბათ საშუალო სიმდიდრე ყოფილა დასაშვები) ხოლო ფრიდრიხ ნიშცეს შეხედულებით: „ქონებას ის ადამიანი უნდა ფლობდეს, ვინც გონებას ფლობს, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში საკუთრება შეიძლება საზოგადოებრივ საშიშროებად იქცეს“ ეს შესაძლებლობა გენრე ფორდის მიერ 1925 წლის გაზეთ „ნუ-იორკ ტაიმსში გაკეთებული განაცხადის: „იზოლაციაში მოაქციეთ 50 ყველაზე მდიდარი ებრაელი და ომები შეწყდება“ გვაძლევს იმის თქმის საფუძველს: რომ ზედმეტი სიმდიდრე ადამიანის ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს (სხვა რა არის კარგი ზედმეტი და მოჭარბებული) და გვკარნახობს, რომ დაწესდეს კერძო მესაკუთრეთათვის მოგების ჭერი, რაც შეღავათს მისცემს დაქირავებულ მუშას. ეს ჭერი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ისეთი მაღალი, რომ მისი საშუალებით მდიდარმა უმცირესობამ ლარიბი უმრავლესობა მუდმივ შიმშილში, გაჭირვებაში და ლუკმა-პურის ძებნაში აცხოვროს.

თუ საზოგადოება ირწმუნებს ჩემს მიერ ზემოთ გამოთქმულ აზრს, რომ კაცთა ცხოვრებაში კეთილდღეობის უდიდესი გარანტი სახელმწიფოა, მაშინ იგი უნდა ვიხსნათ იმ უზარმაზარი მარწუხებისაგან, რომლებისგანაც იგი უხსოვარი დროიდან მდიდარი უმცირესობის მიერ ისეა შებოჭილი, როგორც ლაოკონი გველისაგან და ალვჭუროთ იგი მაქსიმალური უფლებებით, იმ პირობით რომ მაქსიმალურად თუ ვერა საშუალოდ მაინც დაიცავს ფართო საზოგადოების კანონიერ მოთხოვნებს. სახელმწიფო მმართველობის რომელ ფორმას აირჩევს ეს მისი გადასაწყვეტი უნდა იყოს ფართო საზოგადოების წარმომადგელებთან შეთანხმებით.

მე პირადად მმართველობის ყველაზე გამართლებულ ფორმად რესპუბლიკური მმართველობა მიმაჩნია. მართალია, რესპუბლიკური მმართველობის სახელით ბევრი სახელმწიფო სარგებლობს და მათ შორისაა საქართველოც. მაგრამ ისინი რესპუბლიკურ მმართველობას კი არა მდიდარი უმცირესობის აგენტურას წარმოადგენენ და მათ მიერ დაკრულ დუდუკზე როკავენ.

აკადემიკოსი ზელიმ ჩავეტაძე
21-XI-2023 წ.

ღმერთისა და საქანქას უძლიერობის აქსიოლოგია

კრიტიკის საქმეა საზოგადოებრივი აზრი
გააცნობიეროს ანალიზის გზით.

ბელინსკი

„ყოველი მეცნიერული კვლევის წინ აუცილებელია გამო-
ვიდეთ ისეთი მეცნიერული პრინციპებიდან, რომლებიც
არავითარი ეჭვისათვის არ ტოვებენ ადგილს.

დიოგენე

„კაცთ ასე მოსდით, კარგს თვისებებს იქ ხედავენ,
სადაც არ არის“.

ლუკრეციუსი

„ვაი მას, ვინც ბოროტებას სიკეთეს არქმევს,
ვინც ბნელს ნათლად სახავს და ნათელს-ბნელად“.
ესაია

პომო საპიენსმა გაადამიანების პროცესში შექმნა ერთმა-
ნეთის მიმართ ანტიპოდურად განწყობილი ორი ილუზორული
არსება ღმერთი და სატანა.

პირველს მიაწერა როგორც ამქვეყნიური ისე იმქვეყნიური
ყველა სიკეთე, ხოლო მეორეს ბოროტება.

ადამიანის შექმნა რომ კეთილი საქმეა ეს საკითხი კრიტიკას
არ ექვემდებარება-რადგან იგი აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და
ყოველგვარი მსჯელობის გარეშეც ცხადია. მაგრამ მისი ჩაკეტვა
თვით ედემის ბალშიც კი, სადაც არავითარი სიკეთე არ აკლდა
გარდა ცოდნის ხის ნაყოფის გამოყენებისა დიდ საიდუმლოებას-
თან არის დაკავშირებული. საკითხავია, რატომ ისურვა ღმერთ-
მა ადამიანი ჰყოლოდა ედემის ბალში ისე, რომ მას არასდროს
გაესინჯა ცოდნის ხის ნაყოფი?!

მილტონის სატანა ასეთ კომენტარებს უკეთებს ღმერთის ამ
უცნაურ დადგენილებას: „ცოდნისთვის იგი სიკვდილით სჯის?
ცოდნა ცოდვაა!“

ნუთუ ეს არის ჭეშმარიტი ბედნიერება?!
მორჩილებას და ერთგულებას ამითი ნერგავს?
ო, მშვენიერი საფუძველი ჰქონია, მაშინ
ამ საფუძველზე აშენდება იმათი ნგრევა.

მიღლტონისეული ღმერთი არ ზრუნავს თავისი ქმნილების სრულყოფასა და გაკულტურებაზე. იგი მხოლოდ იმითაა დაინტერესებული, რომ დაიცვას იგი ცოდნისგან და ცოდვისგან, იყოლის მუდმივ უვიცობაში და გაუნათლებლობაში. ბიბლიის ცალკეული არგუმენტები გვარჩმუნებენ იმაში, რომ ღმერთს ადამიანი მისსავე ხატად და მსგავსად კი არა, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, მორჩილ მონად და მსახურად შეუქმნია. და თუ არა სატანა და მისი ონბაზობა, კაცობრიობა დღესაც სრულ უვიცობაში ეყოლებოდა. ასეთ შემთხვევაში ბიბლიური შემოქმედის დამოკიდებულება შექმნილისადმი უფრო მეტად სატანურია ვიდრე ღვთაებრივი.

ღმერთი, როგორც ბიბლიური ისე სატანისეული, თავის შემოქმედებასთან ერთად სიბძელისა და გაუნათლებლობის იდეის გამტარებელია, სატანა კი-ცოდნის ხის ნაყოფის გამოყენების მენტორი. იგი თავისი ავანტიურისტული ზრახვების განხორციელებისათვის ადამიანის გათვითცნობიერებას ტაქტიკად იყენებს და გათვითცნობიერებულ ადამიანს შეაქმნევინებს იმ „წენვა-გლეჯის“ ბაზარს, რომელშიც ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ:

„...ყოველი ნიჭი მაცდურებაა, სად თვით სიტურფე და სათნოება ეშმაკის მახე და ცდუნებაა, სად ცოდვა კაცსა სდევნის დღელამ ეშმაკისა მას მაცდურისასა, სად შური ზაკვა ძულებადა ჰედის წმინდა სიყვარულს მოყვასისა. სად რყვნა წაწყმედა და ღალატი სადაც ძმა ჰესარბობს სისხლს ძმისასა“.

თუ ილიას აზრთან დაკავშირებით ბალზაკის აზრსაც გავიხსენებთ, კაცთ შორის ურთიერთობის შესახებ: რომ „ადამიანებს ერთმანეთი სძულთ, რა ქნან? ასეთია მათი ბუნება და თუმცა ხანდახან მაინც ცდილობენ საზოგადო სიკეთეს დაუქვემდებარონ თავიანთი ანგარება ყველა ამნაირი ცდა არრა არის რა თუ არა პირფერობა, გულმოწყალეობანას თამაში და ყალბი ქველმოქმედება, ვინაიდან თავი და თავი მაინც ურთიერთსი-ძულვილია“.

მიღწონის სატანას გამჭრიახმა გონებამ სწრაფად განსჭვრიტა, რომ ადამიანის მიერ ცოდნის ხის ნაყოფის გამოყენების აკრძალვით ღმერთს თვითონ შეუქმნია თავისი ქმნილების გაუბედურების დასაწყლების და დაზომბების საფუძვლით, რომელიც მან ბრნყინვალედ გამოიყენა და კაცთა შორის დაამკვიდრა ის დოქტრინები, რომლებზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი „წენვა-გლეჯის“ ბაზართან დაკავშირებით.

პირველყოფილი ადამიანის გონებამ პოლიტეიზმის ეპოქაში ღმერთების არმიები შექმნა, შემდეგ მონოთეიზმზე გადავიდა, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა შემქმნელის იმედები ვერ გაამართლა ამ ქვეყნად და იმ ქვეყნაში რა ხდება, მაგის მნახველი ჯერ ამ ქვეყნად მობრუნებული არავის უნახავს. ომარ ხაიამს უთქვამს: „კაცი ვერ ვნახე იმ ქვეყნიდან მობრუნებული, მოგზაურობის ამბავი რომ მოეთხორ მაინც“ -ო. კი სწერია ბიბლიურ წიგნებში ცალკეულ პიროვნებათა გაცოცხლების ამბები, მაგრამ მე ისინი ურიებისგან მოჩმახული ჭორო უფრო მგონია ვიდრე რეალობა და ომარ ხაიამის მიერ გამოთქმული აზრის ჭეშმარითებაში არავითარი ეჭვი არ მეპარება.

რადგან კოსმოსში არ არსებობს არც არსი, არც აზრი და არც ძალა, რომელიც დროისა და სივრცის შესაფერისად არ იცვლებოდეს, გარდა იმ ერთადერთი არსისა რომელსაც ცვალებადობას ეძახიან, შეიძლება დავასკვნათ: თვით ღმერთების ბატონ პატრონობაც, ავტორიტეტიც და ძალაუფლებაც ცვალებადია. და ძველი ღმერთების ადგილზე მოდიან ახლები, ხოლო ძველები ისტორიას ბარდებიან. ამის დადასტურება ზემოთ ნახსენები ღმერთების არმიები, რომლებიც ისტორიის საკუთრებაში გადავიდნენ.

ღმერთების შეცვლა ათეიზმი არაა ეს ცვალებადობა თვით ცხოვრების განვითარებითაა ნაკარნახევი. თუმცა ძველი ყოველნაირად ცდილობს ავტორიტეტის შენარჩუნებას და ხშირად დიდ წინააღმდეგობად იმართება პროგრესის წინაშე და უხეშ ძალასაც იყენებს თავისი დრომოქმული ტრადიციებსა და ჩვევების დასაცავად, მაგრამ მომძლავრებულ პროგრესთან მალე დებს ზავს ცხოვრების სიახლეს ეგუება.

გავიხსენოთ იელოვას მოთხოვნები თავისი რჩეული ერის კაცებისადმი. მისგან დაიმედებულმა ისრაელებმა „მუსრი გაა-

ვლეს ბაშანის ჯარს და მთელ მის ქალაქს, ისე რომ არავინ დარჩენილა ცოცხალი და დაისაკუთრეს კიდევაც მათი ქვეყანა“ (რიცხვი 21; 33; 35) ისრაელები დამარცხებულ ხალხებს მუსრს ავლებენ არა საკუთარი სურვილით არამედ იელოვას დავალებით... „მადიაველებთან ბრძოლის დროს მათი ყველა მამაკაცი მოკლეს, მათ ცოლები და ბავშვები ტყვედ წაიყვანეს (რიცხვი 31:7:9) ასეთ მოქმედებებს მიაწერს ბიბლია იელოვას ერთ-ერთ უდიდეს ავტორიტეტს ღმერთების მრავალრიცხოვანი არმიისა.

ძველ საბერძნეთში და რომში გაჩნდნენ მეამბოხე სულის ადამიანები: თაღესი, ეპიკურე, ჰერაკლიტე, ანაქსიმენე, ქსენოფონანე, პითაგორა, დემოკრიტე, ლურეციუსი და სხ. რომლებმაც უარყვეს პირველყოფილი ადამიანების გამოგონილი ღმერთების ყველაფრისშემძლეობა და დაიწყეს იმის მტკიცება, რომ ბუნება ცოცხალი სინამდვილეა და თავისთავს თვითონ უწევს ქმნადობას.

მატერიალისტი მოაზროვნები სიცოცხლის და ადამიანის წარმოშობის ბიბლიურ შეხედულებებს აღმოსავლურ ზღაპრებად მიიჩნევნ. დარვინმა, როგორც ფილოსოფოსი გოგიბერიძე წერს: „უკანასკნელი ლახვარი ჩასცა რელიგიების ისედაც დაავადებულ სხეულს. მათ ეკლესიას უკანასკნელი საყრდენი გამოაცალა“. (იხ. მისი რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი ტ. II, გვ. 297, 1971 წ.) მისივე განმარტებით: „ყოველთვის და ყველგან ადამიანი ქმნიდა ღმერთს და როცა ადამიანს ცხოვრება ისე მოეწყობა, რომ მას ღმერთი აღარ დასჭირდება, ცხადია რომ იგი მას აღარ შექმნის“ (გვ. 303).

ეკლესია დიდი გულმოდგინებით ცდილობდა საზოგადოების კლასთა შორის ბრძოლის მიჩქმალვას და მოდუნებას, მაგრამ საბოლოო ანგარიშში მაინც იჩინა თავი რევოლუციურმა და ათეისტურმა მოძრაობამ ჯერ რომსა და საბერძნეთში შემდეგ ევროპაში. დიდი რევოლუციების პერიოდში საფრანგეთში ათეისტების პარტიაც კი არსებობდა.

2005 წლის მონაცემებით ჩვენი პლანეტის მოსახლეობის 33%-ი ქრისტიანია, 21%-ი ისლამისტი, 0,22% იუდაისტი, 14% ინდუისტი, 6% ჩინური რელიგიების მიმდევარი, 4%-ი სხვა ტრადიციული რელიგიების მიმდევარი, 16%-ი კი ათეისტი.

როგორც ვხედავთ, რაოდენობის მიხედვით ათეისტები III

ადგილზე არიან ისინი ანგარიშგასაწევი ძალები გახდნენ კაცთა ცხოვრებაში. მათ რაოდენობასთან ერთდ გააჩნიათ სწავლისა და განათლების პრეროგატივაც – პროცენტული გაანგარიშებით არც ერთ რელიგიას არ ეყოლება იმდენი სწავლული და მეცნიერი რა მდენიც მათ ჰყავთ.

მე ღმერთების წინააღმდეგი არასდროს ვყოფილვარ და არც ახლა ვარ, მაგრამ სამართლიანად მიმაჩნია, რომ ისეთი ღმერთები, რომლებიც ხალხისაგან სისხლის ღვრას, შურიანობას, მტრობას, სიცრუეს, დაუნდობლობას და გაიძვერობას მოითხოვენ, მათ მიერ ცოდვილი სულისთვის შექმნილ ჯოჯოხეთში გავამგზავროთ და იქ მათ დამსახურებაზე და კაიკაცობაზე სატანას საბჭო იმსჯელებს. ვინ იცის, იქნებ ზოგიერთმა მათგანმა პრეზიდენტობა თუ არა პრემიერ მინისტრობა მაინც გააჩალიჩოს ხოლო რაიკომის მდივნობას და თავმჯდომარეობას ხომ რაღა დაუდგება წინ.

რაც შეეხება ახალ რელიგიებს და ახალ ღმერთებს, უნდა ითქვას, რომ რელიგიებში თუნდაც ზედაპირულად ჩახედულმა თითოეულმა კაცმა იცის: რომ გლობალიზმი ამ საქმეს მასონიზმის ინტერესების გათვალისწინებით მოუარს და გაახარებს ახალი მოშიახოებით და ვიშნუებით.

რაც შეეხება სატანას რომლის შესახებ ზემოთაც მქონდა საუბარი, მის სასახელოდ უნდა ითქვას: იგი თავდადებული, გონივრული და მოხერხებული შემსრულებელია ყველა იმ მოვალეობისა რომლებიც მას მისმა შემქმნელმა დაუწესა. ღმერთებსაც რომ ისე პირნათლად შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობანი როგორც ის ასრულებს, ახლა დედამიწა არა მარტო „ამა ქვეყნის უძლიერესთათვის“ არამედ ყველა ადამიანისათვის რეალური სამოთხე იქნებოდა. რძის მდინარეებით და თაფლის სანაპიროებით, სადაც ამ საწყალ ხალხს ტუჩების ცმაცუნის მეტი არაფერი დასჭირდებოდა.

იელოვა და ძმანი მისი სატანას მხოლოდ სიტყვით უპირისპირდებიან, მაგრამ საქმით მის წისქვილზე ასხამენ წყალს. ამის კარგი დადასტურებაა „მოსეს რჯული“ თავისი ებრაული ფაშიზმითა და მიხაკისფერი და წითელი სოციალიზმებით.

მართალია, სატანა დაამარცხა მიქელ ანგელოზმა ჯერ არ-

სმენილი და არნახული დარტყმით, რომლის მსგავსი დარტყმა არც მანამდე და არც შემდეგ არც დედამინას და არც კოსმოსს არ უნახავს, მაგრამ რაღაც მანქანებით ფიზიკურად გადარჩა და მოღვაწეობაც განაგრძო. მისი დამარცხება სიმბოლურ ხასიათს ატარებს და არა რეალურს, რადგან იგი იდეურად არ დამარცხებულა და დღემდე აგრძელებს თავის ამბოხს მრავალნაირი მეთოდებით და ხერხებით. მასონების ერთ-ერთმა უდიდესმა წარმომადგენელმა საქვეყნოდ განაცხადა: „...მიზანს თითქმის მივაღწიეთ, რჩება მცირედი სივრცე და ჩვენს მიერ განვლილი გზა შეკრავს იმ სიმბოლური გველის წრეს, როგორადაც გვყავს წარმოდგენილი. როცა ეს წრე შეიკვრება. ევროპის ყველა სახელმწიფო ჩვენს ხელთ აღმოჩნდება (იხ. „სიონის ბრძენთა კრების ოქმი №3)... დღეს სახელმწიფო მექანიზმი მუშაობს ძრავით, რომელიც ჩვენს ხელთაა. ეს არის ოქრო... მოსეს რელიგია... ხალხებს მოიყვანს ჩვენდამი თაყვანის საცემლად (ოქმი №3 და №14)... ჩვენი მეფობა მიჩნეული იქნება ღმერთ ვიშნუს აპოლოგიად (ოქმი №17).

ჯორჯიის შტატში სტელაზე გაკეთებული წარწერა: რომ „დედამინაზე უნდა ცხოვრობდეს მხოლოდ 500 მნ-ი კაცი“, იმის დადასტურება, რომ „ილუმანიტები“ იღწვიან იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც სატანას შემოქმედებას უდიდეს სამსახურს უწევს. სატანას, რადგან იგი მიმართულია ღმერთების წინააღმდეგ, რომლებმაც ადამიანებს დანაპირები ვერ შეუსრულეს და იმქვეყნიური იმედებით აცხოვრებენ საქმეში ზედაპირულად ჩახედული ადამიანები, პროგრესულად მიიჩნევენ, რაც არ არის სწორი, რადგან სატანა ისეთივე სატანაა ადამიანებისთვისაც, როგორიც ღმერთებისთვისაა და არაა გონივრული რომ ღმერთებთან დაპირისპირებისთვის ანტიქრისტეს მოღვაწეობა ქრისტეს საქმიანობაზე წინ დააყენოს ვინმერ.

ქრისტიანულ ეთიკაში საფუძვლიანად ჩახედული კაცი დამერწმუნება იმაში რომ იესო ქრისტე ძირფესვიანად განსხვავდება თვით მამამისგან, თორემ სხვა სისხლისმსმელ მოლოკა ღმერთებთან მისი გატოლებით კაცმა შეიძლება სული წაიწყმიდოს და ჯოჯოხეთის ჯურღმულში ამოჰყოს თავი.

იესო ის ღმერთკაცია, რომელმაც გააუქმა მოსეს რჯული, რომელიც ღირსეულ ადამიანებად მხოლოდ აპრაამის მოდგმას

თვლის და აღიარებს უფლებას არა საერთოდ კაცისას არამედ მარტოოდენ ებრაელისას. ქრისტე შორსაა იმ ქურუმებისგან, რომელიც მოსეს რჯულის გასამტკიცებლად ხალხს აჯანყების-კენ მოუწოდებდნენ მისი რწმენით გამართლებული ურთიერთობა კაცთა შორის დამყარებულია მოყვასის სიყვარულზე და არა მარტოოდენ სარწმუნოებაზე. მოყვასს ებრაელები მხოლოდ თავისი რჯულის ადამიანს უწოდებდნენ, იესო კი-ყველა ადამიანს, რომელიც თავისი მსგავსისადმი სიყვარულს იჩენს. იესომ უარყო მოსეს რჯული და მის ნაცვლად დაამკვიდრა ახალი სარწმუნოება.

იოსეს ყველაზე საშინელი მტრები იყვნენ ფარისევლები. ეს ვიწრო გონების ხალხი სდევნიდა მას. მას არც მღვდელთან ჰქონდა კარგი დამოკიდებულება-ერნესტ რენენი წერს: „იესოსავით არავის არ სძულებია მღვდლები და სარწმუნოების დამაკნინებელი ფორმები... სარწმუნოების გარეგან ფორმათა უარყოფა გახდა ერთადერთი საფუძველი ჭეშმარიტი რწმენისა და თუ ვალიარებთ, რომ სარწმუნოება საჭიროა კაცობრიობისათვის... იესოს მეოხებით კაცობრიობას გადაეცა სრულიად ახალი ხალხთა ძმობისა და გულის სიწმინდეზე დამყარებული იდეა და ეს იდეა იმდენად ამაღლებულია, რომ ქრისტიანული ეკლესია ვერ შესწვდა მას და სულ ერთიანად გადაასხვაფერა იესეს განზრახვანი. ჩვენს დროშიც ძალიან ცოტას შეუძლია ამ იდეამდე სულის ამაღლების“. (იხ. ქრისტეს ცხოვრება და მოღვაწეობა გვ. 34 გამ. „მერანი“).

სამარიელ ქალს, რომელიც ავადმყოფი ბავშვის განკურნებას თხოვს იესო ასეთ პასუხს აძლევს: „არ არის კარგი შეიღებს წაართვა პური და ძალლებს გადაუგდო“ (მათე 15:26) რაც იმას ნიშნავს, რომ იესო ისრაელებს მიიჩნევს შიღებად, სამარიტებს – ძალლებად. იესო რომ ნამდვილად ასეთი აზრის ყოფილიყო, მაშინ იგი მოსეს რჯულის უარმყოფელი კი არა, დამცველი ჯარისკაცი იქნებოდა. ეს ეპიზოდი იმ იდეოლოგების მიერ არის ჩანარილი რომლებზეც რენანი გვეუბნება: „ქრისტიანული ეკლესია ვერ შესწვდა მას და სულ ერთიანად გადაასხვაფერა...“ ასეთი არგუმენტები სახარებაში უხვად არის მოცემული და ისინი აუცილებლად ამოღებას უნდა დაექვემდებარონ, თუ უნდათ ქრისტიანებს, რომ ქრისტეს როგორც ღმერთს სიცოცხლე გაუხანგრძლივონ.

P.S. განსაკუთრებულ ყურადღებას მომითხოვს ათეისტის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ათეიზმი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ყოველგვარი რელიგიის უარყოფას, ხოლო ათეისტი არის კაცი, რომელსაც ღმერთი არა სწამს. თუ სიტყვის ლოგიკურ მნიშვნელობას ღრმად ჩავუკირდებით, აღმოჩნდება, რომ შინაარსი ფორმას ნაწილობრივ შეესატყვისება და არა მთლიანად ქართული რჯული და თურქული გიაური, ბერძნული ათეისტის სინონიმებია. გიაური ნიშნავს ურჯულოს, უღვთოს, გარენარს. ქართული რჯული ამა თუ იმ რელიგიურ მოძღვრებას. სამივე შემთხვევაში ათეისტი სალანდღავი სიტყვაა. ადრე ათეისტების რაოდენობა მცირე იყო. ახლა იგი 16%-ია და არცერთი რელიგიის მიმდევართა რიცხვი იმოდენა პროპორციით არ იზრდება, როგორც მათი – და მისი ერთი წევრის გალანდღვაც კი დიდი დანაშაულია. კაცს არ სწამს შენი იელოვები, ქრისტეები, მოქამედები, დუმურზები, დემოურგები, ოლინები და მათი კოლეგები, მაგრამ სწამს: კაცობა, ქალობა, ნათესაობა, ძმობა, მეგობრობა, მამულიმვილობა, ოჯახიმვილობა და მრავალი სხვა. ასეთ კაცს რომ გაღანძლავ ათეისტი ხარო, ბებერი მუშტებით რომ ლამაზი სახე დაგიმახინვის, რომლის შექმნაზე საწყალმა მამაშენმა უზღვავი შრომა გასწია, კომერციულის გარდა, ვერც სახალხო, ვერც ქურდული, ვერც ყაჩაღური, ვერც პარტიული და ვერც საეკლესიო ბირჟის ბიჭების სამართალი ვერ დაგიცავსს და საწყალი მამაშენის მიერ ხორცშესხმულ და გასულიერებულ მიქელანჯელოს ქანდაკებას ბავშვების საფრთხობელად გაქცევენ შეურაცხოფილი ათეისტები, რომლებისთვისაც ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტები კაიკაცობის კრიტერიუმად არის მიღებული.

თუ ჩემი შეხედულება არ სტყუა, ათეისტების რიგებიდან მეტი მოსალოდნელია ახალი ღმერთების გამოჩენა. ვიდრე ამ მორჩმუნებისგან რომელთა შესახებ შევჩენკო ასე მიმართავს ღმერთს:

„ყოველ ტაძარში ლოცვად დგებიან, იწვის სანთელი და საკმეველი,

ხატებას შენსას ევედრებიან, ყაჩაღობაში შეგვიწყვე ხელი“-ო.

კოლხეთის საერო სამეცნიერო და საერთაშორისო
აკადემიის აკადემიკოსი ზელიმ ჩაკვეტაძე , 9-II-2024 წ.

სიყვარული და სიძუღვილი

„რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია.
ილია ჭავჭავაძე“

„სიყვარული სამყაროს მარადიულობის დიდი პრინციპია, უნივერსალური ჰარმონიის, სიკეთისა და მშვენიერების უშრეტი წყარო, სამყაროს მრავალფეროვნებას საგანთა სიმრავლე უდევს საფუძვლად. ხოლო საგანთა სიმრავლეში ძევს მარადიული ტენდენცია პირველადი ერთიანობისაკენ მიქცევისა და მიბრუნებისა, რომელსაც სიყვარული ჰქვია სახელად.“

პლატონი

„ადამიანი, თუ მას აღზრდა არ მიუღია, ან ყალბი აღზრდა მიიღო, მაშინ ის ყველაზე საშინელი არსებაა იმ არსებათა შორის, რომელსაც დედამიწა წარმოშობას“.

იანამოს კომენტარი

ვერც სიყვარულზე და ვერც სიძუღვილზე, რომლებიც კაცთა ცხოვრებაში წამყვან ძალებს წარმოადგენენ, ვერ ვიმსჯელებთ ობიექტურად გრძნობათა მოშველიების გარეშე. გონება, რომლის მნიშვნელობა განუზომლად დიდია კაცთა ცხოვრებისთვის, მიუხედავად თავისი სიდიადისა, პირველობას მაინც გრძნობას უთმობს. გრძობების მომლერალი და თაყვანისმცემელი ალექსანდრე ჭავჭავაძე წერს: „შენი გონების სხივინ ეგრებრზე ბრწყინავს ძლიერად, მშვენება გინა არა გქონდეს, მით იმნათობებ, მშვენება შენი ესრეთ მძლევლობს ამქვეყნიერად რომე გონების უმწეოდაც მაინც იმფლობლებ. მაგრამ რა ხელს ჰყორი, მარქვი მაგა ნიჭთა კეთილთა, თუ გული შენი სიყვარულსა არ მიიკარებს? მგრძნობელობა სჯობს ყოვლთ თვისებათ ცით მოვლენილთა მშვენებასაც და გონებასაც ის ასულდმაგრებს“.

იმასაც ამბობს ერთი ევროპელი მწერალი: „სადაც გრძნობა არ არის იქ გონება ჩილუნგდებაო“. გრძნობა, როგორც ფსიქოლოგები გვასწავლიან: გამოხატავს სუბიექტის შინაგან მდგომარეობას მის დამოკიდებულებას საგანთან“ იგი განცდაა რაიმე ემოციისა სიყვარულის, მწუხარების, შიშის, სიძუღვილის და სხვა.

მართლაც ჩვენი სტატიის ლეიტმოტივი სიყვარული და სიძულვილია, მაგრამ მეგობრობის გვერდის ავლა არავის არ აძლევს დიდ ხეირს და არც ჩვენ მოგვცემს, ამიტომ უპრიანი იქნება მეგობრობის გრძნობით დავიწყოთ. ჰიუგოს ესმერალ-და მეგობრობისა და სიყვარულის ასეთ განმარტებას იძლევა: „მეგობრობა ნიშნავს და-ძმობას, როცა ორი სული ერთმანეთს ეხება, მაგრამ ერთ არსებად არ იქცევა. ეს ერთი ხელის ორი თითია. სიყვარულია, როცა ორი ერთ არსებებად შეერთდება, მამაკაცი და ქალი ანგელოზად იქცევა. „სიყვარული ზეცაა“ (იხ. ჰიუგოს „პარიზის ღვთიმობლის ტაძარი“ გვ.130).

ადამიანს არ შეუძლია ყველა ადამიანის მიმართ ერთნაირად იყოს განწყობილი, შეიძლება ერთის მიმართ სხვანაირი განწყობა ჰქონდეს, ვიდრე-მეორესთან. შეიძლება ერთი მეტად მოსწონდეს ვიდრე მეორე და მას უფრო შეეგუოს და უფრო გულთბილი დამოკიდებულება დაიჭიროს მასთან ვითრ სხვებთან. ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა ახალი გრძნობა ამხანაგობის სიყვარული რომელსაც მეგობრობას უწოდებენ. არსებობს სიყვარულის სახეობები: ქალ-ვაჟის, ღვთაების, დედ-მამის ცოლ-შვილის, ქმარშვილის, ნათესაობის, ბინების, მეცნიერების, ხელოვნების და სხვ.

რაც შეეხება სიძულვილს, იგი კეთილდღეობის წინააღმდეგ ბრძოლის ხელისშემსლელი მიზეზების და უსიამოვნო ემოციების განცდის გრძნობაა. ადამიანის არსებობის ერთ-ერთი პირობაა ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რასაც მისთვის ზიანი მოაქვს.

ადამიანებს უნდა უყვარდეთ ერთმანეთში მხოლოდ კეთილი და მშვენიერი და უნდა სძულდეთ ბოროტი, მახინჯი, ყალბი.

სიყვარულის სახეობათაგან ერთ-ერთი ძირითადი და ძნელად შესასწავლი ქალ-ვაჟის სიყვარულია. იგი იქმნება ურთიერთსიყვარულის, ურთიერთგაების, ურთიერთერთგულების ნიადაგზე. სიყვარული არის ქალ-ვაჟის ურთიერთობის და დამოკიდებულების უმაღლესი ფორმა. სიყვარული ვნებაა, მაგრამ კეთილშობილური, რომელიც სათნოებად იქცევა, თუ მისი კონკრეტული გამოვლენა არ ეწინააღმდეგება ჯანსაღსა და გონივრულ ადათებს.

არსებობს ქალ-ვაჟის სიყვარულის სამება:

1. პლატონური ანუ სულიერი;
2. ეროტიული ანუ ხორციელი;
3. რუსთაველური ანუ ადამიანური.

პლატონური სიყვარული არის იდეური ანუ სულიერი და იგი კმაყოფილდება სულიერი თანაგრძნობით და ეროტიული სწრა-ფვა შეყვარებულებს შორის თითქმის არ არსებობს. ამის დამა-დასურებელია „ლეილ-მაჯნუნიანიდან“ ამოღებული ფრაგმენტი, რომელიც მოგვითხრობს: რომ... ლეილას სიყვარულით ველად გაჭრილ გაგიჟებულ მიჯნურს ვიღაც დედაბერმა თოკი ჩააბა და ისე მიიყვანა ლეილას სახლში. მაგრამ სიყვარულით შეშლილმა ჭაბუქმა, როგორც კი მოჰკრა თვალი ლეილას სახეს, თოკი აიწყ-ვიტა და მინდვრად გაიქცა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ლეილი მისთვის როგორც ხორციელი არსება ღირებულების შემცველი აღარ არის, რადგან იგი მასში სულიერად არის გამარჯვებული.

ეროტიული სიყვარულის მიმდევართათვის მიღებული ნორ-მაა ჰორაციუსისეული რჩევა „მოებლაუჭე წამს“. ამ რჩევას ყველგან და მათ შორის საქართველოშიც უამრავი მიმდევარი ჰყავდა და ჰყავს. ქართული ფსიქოტიპებისათვის კი დამახასია-თებელია რუსთაველური სიყვარული, რომელიც ხორციელი და სულიერი ინსტიქტებისა და მოთხოვნილებების კომბინირებაში, მათ მარადისაბასთან შერწყმაში ხედავს ამქვეყნიური ცხოვრე-ბის აზრსა და გამართლებას.

რუსთაველის შეხედულება: რომ „სიყვარული არის საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“ და მისი მოთხონა: „გული ერთსა დააჯეროს (იხ. სტ. 20 და 25) არის სრული უარყოფა უგულო სიყვარულისა და მასთან დაკავშირებული „მტლაშა-მტლუშისა“. სიყვარულისა და მასთან დაკავშირებული „მტლაშა-მტლუშისა“.

ეროტომანით შეპყრობილ მელექსეს რომ უთქვამს: „კაცის გული ასეთია ვით მორევი შავი ზღვისა, რა გინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც ენატრება სხვისა“-ო საქმეში ჩახედულმა თვი-თეულმა კაცმა იცის, რომ ხალხის სურვილები და მისწრაფებები წარმოადგენს კაცთა მრავალფეროვანი ცხოვრების სუბსტანციას. ეს სუბსტანციურობა არ ნიშნავს იმას, რომ ყოველი ადამიანი ყველაფრის მცოდნე, ყველაფრის შემძლე და ყოველნაირი სი-კეთის მთესველი იყოს. ერთი ძეძვს რგავს, მეორე ვაზს, მესამე მათ მოღვაწეობას შეფასებას უკეთებს და ჩვენი ცხოვრების სავა-ლალოდ ხშირად ძეძვის მრგველი მეტ პატივშია, ვიდრე-ვაზისა.

ხალხი, როგორც ზემოთ ითქვა, ინერტული მასაა. ამ მასის მიერ წარმოქმნილი ინდივიდები ახდენენ წარმოქმნელში არსებუ-

ლი პოტენციური შესაძლებლობების შესწავლას, განსახიერებას, დახვენას და გალამაზებას. იგი აუცილებლად საჭიროებს მის მიერ წარმოქმნილი ინდივიდებისაგან მუდმივ კონტროლსა და ყურადღებას, რომლის გარეშე იგი ერთმანეთში აურევს: სიკეთესა და ბოროტებას, თეთრსა და შავს, მტერს და მოყვარეს, ბრძენს და რეგვენს, თეოსტის და ათეოსტის, წმინდანს და ცოდვილს და სხვისი ცოლების მოძუძურე და მოკურკურე კაცუნებს რუსთაველის პერსონაჟებთან გაატოლებს. ეს რომ ასე არ მოხდეს თანამედროვე საზოგადოების სმენას უნდა მივწვდინოთ ჩვენი წინაპრების შეხედულება ჭეშმარიტი, ვაჟუაცის და „სხვისი ხილის“ მაძებარი კაცუნების ბედზე: „ვაჟუაცი ომში მოკვდება, მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში.“

გლახა საბძელთან გდებაში ქალების ლოდინობაში“.

P.S. ჩვენში ბევრს ლაპაკობენ ქალის ემანსიპაციაზე. ემანსიპაცია ქალსაც სჭირდება და მამაკაცსაც. ჩვენი სოციოლოგების შეხედულებით მხოლოდ ქალია უფლებობით დაჩაგრული, თორემ მამაკაცი გაპარპაშებულია როგორც ეკონომიკური ისე პოლიტიკური და ზნეობრივი უფლებებით.

უიდეო, უშინაარსო და არაფრის მომცემ ლაპარაკს ლეჩეუმლები ტატყანს ეძახიან, აჭარლები-ბლაუნს, იმერლები-ბუუტურს, თბილისელები-ლაყბობას, სხვა ერების შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ საქართველოში, სადაც ადამის ხნის კაცს ჩემი ცხოვრება გამიტარებია, როგორც მრავალნაცადი ბერიკაცი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, საქართველოს ისტორიასა და კულტურაში საკმაოდ ჩახედული კაცი, ვეყრდნობი პირადი დაკვირვებებიდან მიღებულ მონაცემებს და დამსახურებული ავტორიტეტის მქონე მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ქალის ბედზე და უფლებაზე გამოთქმულ შეხედულებას: რომ „ჩვენში“ სადაც „ქალს ქორწინების საქმეს ისე ეკითხებიან, როგორც ცხენს უნაგირის დადგმას“ თავს უფლებას ვაძლევ ვთქვა, რომ ჩვენში ქალის ემანსიპაციაზე ლაპარაკი საქმე კი არა ტატყანია, ბლაუნია, ბუუტურია და ლაყბობაა.

საჭიროდ მიმაჩნია, რომ ქალს პირველ რიგში ხელი უნდა მოვუწყოთ, იმაში რომ თავის ქორწინების საქმის გადაწყვეტაში იგი არ იყოს გადამთიელი ვიგინდარა, რომლის აზრს არავითარ შეღავათს არ უწევენ. შემდეგ ოჯახის კეთილმოწყობაში და ბა-

ვშვების ალზრდაში. თუ ამ ორი ფუნქციას მისი ენერგია გადაე-
მეტება გამოვიყენოთ სამედიცინო და სასწავლო ან სხვა ისეთ
უნიკალური სადაც მას მძიმე ფიზიკური დატვირთვა არ ექნება.
ხოლო სამთავრობო ორგანიზაციებში კი არის ქალის გონება
საჭირო, მაგრამ იმისთვის კი არა რომ ევროპას ვაჩვენოთ რა
მაღალ დონეზე ვატარებთ ქალის ემანსიპაციას, არამედ იმის-
თვის რომ ქალის დედუქციური აზროვნების უნარი საჭიროა
მამაკაცის ინდუქციური აზროვნების გვერდით, მაგრამ უნდა
ითქვას ისიც, რომ ხალხის ბედის მართვაში მონაწილეობა უნდა
დავაკისროთ განსწავლულ, სოლიდური ასაკის მქონე სოლიდურ
ქალებს და არა ფშვიტინა გოგოებს, რომლებიც მწყალობელი
ბიძების ავტორიტეტით სამთავრობო ინსტანციაში ხვდებიან.

საქმეში ზედაპირულად ჩახედულმა კაცმა შეიძლება თქვას:
რა საჭიროა ამდენი ინდუქციები და დედუქციები. უმისოდაც
მიათრევს ეს საწყალი ხალხი ამ წუთისოფელსო. საქმეში ჩახე-
დულმა კაცმა კი იცის, რომ უტვინოდ და უსამართლოდ რომ
მიათრევს ეს საწყალი ხალხი ამ ცხოვრებას, იმიტომაა რომ
მსოფლიოში ყველაზე მდიდარ სამეულს: მასკის, არნოს და ბე-
ზოს 585 მილიარდი დოლარი აქვთ, ხოლო მილიონობით ბავშვი
ბებერი და ავადმყოფი პურის ქერქს ხრავს.

გელა ბანძელაძის აზრი რომ „ქორწინება სიყვარულის გარე-
შე ზნეობრივი დანაშაულია“ ანგარიშგასაწევია ხალხის ბედით
დაინტერესებული თვითეული კაცისთვის. ქართველი კაცი რომ
ქალიშვილს, როგორც ზემოთ ითქვა: „ქორწინების საქმეს ისე
ეკითხება, როგორც ცხენს უნაგირის დადგმას“, საჭიროებს კონ-
ტროლს. მართალია, ახალგაზრდობის გრძნობები, ჩვევები და მო-
ქმედებები კი საჭიროებენ კონტროლს და პატარა შეზღუდვებს,
მაგრამ აბსოლუტურს-არა. წინააღმდეგ შემთხვევაში როგორც
ახალგაზრდობის ისე მთელი საზოგადოების საქმე დაზარალდება.

დიდი ხნის წინათ უურნალმა „გუშაგმა“ აცნობა საზოგა-
დოებას იმერეთში მომხდარი ინციდენტი: რომ „ჩვენს ჭეშმა-
რიტ ქრისტეს მოციქულ მღვდელს ამ ერთი თვის წინეთ დიდი
უბედურება ეწვია! მისი უფროსი ქალი თავისი სურვილისამებრ
გაყვა მეზობელ ლარიბ კაცს... დიდი ძებნის შემდეგ მესამე დღეს
აღმოაჩინეს შეყვარებული ქალი. „ქოჩით“ მოგვარეს მშობელს

და ვაუს კი სატუსალოში უკრეს თავი. მაგრამ მალე გაათავისუ-ფლეს... რადგან ქალმა გაბედულად განაცხადა, რომ ის თავისი სურვილით წავიდა და მათ ვერავითარი ძალა ვერ დააშორებს.

ერთი კვირის შემდეგ ქალი გაიქცა საქმროსთან. მარა ის ისევ წამოიყვანეს ძლიერ „მასაჟის“ შემდეგ.

ახლა ის ჩატეტეს ოთახში და მიუჩინეს დარაჯი. მოიწვიეს სათათბიროდ თბილისიდან გაგიუებული ქალის „ღირსეული“ ბიძა-ექიმი ექვთიმე, როდესაც მან გაიგო ეს „საზარელი ამბავი“, მის სიბრაზეს საზღვარი არ ჰქონდა: ხელების მუხლებზე ცემით გაცვითა 16 მანეთიანი შარვალი, ფეხების ბრაზუნისაგან დახე-თქა ახალთახალი წალები და რაკი ვერას გახდა. გადაუწყვეტია სამუდამო დატუსალება და გაუდგა გზას.

ჩვენებურ უურნალში მოთხოვნილი ინციდენტის ტოლად უდერს კირგიზი პოეტის ტოგოლოვ მორდოს ლექსი „Жалоба девушки...“ მასში პოეტი მოგვითხრობს იმ ქალიშვილის წუხილზე, რომელსაც დრომოქმულ და მახინჯ ბერიკაცზე აქორნინებენ:

„Слезы лью у всех на виду, _ за храмова замуж иду,

За горбатого старика, за богатого старика

Грех, отец мой, Великий грех Проклинаю тебя при всех...

Если б мама жива была, dochь в обиду бы не дала...“

ეს ლექსი კვნესაა იმ არსებისა რომლის სულიერი ტკივილი ეხმაურება ჩვენებური „სული ობოლი“-ს ავტორს სიყვარულის კრიტერიუმი სულთან სულის თანაგრძნობაა, ხოლო ობლობა და მარტოსულობა გამოწვეულია სუბიექტის განდგომით გარემომცვე-ლი სამყაროსგან. ის ქალიშვილი, რომელსაც მამაც ჰყავს და ძმაც და ბუნებრივია სხვა ნათესავებიც და მეზობლებიც. ახლობლებიც და შორებლებიც, თითქოს არ უნდა იყოს მარტოსული, მაგრამ რეალობა ისაა, რომ მარტოსული ქალიშვილის განწირული კივი-ლი გარემოს თავის გაჭირვებას ახსენებს და შველას მოითხოვს, მაგრამ არ ჩანს ის მზეჭაბუკი, რომელმაც განწირული ქალიშვილი უჯიათ მამას უნდა გამოსტაცოს ხელიდან ისე, როგორც ოძელაშ-ვილების ბიჭმა ზაალ ბარათაშვილს მოახლე გოგო გამოსტაცა.

როცა ადამიანთა პირველყოფილი თემის წევრებში ურ-თიერთგაგებისა და თანაგრძნობის ჰარმონია გაქრა, დედამიწა კაცთა მოდგმის დიდი ნაწილისათვის ჯოვოხეთის ჯურდმუ-

ლად იქცა. და ვერც პოეტების კვნესა-მუდარა, ვერც წმინდა მამების ლოცვა-კურთხევა, ვერც ბურჟუაზიული ლიბერალიზმი, ვერც სინაგოგების და მეჩეთების ქურუმების „საძმოების“ კოლექტივებად გადაკეთება და ვერც „კომუნუზმის მშენებლის მორალური კოდექსის“ ავტორები, ვერც „ილუმინატები“, ვერც „სიონის ბრძნთა ოქტები“ და ვერც მათი სიმბოლური გველის წრის შეკვრა და ვერც ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი, რომელსაც თავისთავის და მილიონობით ადამიანის დამლუპველი ადოლფ ჰიტლერი „ენის ქავილს“ უწოდებდა, ადამიანს გაჭირვებიდან და სულით ობლობიდან ვერ იხსნის. გაჭირვებიდან, ობლობიდან, უნუგეშობიდან, უიდეობიდან, ურწუნოებიდან და არაკაცობიდან თავის დახსნის პანაცეა სიყვარულია, რომლის სუბსტანციას სულთან სულის თანაგრძნობა წარმოადგენს, რომელიც აცილებლად სამართლიანობას უნდა ეყრდნობოდეს. მხოლოდ სამართლიანობას შეუძლია მისცეს კაცთა მოდგმას საშუალება ურთიერთთანამშრომლობის, თანაგრძნობისა და თანამეგობრობისა. ეს რომ ასე მოხდეს საჭიროა ადამიანებმა სცნონ გალაქტიონის შეხედულება კაცთა შორის ურთიერთობაზე: რომ „კავშირი გულთა შორის. როცა გულს იცნობს გული, აი რა არის მთავარი და სიხარული სრული“.

სიყვარული, როგორც ეს ლექსიკონშია განმარტებული: არის ვისიმე, რისამე ერთგულების, კეთილგანწყობის, თავდადების გრძნობა. თუ სიყვარულის კრიტერიუმი სულთან სულის თანაგრძნობაა, სიძულვილის კრიტერიუმი კაცთა შორის პოლიტიკურ, იდოლოგიურ, ეკონომიკურ და ზნეობრივ ფაქტორებთან და აქსესუარებთან დაკავშირებული წინააღმდეგობებია.

რა გრძნობა შეიძლება გამოიწვიოს კეთილი წების ადამიანებში საქართველოს სდპ-მ, რომელმაც, როგორც სათანადო არგუმენტებით, მეცნიერულად დადასტურდა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გეგმა შეიმუშავა და კიდევაც აღასრულა და ის ილია, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში წინ უძლოდა ჩვენი ხალხის იდეურ-პოლიტიკურ და ზნეობრივ ცხოვრებას, ბებერი წინამურის ბებერ გზაზე „ბერდენკის“ ბებერი ტყვიით ბებერ-შუბლგახვრეტილი ბებერი ხის კუნძივით დააგდეს, თუ არა ზიზღის და სიძულვილის“. რსდპ – „წყალობით“ რეპრესიების სამ-

მა ტალღამ რუსეთის თვალუწვდენელ იმპერიის ხალხები სისხლში და ცრემლში აჭყუმპალავა მთელი 20 წლის განმავლობაში და ამას ბოლშევიკები სჩადიოდნენ ხალხის სახელით. ბესარიონ ჟღენტი პარტიის პოლიტიკის ლიბერალიზაციის შემდეგ (ხრუშჩოვის ზეობის) პერიოდი წერდა: ...რომელი ხალხის მტრები, სადაური ხალხის მტრები... მე თვითონ ვიბრძოდი ქვაციხეში, ჩემი მეზობლების გვერდში. ხალხი ჩვენ ვიყავით და ჩვენს ინტერესებს ვიცავდით და მთავრობა ჩვენ გვეომებოდა ხალხის სახელით"-ო.

მიმაჩნია, რომ სიცრუუზე დიდი საშინელება ადამიანის გონებას არ შეუქმნია. იგი თითქმის ყოველგვარი ბოროტების სუბსტანციაა. ადამიანის მოღვაწეობისადმი ბიბლიის მიერ წამოყემებული მოთხოვნა „არ იცრუუ“ არის ყველა მოთხოვნაზე მნიშვნელოვანი, რუსთაველი დიდი ხანია ჩაჰყვირის ხალხს ბებერ ყურებში: „კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“-ო „სიცრუუ და ორპირობა ავნებს ხორცსა მერე სულსაო“ მაგრამ ამ „განათლებულმა“ ხალხებმა რუსთაველის სიბრძნეს დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც ფაშისტების და კომუნისტების ტყვილები ამჯობინეს, რომლითაც ისინი ხალხებს ოქროს მთებს პირდებოდნენ, მაგრამ რაც მისცეს, ამას ხომ ყველა ხედავს: ბრძენიც და რეგვენიც, ბებერიც და ჯეელიც, სწავლულიც და უსწავლელიც, გმირიც და ლაჩარიც, მამაციც და ზარმაციც. სწორედ სიცრუუზე და მამაძალლობაზე დამყარებული იდეოლოგია იქცევა საბოლოო ანგარიშში უიმედობის, უიდეობის, მატყუარობის და ყოველგვარი მამაძალლობის სუბსტანციად.

დიდ ზიზღსა და სიძულვილს იწვევს მკითხველში ჯავახიშვილის „ჩანჩურას“ პერსონაჟის დეგენერატი ჩანჩურას გარემოცვა, რომელიც ჩანჩურასა და მურას შორის ხორცის ნაჭრის დაუფლებისათვის შექმნილი ბრძოლით ირთობს თავს, იცინის და მხიარულობს: „მურა და ჩანჩურა მტვერში გორაობენ, ფართხალებენ და გაცხარებული ებრძვიან ერთმანეთს ფილტვის ნახევარი მურას უჭირავს პირში, მეორე ნახევარი და თვითონ მურა ჩანჩურას, რომელსაც ერთი ხელი მურიასათვის ყელში წაუჭერია და მის დახრჩობასაც ცდილობს, მეორე ხელით კი ფილტვს თავისკენ ეწევა“.

რა სიკეთეს შეიძლება მოელოდე კაცი, იმ კაცებისაგან,

რომლებიც სულიერად დაავადებული, ფიზიკურად დაუძლუ-რებული, დაჩიავებული და დასაწყლებული ადამიანისმაგვარი არსების წამებისა და წვალების ცქერით სიამოვნებას განიცდიან და სიცილ-ხარხარითა და ხმამაღალი შეძახილებით აგულიანებენ ფილტვის ნაჭრის დაუფლების მიზნით შერკანებულ „მეომრებს“.

ჩანჩჩურა ტიპიური წარმომადგენელია იმ ლუმპენპროლეტარიატისა, რომელთა არმიას ადამიანთა ბურჟუაზიული თანაცხოვრება წარმოქმნის. იროდიონ ევდოშვილს აქვს ასეთი ადამიანების (ლუმპენპროლეტარების) ცხოვრების შემფასებელი ლექსი „მატანტალა“, რომელიც ბარათაშვილივით გვახედებს განწირული ადამიანების სიდუხეჭირეში. ეს ლექსი პოეზიის და ადამიანის მოყვარულმა კაცმა შეუძლებელია, ზეპირად არ იცოდეს. ლექსის ფინალი გვატობინებს: „შენ შეალიე სოფელს შენი ღონე და ძალა. იგი კი იტყვის მოკვდა ჭია და მატანტალა“.

სიკეთე და ბოროტება, სიყვარული და სიძულვილი წარმოადგენს ოთხ ტოტს იმ ხისა, რომელიც სიმბოლურად კაცთა ცხოვრებას წარმოადგენს. ისინი სხვადასხვა ფუნქციებს არსულებენ, მაგრამ მაინც ერთად არიან და ამ ერთადყოფნაში თანამედროვე პირობებში მეტისმეტად ზარალდება სიკეთე და სიყვარული, კარგად ხარობს ბოროტება და სიძულვილი.

ადამიანის თავისუფალი არჩევანის და მასთან დაკავშირებული აქსესუარების წყალობით სასწორის ის პინა, რომელზედაც მტრობა და სიძულვილი დევს ძირსაა დაშვებული და მყარად მტკიცდება დედამინაზე. ხოლო სიკეთისა და სიყვარულის პინა ჰაერში ქანაობს, რადგან მინაზე დასაშვები ძალა სიძულვილის მტრობის ძარცვა-გლეჯის, გაიძვერობის, მამაძაღლობის და არაკაცობის „წყალობით გამოცლილი აქვს. არ არის გამორიცხული რომ ჰაერში გამოკიდებულმა უმინაწყალოდ დარჩენილმა დევნილებმა სხვა პლანეტისაკენ აიღონ გეზი და ეს ცოდვის ბუდედ გადაქცეული დედამინა, რომელსაც თავისი თავის ლიკვიდაციის მიზნით 10 000 მეგატონაზე მეტი ასაფეთქებელი მასალა აქვს დაგროვილი, სამუდამოდ მიატოვონ, როცა ასეთი მიგრაციის ტექნიკური საშუალება გაჩნდება.

აკადემიკოსი ზელიმ ჩაკვეტაძე
2024 წ. 28-III

მპიკებრები და გამოკვლებები

„ქვეყნის სათავეში მოექცა ხალხი, რომელსაც
საქართველო საჯიჯვნად და გასაძარცავად სჭირდება“.
დავით ჭიჭინაძე

„საყმო უნდოდა ბატონსა, უსმელ-უქმელი ყველაო“.
ხალხური

„ან შენ მუშაობ სხვისთვის, ან სხვა მუშაობს შენთვის
ან შენ ძარცავ სხვას, ან სხვა გძარცვავს შენ, ან
მონათფლობელი ხარ, ან მონა“.

ლენინი

„იცვლებოდნენ ადამიანები და სახელწოდებანი,
მაგრამ სოციალური თვით დედა არსი მონათა
სახელმწიფოებისა უცვლელი რჩებოდა“.

სერგეევი

მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ რაც არსებულმა სინამდ-
ვილებ ადამიანთა საზოგადოება ორ არატოლ ნაწილად მდიდარ
უმცირესობად და ღარიბ უმრავლესობად გაჰყო. რამაც ბევრი
რამ შეცვალა კაცთა ცხოვრებაში, მაგრამ ვერავითარი ცვლი-
ლება ვერ დაატყო, იმ ფაქტორს რომ ადამიანის, ისევე როგორც
ყველა ცოცხალი არსების, არსებობის ძრითადი პრინციპი არ-
სებობისათვის ბრძოლაა და ამ ბრძოლაში თავისი სტიქის შეს-
აფერისად ყოველი სულიერი თავდადებულად იბრძვის.

არსთა განრიგებ თავის მიერ შექმნილ არსებებს ამ ცვალე-
ბად ქვეყანაში დღემდე უცვლელ კანონად დაუწესა, რომ ერთ-
მანეთი გამოკვებონ, რაც ყოველვის იწვევდა, ახლაც იწვევს და
მომავალშიც გამოიწვევს პროგრესულად მეამბოხე სულის მქონე
ადამიანებში პროგრესტს ზემოთ დასახელებული კანონის გამო.

მაინც ვინ არის ის არსთა განმრიგე, რომელმაც დღემდე
უცვლელი ზემოთ დასახელებული კანონი დააწესა?! ჩვენი
აზრით ამას ძველი დროის ადამიანის მიერ შექმნილი ღმერთი
ვერ შესძლებდა და არ არის გამორიცხული, რომ ახალი დროის

ახალი ადამიანის მიერ შექმნილმა ღმერთმა ძველი და დრო-მოქმული კანონები ახალი პროგრესული დებულებებით შესცვალოს. ჯერ-ჯერობით ძალაშია ლუკრეციუსის შეხედულება: რომ „დიად ბუნებას მბრაძანებელი არა ჰყოლია, იგი ყოფილა ყოვლის მქმედი ღმერთის გარეშე“ ხოლო ვაუა-ფშაველას შეხედულებით: „ბუნება მბრაძანებელია, იგი მონაა თავისა...“ და ნიკონიკოლაძე გვასწავლის: „...ბუნება არც მტერია კაცისა და არც მეგობარი, არც სიკეთე უნდა მისთვის და არც სიავე“.

დასახელებული არგუმენტები მეტყველებენ იმაზე, რომ ძველი დროის ადამიანის მიერ შექმნილი „საწყალი“ ღმერთი ცოდვაა პასუხისმგებელი გავხადოთ იმ დანაშაულებზე, რომლებსაც მას საქმეში ზედაპირულად ჩახედული ადამიანები მიაწერენ როგორც ლუკრეციუსი ამბობს:.... „არც ჩვენთვის, არც ღმერთის ნებით არის შექმნილი ქვეყნის ბუნება, იმდენია მასში ნაკლირამ“ და ამ ნაკლს ადამიანთა დიდი ნაწილი ღვთისგან დადგენილ კანონად მიიჩნევს.

ჩვენი ქალაქის ქუჩებში, სკვერებში, დასასვენებელ პარკებში და ეზოებში ყველგან შეხვდებით მოგოგმანე მტრედების გუნდებს, რომლებსაც ხალისი, სილამაზე და სიყვარული შემოაქვთ კაცის გულში. ნუთუ იმისთვის გააჩინა იგი არსთა განმრიგემ, რომ მიმინომ ჭანგები გაუყაროს ლამაზ გვერდებში, სადლაც მყუდრო ადგილზე გადაიყვანოს და თავისი ბებერი სტომაქის ამოსაყორავად ბუნებისგან შექმნილი სილამაზე გაანადგუროს?! ნუთუ ცხვარი მგლის საჯიჯვნად გააჩინა არსთა განრიგემ?! ნუთუ ჭრელი პეპელა იმისთვის მოდის ამ ქვეყნად თავისი ორი დღის სიცოცხლით, რომ ბებერმა გველმა შხამიანი ხახა ჩაიგემრიელოს?!

ჯიჯვნა ბუნების წესია, რომელიც კაცობრიობის ძლიერ-მა ნაწილმა მიიღო და „გააკულტურა“. ჩვენ, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს მთელი კაცობრიობის ბედი გვაინტერ-სებს და შეძლებისდაგვარად ვცდილობთ მის გაუმჯობესებაზე, მაგრამ ჩვენი ყურადღება მაინც საქართველოზე კონცენტრირ-დება. ბებრებმა იციან და ჯეელებმა უნდა გაიგონ, რომ ყოველი ნამუსიანი მამულიშვილის უპირველესი ვალია სამშობლოს სამსახური, მის ბედთან მთლიანად არის დამოკიდებული მისი ყოველი წევრი თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით,

ცოლ-შვილით, ქმარშვილით, სულით და ხორცით, ენითა და კულტურით, ვინც დასახელებულ ფაქტორებს არარაობად თვლის, ის თუნდაც ფულის უფსკერო ტომრად იქცეს, ჭეშმარიტ კაცად ვერ ჩამოყალიბდება.

ახლა გადავხედოთ საქართველოს, რომელიც ყველა პატიო-სანი ქართველის კაცობის გვირგვინს წარმოადგენს.

უხეში (მიახლოებით) გაანგარიშებით კავკასიის და მასთან ერთად საქართველოს კულტურის ხანა, როგორც ამას ივანე ჯავახიშვილი გვატყობინებს „ბრინჯაოს ხანით იწყება მას შემდეგ, რუსთაველის ენით რომ ვთქვათ: „ინდო-არაბ-საბერძნეთით მაშ-რიკნი და მაღრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრე-თით ეგვიპტელი“ ყველა ჩვენი მტერი იყო, ჩვენი ამნიოკებელი.

ქართველი კაცი XIX საუკუნის დასაწყისში დადგა ყოფ-ნა-არყოფნის ზღურბლზე მდიდარი იმპერიები ყოველი მხრიდან ცდილობდნენ მის ჩაყლაცვას, მაგრამ ყველა თავს იკავებდა თეთრი დათვის შიშით, რომელიც ცალი ფეხით ურალის მთას დაეყრდნო და მეორით როგორც მიხ. ჯავახიშვილი წერს: „კა-ვკასიის ქედზე გადმოალაჯა“ და თავისი დათვური სამართ-ლით და რუსული სიმართლით მთელ კავკასიას დაეპატრონა და განაცხადა: ეს მიწა ჩემია, ხელი არავინ ახლოს, თორემ ყურებს დავაგლეჯო. მართალია სხვას არ აძლევდა ქართველი კაცის ანიოკების საშუალებას, მაგრამ თვითონ შეუბრალებლად ჯიჯგნიდა. ამ პერიოდში შემოაღწია საქართველოში „ნაპალა-ვანის“ დიდებამ, რომელსაც მოკლე დროში მარქსიზმი და მისი სოციალ-დემოკრატია შემოჰყვა, რომელმაც თავის იდეალად რუსული სოციალიზმი აღიარა. მრავალტანჯული ერი აიძულა რომ მისთვის თაყვანი ეცათ და ჩვენი ერის ზნე-ჩვეულებები, პროგრესული ტრადიციები, მისი ისტორიაც, მიზნებიც, მისწრა-ფებებიც და ამოცანებიც ფეხებზე დაიკიდეს. აი რას წერდა ბოლშევიკი, სკ პარტიის ცე-ის პირველი მდივანი „სახელოვანი ქართველი“ ფილიპე მახარაძე „...ჩვენთვის ნაციონალური კულ-ტურა არ არსებობს. ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და ნარმავალი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხა-ტველია“ ეს კაცი, რომელიც ჩვენს კულტურას და ზნეობას

უმოწყალოდ ჯიჯგნიდა მოკვდა და... ილია ჭავჭავაძის გვერდით დაასაფლავეს. აი ასე მფარველობდნენ ჩვენს ერს „წითელ ან-გელოზებად“ მიჩნეული კომუნისტები.

საბჭოური პერიოდის პირველი ნახევარი ნამდვილი საშინელება იყო რუსეთის იმპერიის ხალხებისთვის. მთელი იმპერია ბოლშევიკების წყალობით დაწტეს ჯოჯოხეთს დაემსგავსა. ქვეყანა ხელში ჩაუვარდა პოლიტიკურ მიამიტებს, რომლებმაც მიზნად დაისახეს, რომ კაცობრიობისთვის თავიანთი კაიკაცობა დაემტკიცებინათ და თავიანთი დიდსულოვნების დემონსტრაცია დაიწყეს იმ ადამიანების განადგურებით, რომლებმაც მათ მიერ შეთხზული და შემოთავაზებული კომუნა არ ირწმუნეს.

გენერალი ვლასოვი 1944 წელში წერდა: „ბოლშევიკებმა წაართვეს ხალხებს სიტყვის და რწმენის თავისუფლება, გადაადგილების თავისუფლება... გლეხობას წაართვეს მათ მიერ მოპოვებული მიწა და მიწაზე თავისუფალი შრომის უფლება. გლეხობა დააკაბალეს კოლმეურნეობის ორგანიზებით. აქციეს ისინი სახელმწიფოს უუფლებო ყმებად. ბოლშევიკებმა ჩვენი სამშობლო ჩააყინეს მუდმივი სიღარიბის პირობებში. ხალხმა დაკარგა რწმენა ბოლშევიზმის მიმართ“.

მოტანილი არგუმენტები გვიმტკიცებენ იმას, რომ ბოლშევიკები საზოგადოებას ჯიჯგნიდნენ მთელი თავისი ძალით და ეს ჯიჯგნა მათ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 90-იანი წლების დასაწყისამდე გააგრძელეს.

ჩვენ საუბარი გვქონდა იმის შესახებ, რომ მჯიჯგნელთა კატეგორია შედგება მდიდარი უმცირესობისაგან, მაგრამ ცხოვრების პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მდიდარ უმცირესობაზე უფრო შეუბრალებელი და ბარბაროსული თვით ღარიბი უმრავლესობის რიგებიდან წამოტივტივებული პრეროგატივები არიან, რამაც ხალხი თავისი „მშობლიური პარტიის“ მიმართ საწინააღმდეგოდ აღავსო, რამაც დიდად შეუწყო ხელი სსრკ-ის დაშლას. ხალხმა ამ შემთხვევაში იმ დასაჯიჯგნად განწირული კაცის გადაწყვეტილებას მისცა უპირატესობა, რომელიც ამბობს: „„ოღონდ ჩემი ძალლი წუ მიკბენს და სხვისმა თუნდაც შემჭამოსო“.

კომუნუსტების მიერ შემუშავებული ბრძოლის ტაქტიკას, რომელიც „ხალხის ინტერესების“ დაცვის მიზნით თვითონ ხალხს

ანადგურებდა, საზოგადოება საშინელი პროტესტით შეხვდა მა-გრამ გვიან იყო. ბუაჩიძე წერს: რომ „სტალინმა ჯაგლაგად მი-გვიჩინია, ფერდები შეგვილენა და უზანგებში სალდათის ჩექმები წვალებით შეატია და სავირე მათრახები ორივე ხელში უჭირავს, ზარბაზანი წინ მიუძღვის. შავი პურის ნატეხი რა არის და იმის-თვისაც შორიდან გვაყურებინებს და ...შენ მოერევი სტალინს?! ჩემი-ჩემიაო და შენიც ჩემიაო. ზღვები-თქვენო, თევზი-ჩვენო, მინა-თქვენო, მოსავალი-ჩვენო, კურდღლს მოკლავ, ხორცი ჩვე-ნო, ტყავი-თქვენო, მელას მოკლავ ხორცი-შენო, ტყავი-ჩვენო“.

ბესარიონ ულენტი ქვაციხეში მომხდარ აჯანყების შესახებ ასეთ კომენტირებას აკეთებს: „...რა ხალხის მტრები, რომელი ხალხის მტრები. მე თვითონ ვიყავი აჯანყების ერთ-ერთ წევრი ჩემს გვერდით ჩემი მეზობელი გლეხები იბრძოდნენ თავიანთი ინტერესების და არა ბოლშევიკების და მათ მიერ შეთხზული საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად“.

ადამიანის მიერ ადამიანის ჯიჯგნამ თანამედროვე პირობე-ბეში როგორც ამას სიმპტომები მარტო კი არა ბრძენთა მიერ შემჩნეული არგუმენტებიც ირწმუნებიან თავისი განვითარების აპოგეას მიაღწია.

ხალხის იმედების გაცრუებამ დიდად შეუწყო ხელი იმ კა-ვშირის დაშლას, რომელსაც ილუზიონისტი საბჭოელები: Союз нерушимых республик свобод-ад түлөндөнбөг და ხөміс ჩаңгат-хамдә гаңызғириңдөнбөг: „Да здравствует созданный волей народов единный могучий Советский Союз“-ო.

მეცნიერულად მოაზროვნე ადამიანებმა, და არა საუბნო საარჩევნო კომისიებმა უნდა გაარკვიონ თანამედროვე საქართველოს პრეროგატივების პოლიტიკური გენეალოგია და ახალგაზრდები გაარკვიონ იმაში, თუ ვისი მემკვიდრეა ახალი ქართული მთავრობა, რომელიც მომავალი არჩევნების წყალობით სამარადისო ცხონებას პირდება: არაბებისგან, სპარსელებისგან, მონღოლებისგან, ბიზანტიელებისგან, თურქებისგან, ხაზარების-გან, ლეკებისგან, რუსებისგან და ათასგვარი ძალლებისგან და მამაძალლებისგან მრავალჯერ გაჯიჯგნილ ქართველ კაცს, რომელიც მდიდარი უმცირესობის საუბედულოდ ნელ-ნელა ახელს გონების თვალს და არც ხალხის და არც ღვთისგან რჩეულების

მოწოდებული დებულებების არაფერი სჯერა და ცდილობს შე-ცვალოს ამ გაღლეტილი და გაბინძურებული ქვეყნის ცხოვრება და დაემკვიდროს ისეთ გარემოში, რომელშიც იგი გლობალის-ტების მიერ შემოთავაზებული თავისუფლების მაგივრად კაცობის ჩარჩოში ჩაჯდება და მას გლობალისტების მიერ ნაბოძები პიროვნების თავისუფლება ისე სჭირდება, როგორც ვირს მეხუთე ფეხი საპალნის გადასატანად.

კაცის მიერ კაცის ჯიჯგნა არც კაცის მიერ შექმნილ ღმერთებს და არც კოსმოსურ ძალებს არ დაუკანონებიათ ეს წესი დაკანონებულია სატანური წესდების მიხედვით, რომელიც ადამიანს თან სდევს თავისი ცხოვრების მთელ მანძილზე.

სუსტნერვებიანი ჯეელების შემოქმედებამ თავისი „უკუღმართად ხვნით და თესვით“ ის შედეგი გამოიღო, რომ 1994 წელში საშუალო ხელფასი 1,5 აშშ-ის დოლარის ტოლი იყო, ხოლო პენსია 10 აშშ ცენტის ეკვივალენტი.

1990 წელში საქართველოს ეროვნული სიმდიდრე 655 მილიარდ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2000 წლისათვის იგი 388 მილიარდამდე შემცირდა და დანაკარგებმა 40,8%-ი შეადგინა ეს მილიარდები კი არ დაკარგულა გარდაიქმნა სახალხო საკუთრებიდან კერძო საკუთრებად და ასეთი პრივატიზაციის წყალობით აივსო თბილისი მერსედსებით, ფორდებით, ტოიოტებით, ჯიპებით და ჭიპებით.

ყოველი მხრიდან გაჯიჯგნილმა ქართველმა კაცმა თუ მჯიჯგნელებს ბის, ბრავო, ყოჩალ და მალადეც უძახა: რითაც იგი თავისასავე სისხლს ხვრებს, ვერავითარი ევროპა და ამერიკა ვერ გადაარჩენს. მან ღრმად უნდა გაანალიზოს რუსთაველისეული დარიგება: „მკურნალმაცა ვერა ჰკურნოს თავისასავე სისხლის მხვრეპსა“.

აკადემიკოსი ზელიმ ჩაკვეტაძე
20-XII-2025 წ.

სქემუალის პირობები ფუნქცია, ბურჯვები და პრინციპები

„კარგია ის მმართველობა, სადაც ხელმძღვანელობენ სამართლით, ცდილობენ სახელმწიფოს გადარჩენას და გარდაქმნას უარესიდან უკეთესობისკენ“.

პლატონი

„მხოლოდ მოქალაქეთა აზრთა ერთიანობით შეიძლება დიდი საქმეების წარმოება“.

დემოკრიტე

„ინდივიდის ბედნიერება სახელმწიფოსთან კავშირშია, ამიტომ პიროვნება სახელმწიფოს ინტერესებს უნდა იცავდეს“. მაკოველსკი

სახელმწიფოს, როგორც საზოგადოების გაერთიანების საშუალებას საფუძველი ჩაეყარა ევფრატისა და ტიგროსის სანაპიროებზე არსებულ გვაროვნულ და ტომობრივ საზოგადოებებში, სადაც პირველად დაიწყო საზოგადოების კლასებად დაყოფა IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულის დასაწყისში ჩ.ნ.ა-დე.

„ძველი გვაროვნული წყობილების სასიცოცხლო ძალის დაქვეითება დაიწყო მამის ქონების გადაცემით შვილებზე, რის წყალობითაც ოჯახი ძალად იქცა გვარის წინააღმდეგ, სიმდიდრე-სილარიბის გაჩენა ხელს უწყობდა მემკვიდრეობით თავადაზნაურობისა და მონარქის ჩასახვას. იქმნებოდა მონობა ჯერ სამხედრო ტყვეებისაგან, შემდეგ საკუთარი მეტომების და თვით მოგვარების დამონებით, რაც ხელს უწყობდა გაბატონებულ კლასებს ებატონათ შეუძლებელ კლასებზე და მათი ექსპლოატაცია მოეხდინათ“ (ენგელსი „ოჯახის წარმოშობა“ გვ. 108-109).

მონათმფლობელური წყობილების ზედა საფეხურებზე იწყება ერთა და სახელმწიფოთა დიდი გაერთიანებები, რომლებსაც იმპერიები უწოდეს. იგი არის დიდი მონარქიული დამპყრობელი სახელმწიფო გამაერთიანებელი რამდენიმე სახელმწიფოსი თავისი ინტერესების ქვეშ.

XX საუკუნეში შეიქმნა სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი გაერთიანებები: 1. გაერო; 2. ჩრდილო ატლანტიკის ქვეყნების ორგანიზაცია. 3. ევროპაერთიანება. 4. თანამეგობრობა 5. დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობა. 6. სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნების გაერთიანება ამ გაერთიანებიდან არც ერთი არ არის ისეთი რომ სოციალური ეროვნული და ეკონომიკური მოთხოვნებით არ ავინორებდეს პატარას და არ ახეირებდეს დიდს. ერთადერთი გაერთიანება რომელიც ერთნაირად მომგებიანი იყო ყველა წევრისთვის ასეთი მხოლოდ გვაროვნული ტომობრივი გაერთიანება იყო. კერძო საკუთრების გაჩენამ დაარღვია გვარში არსებული ჰარმონია და საზოგადოება ორ ნაწილად გაჰყო: მდიდარ უმცირესობად და ღარიბ უმრავლესობად. ახლად შექმნილმა სახელმწიფომ დააკანონა ხელშეუხებელი უფლება კერძო საკუთრებაზე და ეს კანონი დღემდე უცვლელ ფორმად (დოგმად) რჩება ცივილიზირებული კაცობრიობის არსებობის მთელ მანძილზე.

დღემდე არსებულმა ვერც ერთმა გაერთიანებამ ვერ შესძლო რომ ღარიბი უმრავლესობის ზურგიდან მდიდარი უმცირესობა ჩამოეყვანა. მდიდრებს მათი გაბატონებული მდგომარეობა აბსოლუტურ სამართლიანობად მიაჩნიათ. სახელმწიფო ნებისმიერი მმართველობის პირობებში მხოლოდ ნაწილობრივ იცავდა ღარიბი უმრავლესობის ინტერესებს, ხოლო მდიდარი უმცირესობის ინტერესებთან ყოველთვის კონცერტრირდებოდა მისი ყურადღება და დღესაც კონცერტრირდება, დაკონცერტრირდება მომავალშიც მანამ, სანამ სახელმწიფო მდიდარ უმცირესობას დედობას უწევს და ღარიბ უმრავლესობას დედინაცვლობას.

დღემდე არსებულ არცერთ გაერთიანებას არ შეუქმნია წარმოებული დოვლათის განაწილების სამართლიანი კანონი. მდიდარი უმცირესობა ყოველთვის ლომის წილით სარგებლობს და ირწმუნება, რომ ეს ჭეშმარიტი სამართლიანობაა.

საბჭოური გაერთიანება თავისი ხასიათით, როგორც უკვე მეცნიერულადაც დამტკიცდა, იყო ქვეყნების რეგრესული გაერთიანება. მაგრამ ამ გაერთიანებამ წამყვანი როლი შეასრულა ფაშიზმთან ბრძოლის საქმეში. რეგრესული იყო იმპერიალისტური ქვეყნების ანტისაბჭოური გაერთიანება, მაგრამ მან სერიოზული დახმარება გაუწია სსრკ-ს ფაშიზმის განადგურების

საქმეში. რაც მისი ინტერესებიდან გამომდინარეობდა. მან გაახორციელა საადისეული დარიგება „ეცადე მუდამ, შენი მტრის ხელით შემთხვევის დროზე დაახრჩო გველი, მით სარგებელი იგი იქნება, რომ ერთიდაერთი დაიღუპება“ მსოფლიო იმპერიალიზმისა სსრკ-ს ჯერ ფაშიზმი გაანადგურებია მსოფლიო ომის სიმძიმის ¾-ი საკუთარი შხრებით გადაატანია და შემდეგ ისიც განადგურებულ ფაშისტურ გერმანიას მიაყოლა.

დიდ საშიშროებას წარმოადგენს კაცობრიობისათვის მასონურ-სიონისტური გაერთიანება, რომელიც ყოველნაირ საშუალებას იყენებს მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად. გაეროს ერთ-ერთი ძირითადი მიზანი უნდა იყოს, ლრმად და საფუძვლანად შეამოწმოს ყოველი დიდი გაერთიანების პოლიტიკური საფუძველი და რეგრესული გაერთიანების ხასიათის მქონე უწყება დროულად დაშალოს მშვიდობიანად და მსხვერპლის გარეშე. მან არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას ისეთი რეგრესული გაერთიანებების შექმნა და არსებობა როგორებსაც XX საუკუნის პირველ ნახევარში ჰქონდა ადგილი.

სახელმწიფო გაერთიანების უარყოფითად შეფასებაში, საქმეში ზედაპირულად ჩახედული ადამიანები ნამდვილად ცდებიან, რადგან არსი საგანი თავისთავად არც დადებითია და არც უარყოფითი. იგი თავის ფუნქციებს და შესაძლებლობებს ამჟღავნებს იმ დანიშნულების მიხედვით, რომელსაც მას ადამიანები აძლევენ. დანა დიდებული გამოგონებაა, იგი სასიკეთო იარაღია დოსტაქრის ხელში, მაგრამ ჯიბგირის ხელში საშინებელად იქცევა. სახელმწიფო დიდი და პროგრესული გაერთიანებაა საზოგადოებისა, რომლის გამოყენება მოქალაქეს ბოროტადაც შეუძლია და სიკეთედაც.

გაერთიანების გარეშე ცალკეულ კაცთა და მინისახელმწიფოთა არსებობა კი არა მსოფლიო გიგანტური სახელმწიფოების არსებობაც აღარ შეიძლება. მხოლოდ მოცლილ ბრიყვს შეუძლია დაიწყოს ახალი ველოსიპედის გამოგონება, რადგან მისი გამოგონება კი არა გაუმჯობესება და გამოყენებაა საჭირო. ის რომ ნიჭიერად გამოიყენო და გააუმჯობესო უნდა შეისწავლო მისი მოძრაობის სპეციფიკა გამოიმუშაო ორიენტაციის უნარი, თუ ვერ გამოიმუშავებ, აუცილებლად დაგაზარალებს.

სახელმწიფოს გაჩენისთანავე დაეკისრა დიდი მისია. მას

უნდა შეემუშავებია მდიდართა და ღარიბთა სამართლიანი თანაცხოვრების ტაქტიკა, ისე რომ არც ერთის სამართლიანი ინტერესები არ დაზარალებულიყო, მაგრამ მდიდარმა უმცირესობამ დროის გარკვეულ მონაკვეთში შესძლო მისი ტაქტიკის გადაკეთება თავისი ინტერესების დამცველ და ღარიბი უმრავლესობის დამტრეუნველ საზოგადოებრივ უწყებად.

სახელმწიფო გაერთიანებაზე უარყოფასა და გაუქმებაზე აზრები შეიძლება ისეთ ფანატიკოსებს მოუვიდეთ თავში, როგორებიც კომუნისტები არიან. მათი აზრით ცხოვრებისეულ ექცევებს საზოგადოება მოუვლის პოლიციის, პროკურატურის სამართლისა და ციხეების გარეშე. ასეთი აზრები რომ ადამიანებს თავში მოსდით, არ არის გამორიცხული რომ ამ „დემოკრატიული“ მთავრობების ნაწყალობები პრეროგატივობის ტიტულის წყალობით, ფული ბევრი ჰქონდეთ, მაგრამ ჭკუით ნამდვილად პროლეტარები არიან. ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების შესრულებას რომ ადამიანები გამვლელ-გამომვლელის წყალობით იმედოვნებენ, მათ საარჩევნო ხმის უფლება არ შეიძლება მისცეს პოლიტიკურად მოაზროვნე კაცმა.

სახელმწიფოს მრავალი ბურჯი აქვს, აქედან ძირითადია სამი. 1. ინდუსტრია 2. სოფლის მეურნეობდა და 3. ვაჭრობა. ეს ბურჯები ეროვნულ-გამანადგურებელმა მოძრაობამ ისე იოლად გამოაცალა ქვეყანას, თითქოს ისინი მისთვის ღირებლების შემცველი კი არა შემწუხებელი ფაქტორები ყოფილიყვნენ.

ჩვენს მიერ მრავალგზის ნალანდაცნუ-ნაგინები რუსეთის იმპერია ჯეროვან ყურადღებას და გულმოწყალებას ვერ იჩენდა საქართველოს მიმართ, მაგრამ იმას კი ცდილობდა, რომ მისთვის სახელმწიფოს ძირითადი ბურჯები შეენარჩუნებია და განევითარებია. ძველი კაცებისგან გამიგონია, რომ ქუთაისის საავტომობილო ქარხანა ომის შემდგომ პერიოდში ევროპიდან ნაალაფარი ჩარჩები-საგან შეაკონიშეს ქართველებმა. იგი 90-იან წლებში ჩალის ფასად გაჰყიდეს თურქეთის ბაზარზე ჩვენმა „განათლებულმა“ ჯეელებმა და მას მთელი ქართული ინდუსტრია თან მიაყოლეს. საქართველოს ჩაი ჩალის ფასად შეიძინა გერმანელმა მარტინ ბაუერმა, რომელმაც შეძენილი ქონება დააკონსერვა და დღემდე არ უფიქრია მისი ამოძრავება და მომავალში რა სიკეთეს იზამს, დავინახავთ.

თანამედროვე ქართული ვაჭრობა წმინდა წყლის სპეცუ-
ლაციაა, იგი ძველ დროში დანაშაულად ითვლებოდა და დას-
ჯას იმსახურებდა, ახლა იგი სახელისა და დიდების მოპოვების
საშუალებაცაა ფულის შოვნასთან ერთად.

1991 წლში პროვინციულ გაზეთში განვაცხადე: რომ „...თუ
„წითელი პოლიტიკის“ პირობებში სოფლის ვაიმშენებლები იძუ-
ლებული იყვნენ თავის სახლ-კარის შენებასთან ერთად საქვეყნო
საქმეც ეკეთებიათ, რათა თავიანთი თაღლითობა შეენილდათ, ახლა
ამ წილაბსაც აღარ საჭიროებენ, რადგან აღარავინ თხოულობს
და თუ ასე გაგრძელდა, ეროვნული მოძრაობა დავით აღმაშე-
ნებლის ნაცვლად საზოგადოებას გამოუზრდის დავით მარტო
თავის სახლკარ მშენებლებს და ვაჟა-ფშაველების ნაცვლად ვაჟა
ფულისამშონელებს“ (ის. ჩემი „ხმა ამოიღე... გვ 47) ჩემი პროგ-
ნოზი მათემატიკური სიზუსტით ახდა 90-იანი წლების დასაწყისში
შევარდნამე ასეთი ინფორმაცია მოგვაწვდინა: „მსოფლიო პანკი
გვსაყვედურობს, რომ მოსახლეობის კონტიგენტზე პროცენტული
გაანგარიშებით ქართველებს ყველაზე მეტი ფული აქვთ მსოფლიო
ბანკშით და შენ სესხს თხოულობ-ო“. ამ არგუმენტს თან ერთვის
ის მდგომარეობა, რომ საქართველოს პარლამენტში 40 მილიონერი
ემსახურება ქართველი ერის „გადარჩენის და კეთილდღეობის“
საქმეს.

ქართული მთავრობის შემოქმედების ძირითად პრინციპს წარ-
მოადგენს ევროპასთან კავშირი და მის კულტურასა და ეკონომი-
კაში ქართველი კაცის გათქვეფა მაგრამ ეს პრინციპი წააწყდება
იმაზე მეტ წინააღმდეგობებს ვიდრე სსრკასთან აწყდებოდა. ვინც
გონივრულად გააანალიზებს ნიკო ნიკოლაძის შეხედულებას: რომ
„ევროპელი კაცი აღმოსავლეთის ხალხებს ისე უცქერის, როგორც
ჩვენ ცხვრის ფარას“ მას გაევროპულობით დიდად ვერ გაახარებ.

80-იან წლებში აყვირებული შარლატანების აზრმა იმის შე-
სახებ რომ ჩვენ ოღონდ რუსები ვაგინოთ და მათი უსამართ-
ლობისგან თავმოძულებული დასავლეთი წყალობით აგვავსებსო,
აქამდე ილუზია იყო და მომავალში თუ რეალობად იქცევა, რა
საკვირველია რომ დიდი კმაყოფილი დარჩება ბერიც და ერიც.

აკადემიკოსი ზელიმ ჩაკვეტაძე
20-XII-2023 წ.

მეამბონეს პატის 0დეკლი

„როდესაც ღმერთმა ოთხზე სიარულის უნარი
მოუსპო ადამიანს, ყავარჯინად იდეალი მისცა“.

პ. გორგი

„ყველაფერი გვხიბლავს, რაშიც ჩვენი იდეალია...
და სიყვარულის საგანი ხდება“.

ჩერნიშევსკი

„ბევრ ვაი ვაგლახს გამოივლის ახალი აზრის მქადაგე-
ბელი ვიდრე დაიყოლიებს საზოგადოებას და ჩააგონებს
თავის საკუთარ რწმენას“.

ი. ჭავჭავაძე

მიუხედავად თავისი განუსაზღვრელი შესაძლებლობები-
სა კოსმოსმა, რომელიც ჩემს სპეციფიკურ ლექსიკონში არს-
თა განმრიგეთაა მიჩნეული, თავის მიერ შექმნილ ჰომოსოფის
მხოლოდ თავისი საკუთარი სხეულის შესაფერისი ფიზიკური
ძალა, პრიმიტიული აზროვნების და დასკვინის გამოტანის უნა-
რი გაიმეტა. ამ ფაქტორებმა განაპირობეს ჰომოების როგორც
ფიზიკური ისე გონებრივი განვითარება. გარემო პირობებმა
და არსებობის შენარუნების პრინციპმა აიძულეს ჰომო, რომ
ხელების მოძრაობასთან ერთად ტვინიც ემოძრავებია და თავისი
განვითარების საფეხურებზე შეექმნა ორად გაყოფილი წუთი-
სოფლის ორი უდიდესი ქმნილება ღმერთი და სატანა: პირველი
როგორც უძლიერესი და უკეთილშობილესი არსება, ხოლო მეო-
რე – როგორც უძლიერესი და უბოროტესი.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ დასახელებული ანტიპოდები
ადამიანმა კოგნიტური რევოლუციის (უფრო სწორად ევოლუ-
ციის) პერიოდში შექმნა, დღემდე მათი ერთმანეთისგან გარჩევა
ჯეროვნად ვერ მოუხერხებია. ეს გაურკვევლობა გახდა ერთ-ერ-
თი ძირითადი ფაქტორი კაცთა მოდგმის ერთმანეთთან დაპი-
რისპირებისა და ხშირად სამტრო-სასიცოცხლო ბრძოლებისა.

დაპირისპირებულ ძალებში გამოიკვეთა ადამიანთა ორი
ძირითადი მისწრაფება პროგრესული და რეგრესული. პროგრე-

სულს ეკუთვნის საზოგადოებრივი ტიპის (ხასიათის) ადამიანი, რომლის მოქმედებაში და მოღვაწეობაში როგორც რუბინშტეინი ამბობს: „გადამწყვეტია საზოგადოებრივად და პირადულად მნიშვნელოვანის ურთიერთმიმართება“ ამ მიმართებაში მე ვხედავ ადამიანის მოღვაწეობისა და არსებობის აზრსა და გამართლებას.

განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს ალტრუისტული ხასიათის ადამიანი. ჯერ კიდევ არისტოტელემ გამოთქვა თავისი შეხედულება ამ ხასიათის მატარებელ კაცზე.

„რატომ უნდა შევეწირო რაიმე საქმეს სხვის მაგივრად?!“

„მე“ თუ სამშობლოს დაცვას ვენირები, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს შენი გადარჩენა იყოს ჩემი იდეალი, რომ შენ „მაგარი“ ბიზნესი აწარმოო და ხალხს დასავლეთიდან შემოტანილი 1000 %-იანი ფასნამატით მედიკამენტები მიჰყიდო. შენი ოჯახი ააყვავო და 80 წლის დედაბერს მეზობლებისგან ნასესხები უკანასკნელი შაურიანები დაატოვებიო ერთ 40 გრამიან შუშა წამალში და სახლში დაიმედებული გაუშვა: „არ შეშინდე, ბებო, გაისად ნაც-ქოცები სამართლიან არჩევნებს ჩაატარებენ, ქუვეუანას ააშენებენ და ხალხს ამქვეყნიურ სამოთხეში აცხოვრებენ“. „მე“ ვეწირები სამშობლოს თავისუფლებისა და სამართლიანობის დაცვის საქმეს, რომელიც ჩემთვის როგორც მამულისშვილისთვის და პატიოსანი მოქალაქისთვის იდეალს და კაცობის გვირგვინს წარმოადგენს.

ალტრუისტული ხასიათი მოითხოვს დეტალურ შესწავლას ფსიქოლოგიის სპეციალისტების მიერ.

რადგან საზოგადოებრივი ტიპის ადამიანი მიჩნეულია პროგრესულად მოაზროვნე არსებად, მისი საპირისპირო სახეობა, რომელსაც ეგოისტის ეძახიან, რეგრესულად უნდა მივიჩნიოთ. ამ სახეობის მქონე ადამიანს არ ახასიათებს არავითარი მისწრაფება, რომლითაც იგი ალტრუისტული ან საზოგადოებრივი ხასიათის მქონე ადამიანებთან ურთიერთსასარგებლო კავშირს დაამყარებდა, რადგან მისი ცხოვრების ალფა და ომეგა არის ეგოისტური „ჩემია“ და „მე რას მარგებს“ ასეთი მსოფლმხედველობის მქონე ადამიანების არმია კაცთა ცხოვრების საუბედუროდ მიღიარდობით წევრს ითვლის. ისინი საზოგადოებრივ

პროგრესს იმდენად უჭერენ მხარს, რამდენადაც მისგან სართვიან საქმეს მოელიან. ისინი ხალხის უუფლებობის და გაუნათლებლობის წყალობით ხშირად სარგებლობენ იმ სიკეთით, რომელიც ხალხს თავისი ჭეშმარიტად ერთგული მსახურებისათვის ემეტება. მდიდრულ სავარძლებში მოკალათებული ეგოისტები ყოველნაირად ცდილობენ მდიდარი უმცირესობის იდეების დაცვას. ხოლო ღარიბი უმრავლესობის ცხოვრება და ინტერესები რაზე ჰქიდიათ, ამაზე პასუხს ყველაზე პატარა, ახალფეხადგმული ბიჭი, რომელსაც ქალები დამოუკიდებლად მოძრაობაზეც ვერ ენდობიან და უკან მისდევენ, ბავშვი არ წაიქცესო, ისეთ დამაჯერებელ პასუხს გაგცემს, რომ მრავალნაცად ბერიკაცს გააკვირვებს თავისი პორნოგრაფიული და ინვექტიური ხელოვნებით. მაგრამ თუ გაიხსენებ დოსტოევსკის შეხედულებას, რომ „ადამიანი მეამბოხედ იბადება“, მაშინ აღარ გაგაკვირვებს შატარა ბიჭის მიხვედრილობა.

ეგოიზმის ერთ-ერთ აქსესუარს წარმოადგენს კონფორმიზმი. კონფორმისტისათვის დამახასიათებელია სუგესტივობა და უკრიტიკობა. მათ არ შესწევთ უნარი წინ აღუდგენ გარემოს მოზღვავებულ წინააღმდეგობას და იოლად ექცევიან მდიდარი უმცირესობის ყოველმხრივი გავლენის ქვეშ. მათი რიგებიდან მდიდარი უმცირესობის აგენტურული მთავრობა არჩევს „ბუნჩულა“ ბიჭებს, უტარებს პოლიტიკურ კასტრაციას და ღარიბ უმრავლესობას უსიანს. ისინიც ცოფიანი ძალლებივით კბენენ თავიანთ მოძმებს. გავიხსენოთ „კაკო ყაჩაღიდან“, მოძმეთა მისევა ზაქროს ბებერ მამაზე: „მამაჩემსა მოხუცებულსა წამოესივნენ მისივ მოძმენი“.

ვინ არიან და რას წარმოადგენენ მამაჩემის მოძმენი? 1... ესენი არიან ბუნჩულა ბიჭები, რომლებიც არსებულმა სინამდვილემ პოლიტიკურად დაასაჭურისა გადაუჭრა ის ძარღვი, რომლითაც ისინი სულიერ კავშირს ამყარებდნენ თავისი სოციალური კლასის წარმომადგენლებთან, იზიარებდნენ სხვა ადამიანების ჭირსაც, ლხინსაც, მაგრამ ახლა პოლიტიკურად დასაჭურისებულნი, უპრეტენზიოდ ასრულებენ ბატონის ბრძანებას. აქ საჭიროდ მიმაჩნია, შევახსენო მკითხველს: რომ ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული მეამ-

ბოხე ოძელაანთ ბიჭი „ბებერ მამაჩემს“ მარტო ორფუტიანი მუშტებით კი არა კბილებითაც დაიცავდა, რადგან მის ღონიერ სხეულში პროგრესულად მოაზროვნე მეამბოხის სისხლი დუღდა.

საზოგადოების კლასებად დაყოფის შედეგად საფუძველი ჩაეყარა მიზანთროპიას, რომელმაც „განსაკუთრებული მიღწევებით“ თავი ისახელა XX საუკუნეში, თუმცა არც ერთ საუკუნეში სატანის წინაშე თავი არ „შეურცხვენია“.

XX საუკუნის მეორე მეოთხედში მიზანტროპიამ თავისი განვითარების ზენიტს მიაღწია ფაშიზმისა და კომუნიზმის სახით. აქედან პირველის ბოროტება უამრავმა სწავლულმა და მეცნიერმა სათანადო არგუმენტების მოშველიებით დაამტკიცა, ხოლო კომუნიზმი, რომლის ერთ-ერთმა იდეოლოგმა XX საუკუნის II მეოთხედში საქვეყნოდ განაცხადა: „მე ბოლშევკის გარდა სხვა კაცი ამ ქვეყნად კაცად არ მიმაჩნია“-ო, ბებერ სულს მხოლოდ იმის საშუალებით ინარჩუნებს, რომ მისმა შეურიგებელმა მონინააღმდეგემ მსხვილმა ბურუუაზიამ კერძო საკუთრება კაცობრიული ცხოვრების ალფად და ომეგად გამოაცხადა 50 ოჯახის ხელში თავი მოუყარა იმდენ ფულს და პოლიტიკურ უფლებებს რომლითაც მათ საშუალება მისცა ემართათ კაცობრიობის ბედი თავიანთი ინტერესების მოთხოვნების და „ხუშტურების“ შესაბამისად. ამის შესახებ ამრიკელი გენრე ფონდი 1925 წელს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ წერდა: „იზოლაცია გაუკეთეთ 50 უმდიდრეს ებრაელს და კაცობრიობა მსოფლიო ომს თავიდან მოიცილებს“-ო. მაგრამ ვის შეეძლო იმ ძალების იზოლირება, რომელმაც უკვე ჩაატარა I მსოფლიო ომი და ახლო მომავალში მეორესთვის ამზადებდა კაცობრიობას და გააჩაღა კიდევაც მთელი თავისი საშინელებით, რომელთა აღწერა ნამდვილად საჭიროებს დანტეს გენიას.

კაცთა ცხოვრების არსებობა და განვითარება აუცილებლად მოითხოვს ადამიანის ჩასმას ისეთ ჩარჩოში, რომელშიც იგი გამოამჟღავნებს თავის შემოქმედებით უნარს, რომელიც მიმართული იქნება როგორც საკუთარი თავის, ისე ოჯახის, საზოგადოების და სამართლებრივი სახელმწიფოს საკეთილდღეოდ და შორს დააყენებს მიზანთროპიასთან, სიცრუესთან, დაუნდობლობასთან და ყოველგვარ მამაძალლობასთან.

კაცთა ცხოვრებაში ჩახედულმა თვითეულმა ადამიანმა კარგად იცის კანტის აზრი ადამიანის თავისუფლების შესახებ: რომ „ყველაზე დიდი უბედურება ადამიანის აღვირახსნილი თავისუფლებაა“, არც სტენდალისეული დარიგებაა უარსაყოფი: რომ „უპასუხისმგებლო ადამიანების თავისუფლებას ბოროტება მოაქვს“.

ჩარჩო ძნელი ასატანია იმ პიროვნებისათვის, ვისაც ამ ჩარჩოში იძულებით ამუშავებენ და ასრულებინებენ იმ სამუშაოს, რომლისთვისაც იგი მოწოდებული არ არის. ამ შემთხვევაში მისი შრომა არ ატარებს შემოქმედებით ხასიათს, რაც ტანჯავს მის შემსრულებელს. ასეთ შემთხვევაში შრომა მოსაბეზრებელი ხდება. ხოლო თუ მუშაკს შესასრულებელი საქმე უყვარს და შემოქმაჟდებითად ასრულებს მას, მაშინ მისთვის არც დროის, არც ხარისხის და არც დეტალების დამზადების რაოდენობრივი ჩარჩო შემზღვდველი მოთხოვნა არ არის და იგი თავს თავისუფალ შემოქმედად გრძნობს.

ყოველ ადამიანს გააჩნია თავისი იდეალი, რაც მისი შემოქმედების და შესაძლებლობის ფარგლებში შეძლებისდაგვარად ხორციელდება. ყოველი კოლექტივი დაწყებული მარტივი და მცირე გაერთიანებებიდან დამთავრებული სახელმწიფოებრივი გაერთიანებებით თავისი შემოქმედების კრედოთ უნდა ისახავდეს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა იდეალების განხორციელებას ასეთ შემთხვევაში საფუძველი გამოეცლება „წენვა-გლეჯის ბაზარს, რომელიც უდიდესი დიქტატორია კაცთა შორის არსებული ურთიერთობებისა. მისი უარყოფით დამყარდება კაცთა შორის სამართლიანი ურთიერთობა და ადამიენებს საჯანყო და საამბოხო არაფერი ექნებათ.

აკადემიკოსი ზელიმ ჩაკვეტაძე
22.09.2023 წ.

მექანიზმის პრინციპი და პრიტენზი

„ძილის წინ მეამბოხე ადამიანი ყოფნა არყოფნის ამო-
ცანათა შემზარავ ბნელში-მიდის წინ! და მაღლა სულ
წინ და მაღლა!

მაქსიმ გორკი

„არიან ტირანები, სისტემები, მთავრობები, მინისტრები
და კარდინალები, რომელთაგანაც ხალხი სიკეთეს ისე
უნდა ელოდეს, როგორც ნარ-ეკლისაგან ლიმონების
მოსხმას.

ლეო ტაქსილი

„Люди борьбы за правду-били опорою
прогресса и всех социальных возрождений“.
თომას მანი

პირველყოფილი თემური წყობილების დროინდელი ადამიანის
შეგნება მოუხედავად პრიმიტიულობისა მაინც ჯანსაღი და ადამია-
ნური იყო. მათ აერთიანებდა სამართლიანი და კეთილშობილური
იდეები. ამ საფეხურზე არ არსებობდა დამწერლობა და არც კანონ-
თა კრებულები. არსებობდა მხოლოდ გამოკვეთილი ურთიერთობის
შეგნება და ამას ადათის ტრადიციას ჩვეულების ხასიათი ჰქონდა.

საწარმოო ძალების განვითარებით გამოწვეულმა ცხოვრე-
ბის აღმავლობამ ახალ ურთიერთობას ჩაუყარა საფუძველი
კაცთა ცხოვრებაში. იქმნება ზედმეტი პროდუქცია და საფუძ-
ველი ეყრდნობა მის მითვისებას ძლიერი, მოხერხებული და ხელ-
მძღვანელი ინდივიდების მიერ. იქმნება კერძო საკუთრება და
საზოგადოება. ითიშება ანტაგონისტურ კლასებად-მდიდრებად
და ღარიბებად პირველი კლასობრივი საზოგადოება იყო მონათ-
ფლობელური, რომელმაც ძირფესვიანად გაანადგურა პირველ-
ყოფილ თემურ წყობილებაში არსებული კაცთაშორისი ურთიერ-
თობა. ადამიანები სამარადუამოდ დაუბირისპირა ერთმანეთს
და ურყევი საფუძველი ჩაუყარა იმ „წენვა-გლეჯის“ ბაზარს,
რომელსაც კაცობრიობის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი
ისე ეჯაჯგურება, როგორც ლილისუტების ჯგროები-გულივერს.

„წენვა-გლეჯის“ ბაზრისა და მისი აქსესუარების პრინციპების დაცვა „ამა ქვეყნის ძლიერთა“ მიერ იწვევს გადაულახავ წინააღმდეგოგბებს მდიდარ უმცირესობასა და ღარიბ უმრავლესობას შორის. მათ შორის კომპრომისი შეუძლებელია, იმის გამო, რომ მდიდარი უმცირესობა ცოცხალი თავით არ წავა იმ დათმობაზე, რომ ღარიბი უმრავლესობის ზურგიდან ჩამოვიდეს.

აღნიშნული მდგომარეობა ღარიბი უმრავლესობის რიგებში ყოველთვის იწვევდა, იწვევს და მომავალშიც გამოიწვევს პროტესტანტულ განწყობილებას, რაც დისიდენტების, მეამბოხების, მეჯანყების და ხშირად რევოლუციონერების დაჯგუფებათა ფორმირებების ჩამოყალიბების მიზეზი ხდება. ჩამოთვლილი პროტესტანტები, თუმცა ერთი ხის ტოტები არიან, მაგრამ ცალკეული თავისებურებებით მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან:

1. დისიდენტი არის პიროვნება, რომელიც არ იზიარებს გაბატონებულ იდეოლოგიას. მას სხვაგვარად მოაზროვნეს უწოდებენ.

2. ამბოხება არის მასების სტიქიური არაორგანიზებული გამოსვლა პოლიტიკური მმართველობის წინააღმდეგ.

3. აჯანყება არის მთავრობის წინააღმდეგ რომელიმე ჯგუფის ან კლასის შეიარაღებული გამოსვლა.

4. რევოლუცია არის მთელი ხალხის ბრძოლა დრომოქმული სახელმწიფო წყობილების დასამხობად და ახლის დასამყარებლად.

რაც შეეხება პუტჩის, იგი არის ოფიციერთა ბრძოლა სამხედრო დაქტატურის დამყარების მიზნით ამ საქმიანობებთან დაკავშირებით შეიქმნა ხელობისა და საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვები: მეამბოხე, მეჯანყე, რევოლუციონერი და პუტჩისტი. როგორც ზემოთ გაკეთებული კომენტარებიდან ჩანს, მეამბოხე და მეჯანყე განსხვავებული შინაარსის მქონე ცნებებია, მაგრამ ხალხმა ისინი ერთმანეთის სინონიმებად აქცია, რასაც არა აქვს ლოგიკური გამართლება. მაგრამ ხალხი, როგორც პლატონი ამბობს: ის უდიდესი სოფისტია, რომელსაც ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევ ვერც მისი მსოფლმხედველობისა და ვერც მისი სიძულვილის სფეროში“. იგი თავის ზნე-ჩვეულებებს და ტრადიციებს ისე ამკვიდრებს, რომ არავის არაფერს არ

ეკითხება. ვაჟა-ფშაველას დიდი ხნის წინათ შეუმჩნევია ხალხის ეს ჩვეულება და უთქვამს: „თემს რაც სწადია, მას იზამს თავის თემობის წესითა“-ო (იხ. მისი „სტუმარ-მასპინძელი“).

ცალკეული უწყებები კი ერევან მათ საქმიანობაში, მაგრამ მათი მოღვაწეობა ძირითადად იმით შემოიფარგლება, რომ სტიქიურად შემოტანილმა სიახლემ ბოროტებისკენ არ უბიძგოს საზოგადოებას და ხალხი მთავრობისადმი პროტესტანტულად განწყობილ კაცს დისიდენტს დაუქახებს, მეჯანყეს, თუ მეამბოხეს, ამაზე დიდად არავინ იჯავრებს. ასეთ ფაქტებზე მწერლობამ უნდა იზრუნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოსწყდება ხალხის „ცოცხალ“ სამეტყველო ენას, თავის გარსში ჩაიკეტება, რითაც თავსაც დააზიანებს და საზოგადოებრივ საქმესაც.

ცნება მეამბოხე, როგორც ზემოთ ითქვა, გამოხატავს დისიდენტურად მოაზროვნე პიროვნების პროტესტანტულ განწყობილებას და მოქმედებას ხალხის მიერ დაკანონებული და მდიდარი უმცირესობის მიერ მოწოდებული მთავრობის მიერ დადგენილი ღონისძიებების წინააღმდეგ, რომელიც ხმირად დაპირისპირებაში გადადის, რომელსაც აჯანყებას ეძახიან.

ჰომეროსის „ილიადა“-ში საუბარია მეამბოხის, თერსიტეს შესახებ როცა აგამემნონმა ლაშქარს გამოსაცდელად მოუწოდა, შევწყვიტოთ ომი და სამშობლოში წავიდეთო“, მისმა ნათქვამმა შეძრა სული, ყველა მებრძოლი აფორიაქდა, გინდა სმენოდა და გინდა არა“ (იხ. ილია და გვ.142-143) ამ მომენტში თავს იჩენს მეამბოხე თერსიტე. იგი ამხელს მხედარმთავრებს, რომლებსაც ომი ხელს არ აძლევთ. საჭირო გახდა ძალით დათრგუნვა ამბოხებისა. ოდისევსი სცემს თერსიტეს და ხალხს აგრძობინებს რომ მიწაზე სამართალი კი არა ძალა ბატონობს. ამიტომ გააკეთებია ავტორმა აგამემნონს ისეთი მოწოდება, რომელმაც აღანთო ხალხი დემობილიზაციის იმედით. მაგრამ მათი იმედი დათრგუნა იმავე ძალამ, რომელიც აგამემნონის ერთგული იყო. ეს ეპიზოდი მაჩვენებელია იმისა, რომ კაცთა შორის ურთიერთობებში წამყვან როლს ასრულებს ძლიერი ხელი და არა ხალხის მიერ დაკანონებული ადათ-წესები, ჩვევები და ტრადიციები (თუ საერთოდ არა გარკვეულ შემთხვევებში მაინც).

მეამბოხებს მდიდარი უმცირესობის ინტერესების შესაბამისად მთავრობის კაცები აუგად მოიხსენიებენ და არ სურთ ალიარონ ან ვერ ხვდებიან, რომ პროგრესული მეამბოხის გათანაბრება რეგრესულთან ზნეობრივი დანაშაულია და რადგან დე ვიურე დე ფაქტოდან გამომდინარეობს, პროგრესული და რეგრესული მეამბოხების გათანაბრება იურიდიულ დანაშაულადაც უნდა ჩაითვალოს, რადგან ისინი ერთმანეთის მიმართ ანტიპოდებია და მათ შორის კომპრომისი შეუძლებელია, რადგან პირველის კრიტერიუმი და პრინციპი პროგრესული იდეების, ტრადიციების და მიზნების დაცვა და განმტკიცებაა და მეორისა – რეგრესულის.

დოსტოევსკის შეხედულება, რომ „ადამიანი მეამბოხედ არის შექმნილი“, გამართლდება იმ შემთხვევაში, თუ ამ ცნებას ადამიანები იმ შინაარსით შევიმცნებთ, რომელიც სტატიის ეპიგრაფში მაქსიმ გორკის მიერ მონიშნებულ ადამიანს წარმოგებილებით: „რომელიც მოდის სულ წინ! და მაღლა!“

პროგრესულად მოაზროვნე მეამბოხის ძალას სხვა ფაქტორებთან ერთად წარმოადგენს მისი კომუნიკაციურობა. მარტოხელა და მარტოსული თუნდაც ტიტანური ძალის პატრონი „წინ და მაღლა ვერ წავა, რადგამ წინ და მაღლა სვლა აუცილებლად საჭიროებს სხვა კაცების მხარდაჭერას და თანაგრძნობა. კი არის უამრავი შემთხვევები, რომ მარტოხელა კაცები აქტიურად იბრძვიან სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ინდივიდუალური ბრაზით უმაღლესი იდეალების მიღწევა არავის შეუძლია.“

თუ პროგრესულად მოაზროვნე მეამბოხისათვის კომუნიკაციურობა და ხალხის გათვითცნობიერება მიზნის მისაღწევად უდიდესი საშუალებაა, რეგრესული მეამბოხისთვის სიცრუე და ხალხის გაუნათლებლობაა მამოძრავებელი წყარო.

ვინც სიცრუის წინააღმდეგ იბრძვის, თეისტი იქნება იგი თუ ათეისტი, სუსტი თუ ძლიერი, სწავლული თუ უსწავლელი, ბებერი თუ ჯეელი, ყველა პროგრესულად მოაზროვნე მეამბოხის წისქვილზე ასხამს წყალს, ხოლო სიცრუის აპოლოგეტები-რეგრესულისაზე. ამიტომაა, რომ რუსთაველი არავის მიმართ ისე შეუბრალებელი არ არის როგორც ცრუ კაცის მიმართ: „კაცი ცრუ და მოღალატე ხამს

ლახვრითა დასაჭრელადო“, გვარიგებს ადამიანებს.

XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი დრაკონის ადოლფ ჰიტლერის კრიტერიუმი სიცრუე იყო ... იგი კოლეგებს ასე არიგებდა: „პროპაგანდა სხვა არის საქმე სხვა...რასაც პროპაგანდისათვის ვაკეთებთ, იგი საქმისათვის არ გამოდგებაო“-ო.. კმაყოფილი იყო იმით; რომ „ხალხს დიდი სიცრუე უყვარს და სჯერა, რაც შეეხება პატარა სიცრუეს, ამას იგი თვითონაც იგონებს, ხოლო დიდისათვის მას ფანტაზია არ ჰყოფნის“-ო. მისი პირველი იდეოლოგი გებელსი წერდა: „ჩემნაირ კაცს, თუ კბილები არ დააყრევინე, სიმართლეს ვერ ათქმევინებო“ ასეთმა პრეროგატივებმა ჯერ გერმანია ჩაიგდეს ხელში, შემდეგ თითქმის მთელი ევროპა. ჩვენი ხალხების სავალალოდ მათ არც კომუნისტები ჩამოუვარდებოდნენ ამ „ეკთლშობილურ“ საქმეში. ჩემს ახალგაზრდობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხრუშჩინვისეული აზრი იმის შესახებ: რომ „კომუნიზმი ჰორიზონტის ხაზთან არის მომდგარი და მალე ჩვენამდე მოაღწევს“-ო. საწყალ ხალხს სჯეროდა ხრუშჩინვის „სიბრძნე“ და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ჰორიზონტის ხაზი არარეალურია, ილუზიურია, წარმოდგენითია და მასთან ადამიანი ვერასდროს ვერ მივა და ვერც იგი მოვა ადამიანთან.

შეუძლებელი იყო, რომ ასეთი იდეოლოგების ბატონობა ხალხებს ხანგრძლივად აეტანათ და პირველს XX საუკუნის პირველ ნახევარში მოუღეს ბოლო და მეორეს-მეორეში. და გაითავისუფლეს თავი ორივე ქიმერისაგან. ადამიანებისათვის ამოუსსნელ გამოცანად რჩება იმ X-ის ვინაობა, რომელსაც მათი განადგურების საქმეში ხელმძღვანელის როლი შეასრულა. ცნობილია, რომ ის X თვითონ წარმოქმნის რეგრესულ მეამბოხებს და შემდეგ თვითონვე ანადგურებს იმ X-ის დიქტატმა დააჩქარებია „მსოფლიო წესრიგის ჯგუფებს“ მუსოლინის და ჰიტლერის ჩამოცილება, იმის გამო, რომ პირველმა ლირით სპეკულაცია დანაშაულად გამოაცხადა, ხოლო მეორე ფინანსური ძალმომრეობის წინააღმდეგ აჯანყდა“. (იხ „ჩემი „მეამბოხის კრედო“ გვ.53 აბ.11).

იოსებ სტალინის, უდიდესი მეამბოხის, რომელმაც რუსეთის თვალუწვდენელი იმპერია მორჩილებაში მოიყვანა, ახლა მისი მოღვაწეობის კრიტერიუმს წარმოადგენდა კაცობრიობისათვის

იმის დამტკიცება, რომ ერთ ქვეყანაში (მაშინ სსრკ-ი ერთ სახელ-მწიფოდ ითვლებოდა) სოციალიზმის აშენება შესაძლებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მან მსოფლიო ომის სიმძიმის ¾-ი რუსეთის იმპერიას გადაატანია შიმშილით გაძვალტყავებული მხრებით, მისი „მოკავშირები“ სსრკ-ის განადგურებაზე იწყებენ ზრუნვას და ფოლადის თითებით შეკონიჩებული ერთპარტიული სოციალისტური სახელმწიფო ძველი საბუდარივით მიანგრ-მოანგრიეს იმ X-ის წარმომადგენლებმა, რომლებიც თავისი ტაქტიკის შესაბამისად ჯერ ასუსტებენ მონინააღმდეგეს და შემდეგ ანადგურებენ.

მეამბოხების ექსესუარებად უნდა ჩაითვალოს ტერორი და ყაჩალობა. ტერორი ფიზიკური ძალადობაა კლასობრივი ან პოლიტიკური დაშინების მიზნით მის სუბსტანციას წარმოადგენს მდიდარი უმრავლესობის უყურადღებობა ღარიბი უმრავლესობის მოთხოვნებისადმი, ბოლო საუკუნეში ტერორიზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია ბინ ლადენი, რომლის მიერ ჩატარებული ტერაქტის შესახებ ინფორმირებულია პლანეტის თვითურებული მოქალაქე.

ყაჩალობა არავისოთვის უცხო არ არის, მაგრამ ყველაზე მეტი მიმდევარი ამ „ხელობას“ კავკასიაში ჰყავს. უოტ უიტ-მენი „სალიუტ ამ მონდეში“ წერს: „მოგესლმები ყაჩალო მთისა კავკასიაში“-ი. ასე რომ ამერიკაშიც სცოდნიათ კავკასიელების „ყაჩალობა“” საქართველოში ფრანგ მოგზაურს არსენას ძეგლი უნახავს და პარიზის ერთ-ერთ გაზითში ასეთი სენსაციური აზრი გაუვრცელებია: „კავკასიელები ყაჩალებს ძეგლებს უგებენო“ ფრანგებს გაგების უნარი რომ არ აკლიათ ეს შეხედულება მტკიცებას არ საჭიროებს, მაგრამ იმის შეხსენება კი არის საჭირო, რომ კავკასია დედამიწის ორი მატერიკის გზაჯვარედინზე მდებარეობს, სადაც ყველა მხრიდან იყრიდნენ თავს სხვადასხვა მხარეებიდან მოსული სხვადასხვა მდგომარეობის, ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესების, ტრადიციების, რელიგიების, სულიერი ღირებულებების და შეხედულებების მქონე ადამიანები. ასეთ ობიექტზე ერთი თვალის გადავლებით რომ უცხოელს დეტალურად გაეგო ამერიკის დროშასავით მრავალფეროვანი ქვეყნის მცხოვრებთა ზნეობრივი იდეოლოგიური საყოფაცხოვრებნო და სხვა კულტურული ტრადიციები ნამდვილად გასაკვირი იქ-

ნებოდა.

ევროპელი კაცისათვის ცნება ყაჩალი გამოხატავს ტყეში შეზიზულ შეიარაღებულ მძარცველს, ავაზაკს. დასახელებული ევროპული ნორმა მისაღებია ქართველი კაცისთვისაც, მაგრამ მისი ლოგოსი გარკვეულ შემთხვევაში იცვლება და ვლებულობთ ასეთ გაგებას, რომ ყაჩალი არის კაცთა შორის ურთიერთობაში და მკვიდრებული უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული და ტყეში თავშეფარებული შეიარაღებული ინდივიდი, ზოგჯერ პატარა ჯგუფი, ხოლო დიდი გაერთიანებები კავკასიაში ყაჩალებისა კი არა ერებისაც არ ხერხდება. ჩემში დიდი გაკვირვება გამოიწვია ჩინელი გუბერნატორისგან გადმოცემულმა ინფორმაციამ: რომ „ჩემს გუბერნიაში 30 მლნ კაცი ცხოვრობსო“. ჩვენ გუბერნიაში კი არა მთელ კავკასიაში ვერ გავაერთიანებთ, თუნდაც მათივე ცხოვრების საკეთილდღეოდ რამდენიმე მილიონ კაცს.

არსებობს შეხედულება, რომ თითქოს კავკასიელი კაცი ცხელსისხლიანია და უჭირს საერთო თანაცხოვრების წესებთან შეგუება. იშოვის სადმე თოფს და მიაშურებს ტყედ და აღარ იწუხებს თვას ცხოვრების კეთილდღეობაზე ზრუნვით. აქ ცხელი სისხლი კი არა ცხოვრებიდან განდგომას ადამიანისას იწვევს. ის გულცივი დამოკიდებულება ადამიანებისა იმ სუბიექტის მიმართ, რომელიც მათგან სულიერ სითბოს და მეგობრულ დამოკიდებულებას მოელოდა. გაჭირვების შემდეგ იგი იძულებული ხდება, თავი ტყეს შეაფაროს, სადაც როგორც ილიას კაკო ამბობს: „ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი“ (იხ. ილიას „კაკო ყაჩალი“).

საქართველოს ისტორიაში აყაჩალებულ გლეხს მშვიდობიანი და სამართლიანი ურთიერთობის წესების დამკვიდრებისთვის ბრძოლამ ხალხის გულში სამარადისო დიდება და სიყვარული მოუპოვა.

სანარმოო ძალების განვითარების დაბალი საფეხურებზე დიდგვაროვნები გლეხს ისე უყურებდნენ როგორც ცხოველს და არა ისე, როგორც ადამიანს. ლეჩეუმელ დიდგვაროვანს უთქვამს: „გლეხი ყველაზე მაღალპროდუქტიული ცხოველიაო. ცხონებულ ილიას ეს მდგომარეობა ახალგაზრდობაში გაუთვიცნობიერებია და გადმოუცია თავის „გლახის ნაამბობში“

სასიკვდილოდ დაჭრილი დათიკო შეახსენებს მკვლელს:

„გახსოვს? მყინვართან რომ გითხარი: „თუ გინდა დამლოცე, სანთელ-საკმეველლი თავის გზას არ დაკარგავსთქო-მაშ შენ იყავი ის კაცი?!-რისთვის დამიხსენი?!”-ვერა ხედავ?! აი ამ დღის-თვინა“ და დალია სული. აქ კომენტირებას საჭიროებს ბატონსა და ყმას შორის არსებული ურთიერთობა, რომ დათიკო, როგორც მებატონე, გაბრიელს ისე უყურებს, როგორც ცხოველს, რომელსაც არ გააჩნია თავისი ადამიანური თავმოყვარეობა და ღირსება წყენისაგან ატროვებული მალე დამშვიდდება და თავისი ფუნქციის შესრულებას შეუდგება. მან იგი გადაარჩინა როგორც ქონება, როგორც მსახური და არა როგორც კაცი, რომელსაც არ შეიძლება არ გააჩნდეს თავისი პრეტენზიები უსამართლობის წინაშე.

ნინოშვილის სიმონა ასე მიმართავს მის ამწიოკებელ დავითს:..რა არის დავით, პანაობიდან რომ გადამეკიდე და მოსვენებას არ მაძლევ“-ო. გაჯავრებული დავითი ხალხმა ასე დაამშვიდა: „ბალლია და ჭყამპალობს, გაიზრდება და შენი მორჩილი მონა იქნებაო“-ო მაგრამ დავითმა იცის, რომ სიმონა იმ გაბილას შვილიშვილია, რომელიც არავის არ დაჩავრავდა და არც თავს დააჩავრინებდა ვინმეს ამიტომ რადგან სიმონასაგან იგი არ ელის ბუნჩულა ბიჭის ჩ ამოყალიბებას ის უნდა განადგურდეს.

როცა გურულები სიმონას გაპარტახებულ სახლ-კარს და მის შემოგარენს დაინახავენ, გაახსენდებათ: „იი კაი მუშა ბიჭი სიმონიე“ რომელიც სულწანყმედილმა დავითმა იმსხვერპლა, შეიძლება ვინმემ იფიქროს, სიმონა რომ ბუნჩულა ბიჭი ყოფილიყო, თვითონაც გადარჩებოდა და დავითის ოჯახსაც არ დაღუპავდაო“. აინშტაინი ამბობს: „ისტორია არის ის. რაც არის და არა ჰიპოტეტური ასე რომ მომხდარიყო“-ო. სიმონას აქვს მემკვიდრეობით მიღებული კრიერიუმი, რომელიც მას აიძულებს შური იძიოს მისი ოჯახის ამწიოკებლებზე. დოსტოევსკიც ხომ გვასწავლის რომ „ადამიანი დაბადებით მეამბოხეა“. სიმონაში ხომ იმ კავკასიელის სისხლი, დუღს რომელსაც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში უთქვამს:... ჯავრს არა შევჭამ მტრისასა“-ო და სტიმული მიუცია სიმონების, არსენების, კაკოების, ზაქროებისა და მათნაირთა მოქმედებისთვის. მართალია, ისინი უსწავლელნი იყვნენ რადგან მათთვის „ძლიერნი ამა ქვეყნისა“ სწავლა-განათ-

ლებას ვერასდროს გაიმეტებდნენ და უსწავლელი ბიჭები საზოგადოების გაერთიანები პროპაგანდას „მდიდარი უმცირესობის წინააღმდეგ ვერ შესძლებდნენ, მაგრამ თავისი პროტესტს ინდივიდუალურად გამოთქვამდნენ, თოფებსაც ურუხუნებდნენ და კავკასიის ხევ-ხუვებს აფარებდნენ თავს, მანამ, სანამ მდიდარი უმცირესობის დამცველები არ მოულებდნენ ბოლოს.

წმინდა მამები ძალას არ ზოგავდნენ რომ როგორმე მდიდრები და ღარიბები ერთმანეთთან ისე მოერიგებიათ, რომ მდიდრები არ დაზარალებულიყვნენ: დააემორჩილეთ მონებო, თქვენს ხორციელ ბატონებს შიშითა და კანკალით გულწრფელადა როგორც ქრისტე (პავლე ეფესელებს 6:5)

ლმერთი და ეკლესია უზრუნველყოფენ საკუთარი კეთილდღეობის მარადისობას ქრისტიანობა აშკარად მონური წყობილების თავგამოდებული დამცველია „მე გეუბნებით თქვენ, წინ ნუ ალუდგები ბოროტს არამედ თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში გაგაწნა, მეორე ლოყაც მიუშვირე (მათე 5:27-48)

ტიტიკოს მოსაკლავად ჩასაფრებულ სიმონას გაახსენდა კაცისმკვლელთან საუბარი: „კაცს რომ კლავ, სულის წარწყმელისა არ გემინია?!-ჩემთვის ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაქციეს და ჯოჯოხეთში სულის გადარჩენაზე არავინ ფიქრობს“-ო იყო პასუხი.

კათოლიკე მისიანერსა და არსენა მარაბდელს შუა ასეთი საუბარი გაიმართა: „მამაო თქვენს რჯულში ბატონყმობაზე რაღა სწრია? - ნეტარ იყვნენ მშვიდინი, რამეთუ მათ დაამკვიდრონ ალაგი ცათა შინა - მე აქაც ვერ დამიმკვიდრებია ერთი ადგილი სასაფლაო და ზევით ვინ რას მომცემს. მარაბდელმა ისევ ხმას დაუწია: ლმერთმაც იცის და კაცმაც არსენა ოძელაშვილი ბატონყმობას ეომა და სანამ ზედ არ შეასკდება, ხელს არ აიღებს - უნდა აიღო, შვილო, თორემ არ ცხონდები. „მამაო, მე ჯერ აქ მინდა ვცხონდე და მერე ზეცაში.“

იფიქრე შვილო, მარტო სულიც ცხონებაზე იფიქრე და მოვრიგდებით. - ვერ მორიგდნენ“ (იხ მიხ. ჯავ-ის „არსენა მარაბდელი“) ვერ მორიგდნენ იმიტომ, რომ ქრისტიანული დარიგება, რომელიც ბატონებისადმი უსიტყვო მორჩილებას ასწავლის - ხალხებს. არსენა ოძელაშვილისათვის აბსოლუტურად მიუღებე-

ლი იყო.

ამაოდ ელოდება ღარიბი უმრავლესობა კომპრომისს მდიდარი უმცირესობისაგან. მათი მორიგება ერთმანეთთან მანამ სანამ არ შეიქმნება ისეთი ტიპის მთავრობა, რომელსაც უფლება ექნება გააკონტროლოს თვითეული კლასის ბიუჯეტი შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებით გაუზარდოს გადასახადები მდიდრებს, ხოლო ჩამორჩენილი და მდაბალმწარმოებლურ მეწარმეებს გაუწიოს დახმარება წარმოების განვითარების მიზნით. არავინ არ უნდა განებივრდეს ისე, რომ სახელმწიფოს ხაზინაზე მეტი ფული ჰქონდეს. სამართლიანად უნდა იქნას მიჩნეული რუსოს აზრი ადამიანთა უფლებებზე, რომ „არც ერთი მოქალაქე არ უნდა იყოს ისე მდიდარი, რომ შესძლოს სხვისი შესყიდვა და არავინ ისე ღარიბი, რომ იძულებული იყოს, სხვას მიეყიდოს“. ამ შეხედულების დაკანონება და ცხოვრებაში დამკვიდრება უნდა იყოს სახელმწიფოს შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია. სახელმწიფო უნდა იყოს თავისი ხალხის და მასთან დაკავშირებული ყველა უწყების და მათი აქსესუარების ბატონიცა და პატრონიც. იგი არ უნდა იყოს ყურმოჭრილი მონა მდიდარი უმცირესობისა. ბატონობის ფუნქციას იგი ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად ასრულებს მდიდარი უმცირესობის სასარგებლოდ, ხოლო ღარიბი უმრავლესობის დაცვაში ორივე ფეხით მოიკოჭლებს.

პლატონის სახელმწიფოს შეფასებისას ერთ სახელმწიფოში ორი სახელმწიფოს არსებობაზე ლაპაარაკობს: „ახლა სახელმწიფო ეს ორი ერთმანეთის მტერი

სახელმწიფო სახელმწიფო მდიდრებისა და სახელმწიფო ღარიბებისა“ (კაცთა ცხოვრების სავალალოდ ასეა ახლაც). გამოაქვს დასკვნა, რომ „უნდა დაარსდეს ერთი სახელმწიფო სახელმწიფო გონებისა და ზნეობისა“.

არისტოტელე სამართლებრივად მიიჩნევს ისეთ სახელმწიფოს, სადაც „ბატონობს არა ხალხი როგორც ბრბო, არამედ ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები“ და არა მდიდარი უმცირესობის აპოლოგეტები, როგორც იყო, არის და მომავალშიც გაგრძელდება, თუ ხელი არაფერმა შეუძალა.

აკადმიკოსი ზელიძე ჩავეტაძე
0121-იანი და ეროვნული სახელმწიფო

2500 წელია ყველა იმპერია ყველა ადამიანის საყოველ-
თაო პოლიტიკური წესრიგის დამყარების პირობას იძლე-
ვა. ყველა დაპირება ცრუ აღმოჩნდა“.

ჰარარი

„მშვიდობა ვერ დაისადგურებს პოლიტიკურად დაყოფილ
მშოფლიოში“.


დანტე

„ეროვნული სახელმწიფო ამართლებს იქ, სადაც საზოგა-
დოება მონოგამიურია. მრავალეროვან საზოგადოებაში
იგი გაცილებით უარესია – ვიდრე იმპერია“.

ნილ ფერგოუსონი. პროფესორი

„ნაციონალიზმი, რომელიც წარმოადგენს იზოლაციის შე-
დეგს ძალაუფლების ძებისა, არ შეუძლია მშვიდობიანო-
ბა მოიტანოს მსოფლიოში – ნაციონალისტი, რომელიც
მეგობრობაზე ლაპარაკობს ცრუობს. ის წინააღმდეგო-
ბების მდგომარეობაში ცხოვრობს.“

კრიშნამურტი



ძირს ვაშიზე და კომუნიზმი!!!

რუსთაველი თავისი პოემის პროლოგში გვეუბნება: „რომელმან შექმნა სამყარო... ჩვენ, კაცთა მოგვცა ცხოვრება, გვაქვს უთვალავი ფერითა“. ამ ფერთა სიუხვეში ყოველი საგანი და მოქმედება სხვადასხვა მხრიდან სხვადასხვანაირად მოჩანს. გალაკტიონს რაობათა ეს თვისება ჩვენზე ადრე შეუმჩნევია, და უთქვამს: „....საგანი ფერს მისთვის ხშირად იცვლის იმის გვარად, რისთვის ხედავ რანაირად, რომელ მხრიდან და რად?!“ დაკავირვებული კაცი მისი სენტენციიდან გამომდინარე აზრზე დაყრდნობით გამოიტანს დასკვნას, რომ სუბიექტს შეუძლია ჯერ ერთი, ხოლო შემდეგ სხვა მხარეებიდან დაინახოს საგანი თუ მას მისი დეტალური შესწავლა აინტერესებს. ყოველი მხრიდან უნდა შემოხედოს მას, თორებმ ჰაიპარად დანახული საგანი თავის ვერც ფორმაზე და ვერც შინაარსზე დეტალურ ცოდნას ვერ მისცემს.

იმოდენა რაობას როგორიც იმპერიაა, მრავალნაირი და მრავალრიცხოვანი მჭვრეტელი და შემფასებული, მაქებარი და მაგინებელი, მლოცველი და მაწყვევარი, მოყვარული და მოძლე ჰყავს. ჩვენ შევაფასოთ იგი ობიექტურად: ვისთან რას წარმოადგენს და ვის რას უკეთებს. ვისგან რას იმსახურებს და ვინ როგორ იყენებს. იგი საზოგადოების მართვის კეთილსინდისიერი წარმონაქმნია. თუ ლიუციფიფერის რეზიდენცია.

მოკლე პოლიტიკურ ლექსიკონში განმარტებულია, რომ იგი არის: „1. მონარქიული სახელმწიფო. II დიდი კოლონიური სახელმწიფო, რომლის დამახასიათებელი ნიშნებია დამპყრობლური პოლიტიკა, დამორჩილებული ხალხის ჩაგვრა და ექსპლოატაცია.“

ეს განმარტება კი არის ჭეშმარიტების შემცველი. დიდი იმპერიების გამაერთიანებელი მიზანთროპები ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ თავისიუფლებისმოყვარე პატარა ერებს. მის დიდ ნაწილს კლავდნენ, გადარჩენილებს ატყვევებდნენ და მონებად აქცევდნენ. ისტორიაში ზედაპირულად ჩახედული ადამიანებიც კი გრძნობენ დიდი იმპერიების ყოველგვარ სამართლიანობასა და კაცობაზე ხელალებული ყაჩალების მიერ ჩადენილ საშინელებებს. მაგრამ ამ ბოროტებების სათავედ რომ მარტოოდენ იმპერიად წოდებული საზოგადოებრივი გაერთიანება ჩავთვალოთ, ეს იქნება ჭეშმარიტებიდან ამოვარდნა, რადგან მასში ლომის წილი საზოგადოებრივ გაერთიანებას კი

არა, ადამიანის სულში ჩასახლებულ სატანას ეკუთვნის, რომელიც ადამიანებს მიზანთროპებად აყალიბებს და მათ მისწრაფებას, მოქმედებას და ერთსულოვნებას თავისი ინტერესების შესაფერისად წარმართავს და მგლებად ქცეულს ადამიანებს ერთმანეთს აჯიჯვნინებს.

ქართველმა კაცმა შეიძლება ბევრი რამ არ იცოდეს, მაგრამ ის კი აუცილებლად ეცოდინება, თუ როგორ აწიოკებდნენ და ანადგურებდნენ მის წინაპრებს დიდი იმპერიების დიდი მიზანთროპები: ჯალალ ედ დინები, მურმან ყრუები, თემურ ლენგები, სპარსეთისა და ხორეზმის შაჰები, რომლებსაც შეიძლება სატანას ფავორიტები ვუწოდოთ.

დიდი სიბრიყვე იქნება იმის წარმოდგენა, რომ მეჯოგე მონგოლი ოდესმე იმას გაიფიქრებდა კავკასიისკენ წამოსულიყო ხალხის საძარცვავად და ასაწიოკებლად. ანალოგიური აზრი ითქმის სატანის ჯარისკაცებზე, რომლებსაც სატანა თავისი ბოროტი ზრახვების გასახორციელებლად იყენებს. საწყალ ხალხს გვაროვნული მმართველობის დაშლის შემდეგ ვინ მისცემდა იმის უფლებას, რომ უარი განეცხადებია ლაშქრობაში მონაწილეობაზე. უუფლებო მილიონები აწყდებოდნენ ერთმანეთს იმისთვის, რომ სატანას ფავორიტების იმპერიები გაეფართოებიათ და სიმდიდრით აევსოთ. ქართულ კინოში დიდი ოსტატობით არის გამუქებული ჯარისკაცის უფლება და სამოქმედო კრედო: „...Что нада слуши воевать, впериод кали, назад контах“.

როცა ჯარისკაცებმა, თურქეთის იმპერატორი აზმაიათი თოკით შეერული იურტაში შეუყვანეს თემურ ლენგს, მან ხმამაღლა გაიცინა. ტყვემ მენტორული ტონით უთხრა: „ნუ დამცინი, თემურ, დღეს მე ჩამომახრჩობ, მალე შენც ჩამოგახრჩობნო“. თემურმა ასეთი პასუხი გასცა: განა მე შენი დამცირებისთვის ვიცინი?! – მე დავსცინი ამ ხალხს, რომელმაც უფლება მოგვცა ორ ხეიბარს, მე კოჭლს და შენ ბრუციანს. (აზმაიათი ბრუციანი იყო) 200 000 კაცი ერთმანეთისთვის შეგვეწყვიტა“-ო. ეს აზრი დიდი შენაძენია ადამიანის უფლებათა ისტორიის საგანძურისთვის. მოცემული არგუმენტი დამამტკიცებელია იმისა, რომ უბრალო ადამიანი სათამაშო ტიკინაა სატანას ფავორიტების ხელში. უნდა ვაღიაროთ, რომ სატანას

ფავორიტების მიერ ტიკინებად მიჩნეული არსებები წარმოადგენენ კაცობრიული ცივილიზაციის სუბსტანციას. ამ სუბსტანციის წევრებს ძლიერნი ამა ქვეყნისანი მუდმივ შრომაში, ლუკმა-პურის ძებნაში და ათასნაირ გაჭირვებაში ატარებიერენ ღვთისგან ნაწყალობებ ორ პარასკევს და თვითონ მუდმივ სიამოვნებაში და განცხრომაში ატარებენ დროს. გალაკტიონის ლექსში ვკითხულობთ:

„...კისკისი ისმის მშვენიერ ქალთა,
მარჯნისფერ სითხეს სვამენ ფრანტები;
აი, ვის უგებს სახლს კალატოზი,
თვითონ სარდაფში განალანდები“.

სარდაფში განალანდებ კალატოზებს ეკლესიების, მეჩეთების და სინაგოგების ქურუმები იმქვეყნიურ სამოთხეს პირდებოდნენ, ხოლო მარქსისტები – ამქვეყნიურს. მაგრამ იმქვეყნიურის ირგვლივ თუ ილუზიებს არ დავეყრდნობით, არაფერი ვიცით, ხოლო ამ ქვეყნად დაპირებული „წითელი სამოთხე“, რომლის არქიტექტორობა გორელმა ბიჭმა იკისრა. „პერესტროკამ“ ძველი ქვეყნის საბუდარივით მიანგრ-მოანგრია და მის მაგივრად სატანას ფავორიტების მიერ ტიკინებად მიჩნეულ ადამიანებს კომერციულ სასუფეველს უშენებს.

საპნის ბუშტივით გაქრა გორელი ბიჭის იდეალი, რომ რუსების მიერ შეკონინებული სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელსაც ლენინმა სსრკ-ი უწოდა, ხოლო რეიგანმა „ბოროტების იმპერია“, „ადამიანის კეთილდღეობის იმპერიად“ ექცია. კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩავარდა ადოლფ შიკლგრუბერიც, რომელსაც ჩვენი პლანეტა ფაშისტების სათარეშოდ უნდა ექცია.

გაერთიანებები, როგორც საზოგადოებებისა ისე სახელმწიფოებისა მაშინ არის მისაღები და ხელშესაწყობი, როცა ისინი კაცობრიობის სიკეთეზე ზრუნავენ. ხოლო თუ ისინი მდაბიო ხალხის ცხოვრებას ბოროტებისკენ ექაჩებიან, დაუყოვნებლივ უნდა დავშალოთ. მათი დაშლა უნდა დაევალოს ძალისმიერ უწყებებს. მათ ხელთ უნდა ჰქონდეთ არა მარტო ხალხის მიერ არჩეული დეპუტატების, არამედ სწავლულთა და მეცნიერთა დადგენილებაც ასეთი გაერთიანებების მშვიდობიანად დაშლის შესახებ. არ უნდა ველოდოთ ხალხის გამოხმაურებას, რადგან

ხალხი იმ რაჭველ პარაშუტისტს ჰეგავს, რომელიც ცხრამდე და-
თვლამდე გაუშლელი პარაშუტით მინას დაასკდა. ხალხის აზრი
დანტემ ქარის ქროლვას შეადარა, რომელიც „ხან აქეთკენ ჰერის
და ხან იქითკენ“. როცა ხალხი დარწმუნდა კომუნისტების „ან-
გელოზობაში“ მორთო ყვირილი, ესენი „წითელი ანგელოზები“
კი არა წითელი ეშმაკები არიანო, მაგრამ გვიანი იყო. „წითელ
ანგელოზებს“ უკვე ჩაბარებული ჰქონდათ მძიმე არტილერიაზე
მბრძანებლობის უფლება და ყვირილით და რუხუნით ზარბაზანს
ვერავინ შეაშინებს. ამ მდგომარეობის შესახებ ბუაჩიძე წერდა:
„...სტალინმა ჯაგლაგად მიგვიჩნია, ფერდები შეგვალენა და
უზანგებში სალდათის ჩექმები წვალებით შეატია. სავირე მა-
თრახები ორივე ხელში უჭირავს. ზარბაზანი წინ მიუძღვის. შავი
პურის ნატეხი რა არის და იმისთვისაც შორიდან გვაყურებინებს
და ... შენ მოერევი სტალინს?! ჩემი ჩემიაო და შენიც ჩემიაო.
ზღვები-თქვენი, თევზი-ჩვენო, მინა-თქვენო, მოსავალი-ჩვე-
ნო, კურდღელს მოკლავ, ხორცი-ჩვენო, ტყავი-თქვენო, მელას
მოკლავ ტყავი-ჩვენო, ხორცი-შენო.

ჩეენს მიერ ავკარგიანობის შესწავლის მიზნით შემოწმებული
სახელმწიფოთა გაერთიანების ობიექტი, რომელსაც ლათინუ-
რად იმპერია უწოდეს, ნააგავს სფეროს, რომელიც მთლიანობა-
ში ერთდროულად არა ჩანს, მისი დანახვა შეიძლება ნახევარს-
ფერობის სახით. პირველი ნახევარსფერო დავინახეთ, მაგრამ
სასიკეთო ბევრი ვერაფერი აღმოვაჩინეთ. მისი დეტალურად
შესწავლის მიზნით გადავხედოთ მის მეორე ნახევარსფეროს
და შეიძლება გამართლება მიეცეს (ნაწილობრივ მაინც) რუსი
ხალხის შეხედულებას: „...Дявол не так страшный как его рисуют“.

იმპერია, როგორც საზოგადოებრივი აზრის ნარმონაქმინი,
ნარმოადგენს ფორმას, რომელიც მისივე შემქმნელის შეხედუ-
ლებების ცვალებადობის შესაფერისად იცვლის მინაარსს. მას
ყველა დროში ისეთ და იმდენ წყევლა-კრულვას უგზავნიდ-
ნენ ყველა ქვეყნის ხალხები, რომ საწყალი ქრისტინე ბებიაც
(რომელსაც წყევლა-კრულვა საქართველოს პრეზიდენტები-
ვით უყვარდა) მოიხიბლებოდა მათი „ხელოვნებით“. იმპერიები,
როგორც ეპიგრაფშია ნათქვამი 2500 წლის წინათ შეიქმნენ და
დღემდე აგრძელებენ არსებობას სხვადასხვა ფორმით.

იმპერია არ არის სალანძლავ-საგინებელი და არც საქებ-სა-დიდებელი ცნება. ლანძლვა-გინება და ქება-დიდება მან მხოლოდ თავისი საქმიანობებით შეიძლება დაიმსახუროს. რომელსაც იგი საზოგადოების და მისი ნებით დაკანონებული მთავრობის დი-ქტატით ეწევა.

მმართველობა იმპერიული იქნება ეროვნული, ტომობრივი თუ გვაროვნული უნდა ხელმძღვანელობდეს საზოგადოების მოწინავე ნაწილის მიერ შემუშავებული და დაკანონებული ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით მიღებული კანონებით. ეს არის ზეიმი და გამარჯვება ჭემმარიტი დემოკრატიისა, რომლისკენაც კაცობრიობას მისი მოწინავე ნაწილი უხსოვარი დროიდან ექაჩება. სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების მართვა დასახელებული მოთხოვნის შესაბამისად, უდავოა, რომ ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვად ჩაითვლება. იმპერიული გაერთიანება მოუხედავად თავისი დიქტატორულ-მონარქიული ხასიათისა მაინც შეიცავს ისეთ ფაქტორებს, რომლებიც მას განასხვავებენ ხევ-ხუვების ბერებისგან და ბელადებისგან, რომლებიც დიდი იმპერიის სენატზე უკეთეს კანონებს ვერასდროს დაწერენ, რადგან მათი ზრუნვის საგანი პარტიკულარიზმია, რაც საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული და მდაბიო ხალხისთვის არავითარი სიკეთის მომტანი არაა. აღამახმადთან ომის დროს, მტრისგან შევიწროებული ბებერი ერეკლე სიმწრით ბებერ წვერს იგლეჯდა, მისი შვილი 2000 კაცით თელავში იყო დაბანაკებული და ომის შედეგს ელოდებოდა, არ ეყო კაცობა, რომ ბებერ მამას მიშველებოდა, ისიც გადაერჩინა და საქართველოც (სამხედრო საქმეში კარგად ჩახედული კაცებისგან გამიგონია: რომ 2000 კაცის დახმარებით ერეკლე ომის ბედს თავის სასარგებლობა გადაწყვეტდა) ასეთი განდგომა სახელმწიფოს ინტერესებისგან იშვიათად, უფრო სწორად არ შეიძლება მოხდეს იმპერიული მართვის პირობებში.

იმპერია თავის ფარგლებში შემავალ სახელმწიფოებს და ცალკეულ სამთავროებს არ აძლევს საშუალებას ერთმანეთის ანიოკებისა და ძარცვა-გლეჯისას, რაც ნამდვილად არის სიკეთე. იმპერიას შესწევს უნარი გრანდიოზული მშენებლობების წამოწყების, რასაც დამოუკიდებლად მცხოვრები მინისახელმწიფო

ვერ შეძლებს. მას აქვს მეტი უნარი თავდაცვისა, ვიდრე ცალკე აღებულ ერთ სახელმწიფოს, სიდიდისა და სიძლიერის გამო წუნკლები ვერ ბედავენ მასთან დაპირისპირებას, პატარა კაცს და პატარა სახელმწიფოს ყველა უჩაჩქენებს თავში. რუსეთის, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როგორც კი ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გამოაცხადეს ეროვნული დამოუკიდებლობა, თურქები მაშინვე შემოვიდნენ აჭარაში, რასაც ადრე ვერ ბედავდნენ, გაბედეს მაშინ, როცა რუსების აღარ ეშინოდათ.

მინისახელმწიფოებს უფრო ძვირი უჯდებათ მთავრობის შენახვა ვიდრე იმპერიებს. 2013 წლის მონაცემებით საქართველოს მთავრობის შენახვას სჭირდება სახელმწიფოს ბიუჯეტის 43%-ი. არ არსებობს მსოფლიოში სახელმწიფო, რომელსაც ბიუჯეტის ამოდენა ნაწილი სჭირდებოდეს თავისი მთავრობის შესანახავად. არა მგონია რომ ანექსირებულ საქართველოს თავისი მთავრობის შესანახავად ოდესშე ბიუჯეტის ამოდენა პროცენტი დასჭირდებოდა.

1783 წლის მდგომარეობით საქართველოს მთლიანი მოსახლეობა (სხვა ერების ჩათვლით) 670 ათასი კაცისგან შედგებოდა. აქედან ქართველი 300 ათასი თუ იქნებოდა. ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში შავი ჭირის ეპიდემიამ გაანახევრა და მისი რაოდენობა 200 ათასზე დაიყვანა. ეს რაოდენობა იმაზე ნაკლებია ვიდრე 1989 წლის აღნერით მხოლოდ ქუთაისში სახლობდა (გაზეთი „ასავალ-დასავალი“ გვ. 17, N17, 2022 წ.)

სიკვდილის წინა წლებში უამრავი ომებით გამწარებულმა ბებერმა მეფემ არყოფნის გზაზე დამდგარი ერი შემოაბრუნა და რუსეთის იმპერიის ფრთებქვეშ შეიყვანა გადარჩენის მიზნით. ორი საუკუნის მანძილზე იმ იმპერიამ, რომელმაც ახლო მეზობლებს მუხრუჭებივით ლონიერ მკლავებში მოქცეული აღმოსავლური გურჯისტანი, ევროპული გეორგია და რუსული გრუზია დრაკონებს ხელიდან გამოსტაცა, საარსებო სული შეუბერა, სიცოცხლის გზაზე დააყენა და თავის ხალხს გვერდში ამოუყენა, თავის ეკონომიკურ სივრცეში აიყვანა და ორ საუკუნეში მისი მოსახლეობის კონტიგენტი 5 მილ-მდე ასწია.

XX საუკუნის ბოლოს, როცა რუსეთის ორთავიანი არწივი, დრომოქმული და ლონემიხდილი უძლეველმა დრაკონებმა სასიკვდილო სარეცელზე დააგდეს, ჩვენმა სუსტნერვებიანმა

ჯეელებმა სიკვდილის პრჭყალებით შებოჭილი გული შეუწუხეს. „...რუსეთის დამპალი იმპერიის“ ძახილით. აქაო და შოკოლადს რატომ არ გვაჭმევდიო. საბრალონი, მათი გოგრა იმდენს ვერ ხვდებოდა, რომ იმ მომაკვდავს თავისი შვილებისთვის არ უჭმევია შოკოლადები და ქართველებს როგორლა აჭმევდა.

სახელმწიფოს იმპერიული მართვის შეურიგებელი მოწინააღმდეგები არიან ნაციონალისტები, ისინი ვერ ითვალისწინებენ ამ სტატიის ეპიგრაფში გადმოცემულ ნილ ფერგიუსონის სენტენციურ აზრს: რომ „ეროვნული სახელმწიფო მხოლოდ იმ ქვეყანაში ამართლებს, სადაც ქორწინება მონოგამიურია და ის ინტერნაციონალური სახელმწიფოში გაცილებით უარესია ვიდრე იმპერია. ეს სენტენცია ქართველი ნაციონალისტებისგან მოითხოვს კარგად დაკვირვებას და ეროვნული შესაძლებლობების გათვალისწინებას ერთიანი სახელმწიფოებრივი პოტენციური შესაძლებლობების გამოყენებაში. უანგარიშობა მარტო ვაჭრობაში კი არა ნებისმიერ საქმიანობაში დამღუპველია, განსაკუთრებით – პოლიტიკაში. საქართველოში რომ 80-მდე ერის ნარმომადგენელია, ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად იურიდიული უფლებებისა, რომლებითაც ისინი ქართველების თანასწორნი არიან, მაინც თავისებურებები ახასიათებთ, ეს თავისებურებანი იხატება ადამიანის გაორებით. სხვა ერის მიწაზე მცხოვრებ კაცს უყვარს ის მიწა-წყალი და გარემო, რომლითაც ცხოვრობს და როგორშიც არსებობს. მაგრამ გულიდან ვერ იცილებს, იმ გარემოს, სადაც მის მამა-პაპას უცხოვრია და სადაც მათი ძვლები ეგულება. მისი სული გაყოფილია ორ ნაწილად. ერთი ეკუთვნის ძველად ნაცხოვრებ ადგილს, მეორე ახალს. ასეთი მდგომარეობის გამო ობიექტურად მოაზროვნე კაცი არასოდეს არ დაზრახავს ვინმეს, მაგრამ იმას კი მოითხოვს, რომ მოსულმა კაცმა დააკმაყოფილოს ერის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების პროგრესული შინაარსის მქონე მოთხოვნები, პროგრესულად მოაზროვნე აბორიგენმა აუცილებლად უნდა მოახერხოს დააზღვიოს მორეული კაცი შოვინისტების უხეირო და მიზანთროპული კაპრიზებისგან. თუ ამ მოთხოვნის შესრულებას შევსაძლებთ, მაშინ ისინი ისევე იზრუნებენ ჩვენი გარემოს კეთილდღეობასა და კეთილმოწყობაზე, როგორც ჩვენ ვზრუნავთ.

ამით მას დროის გარკვეულ მონაკვეთში გავხდით ჩვენს კაცად და ამით გადავლახავთ იმ წინააღმდეგობებს, რომლებსაც შოვინისტები და მიზანთროპები ჰქმიან კაცობრიობის ურთიერთ-დახმარებისა და ურთიერთმეგობრობის დაზარალების მიზნით.

მოსული კაცის სტიქია ასეთია: თუ შენში საქმიანი, უნარიანი და ანგარიშიანი კაცი დაინახა, გვერდში ამოგიდგება, ძმობას და მეგობრობას გაგინევს, მაგრამ თუ მცონარობა და უუნარობა შეგამჩნია, მაშინ იგი ჯავახიშვილის ჯაყოს დაემსგავსება და შენ თეიმურაზ ხევისთავის მდგომარეობაში ჩაგაგდებს, ეს რომ ასე არ მოხდეს. საჭიროა, ქართველმა კაცმა ხელი აიღოს ყოველგვარ მამაძალლობაზე და თავის კაცობა შემოფარგლოს პატიოსნების, სინდის-ნამუსის და კაცომიყვარეობის ჩარჩოთ, რომლითაც მისმა წინაპრებმა 3000 წლიანი ისტორია შექმნეს და ჩვენც ცხოვრების ასპარეზზე გამოგვიყვანეს.

როცა საქართველოს ბეჭზე ვმსჯელობთ, ჩვენი ყურადღება ყოველთვის კონცენტრირდება თბილისზე, რადგან იგი არის საქართველოს ყოველნაირი ცენტრი. იგი როგორც დასახლებული პუნქტი შეიქმნა ენეოლითის ხანაში, ხოლო V საუკუნიდან ქალაქად იხსენიება. XII საუკუნეში იგი იყო არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. XV-XVI საუკუნებში ოსმალეთის გაბატონებამ დასავლეთ შავიზღვისპირეთში საქართველო მოსწყვიტა ევროპული კულტურის სამყაროს, რამაც ინდოეთში მიმავალი სახმელეთო გზის გაქრობა გამოიწვია, რითაც საქართველომ დაკარგა ევრაზიის დამაკავშირებელი როგორის ფუნქცია.

XIX საუკუნეში თბილისი კავკასიის რეგიონალურ დედაქალაქად გადაიქცა, იგი ძალზე კოლორიტული ევრაზიული ქალაქი იყო. 1817 წელში გაზეთი „კავკაზი“ წერდა: „ტბილისი... ერთგვარი იანუსია, რომელიც ერთი სახით აზისაკენ არის მიმართული, მეორეთი – ევროპისაკენ“ თბილისი თავისმა ევრაზიულმა ბუნებამ ინტერნაციონალურ ქალაქად გახადა, მაგრამ იგი რაღაც მანქანებით ინარჩუნებს ეროვნულ სახესაც. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ იმაში, რომ მსოფლიოში არ არსებობს მეორე ისეთი ქალაქი, რომლის მართვა ისეთ მოქნილ და გონებამახვილ მმართველს საჭიროებს როგორც – თბილისი. ასეთი მმართველი

შეიძლება უშეცდომოდ შეარჩიოს სწავლულთა და მეცნიერთა საბჭომ და არა ბრძოებმა და ფეხბურთის მაყურებლებმა.

გამორიცხულია ის მდგომარეობა, რომ ერმა თავისი დროის შესაფერისი კაცები არ შობოს, რომლებიც აუცილებლად იხს-ნიან მას გაჭირვებისგან. მაგრამ ჩვენში ნუცუბიძისეული შეფა-სებით „ყველაფერს გაპატიებენ გარდა ნიჭისა“. ვინ იცის, ჩვენს ხევხუვებში რამდენ ნიჭიერ კაცს ჩაკეტავენ, რამდენ ბულბულს ენას ამოგლეჯენ და რამდენ ყვავს გალობას დაწყებიებენ. თბი-ლისში კი როგორც მსოფლიო ავტორიტეტი იოსებ სტალინი ამბობს: „ნიჭიერი კაცები ქუჩებში გიყრიათ“.

თანამედროვე თბილისი ისე საჭიროებს დავით აღმაშენე-ბელს, როგორც ძველმა თბილისმა ისაჭიროვა XI საუკუნეში. უდავითო თბილისს ისე ჩაყლაპავს კოსმოპოლიტიზმი, როგორც კავკასიური გველი პეპელას.

თბილისზე მეტ გაჭირვებაში, მოარული ცნობებით ვიცი, რომ ბათუმია. იქ თურმე თურქები ისე ბუინობენ, რომ მაღა-ზიაში შესულ კაცს მოურიდებლად შეახსენებენ: „ილაპარაკეთ თურქულად“-ო.

ჩემს მიერ ზემოთ მოცემული სენტენცია მოსული კაცის სტიქიის და მისი გაკეთლშობილების შესახებ, შეიძლება თანა-მედროვე მდგომარეობაში ქალაქის გადარჩენის ფორმულირებად მივიჩნიოთ და დრომოქმულად ჩავთვალოთ შუასაუკუნეების ბნელეთში გამოთქმული დანტესეული აზრი: რომ „ტომთა აღრე-ვა ყოველ დროში მოასწავებდა მიზეზს უდიდესს ქალაქების იავარქმნისა“. ამ აზრის სუბსტანციას წარმოადგენს ლათინური შეხედულება: „კაცი კაცისთვის მგელია“. იგი იმდენად შეიც-ვალა, რომ თანამედროვე ანგარიშიანმა კაცმა უნდა უარყოს და მის მაგივრად და სცნოს ავრელიუსის აზრი: „რაც უფრო სრულქმნილია არსი, მით უფრო მძლავრად მუდავნდება მსგა-ვსთან შერწყმისა და მასთან ერთარსად ქცევის სურვილი.... ხოლო სრულქმნილ არსთა ერთიანობის გათიშვა თვით უსასრუ-ლო სივრცეს არ ძალუდს. ასე რომ უზენაესი სრულქმნილების წყურვილს და მისკენ სწრაფვას შეუძლია ერთსულოვნება და-ბადოს თვით ერთმანეთს დაშორებულ არსთა შორისაც. მაგრამ როგორც არ უნდა გაურბოდენ ისინი ამ გაერთიანებას, მაინც

ვერსად წაუვლენ მას. რადგან ბუნება მათზე ძლიერია. ასე რომ ხშირად უნდა გავიხსენოთ თირმიზის ნათქვამი: „ქვეყნად ყველაფერს ეშველება, თუ გვიჭრის ჭკუა“.

ქ.შ. თბილისისთვის და საერთოდ საქართველოსთვის განვითარების ვიწრო ეროვნული და შოვინისტური გზა არ არსებობს. ქართველი კაცი არსთა განმრიგის მიერ შექმნილ ფერთა სიუხვევში მუდამ კაშკაშებდა თავისი: შრომისმოყვარეობით, კაცომყვარეობით, სტუმართმოყვარეობით, ყურადღებიანობით, ყაირათიანობით, აზრიანობით და სამართლიანობით. „წითელი ეშმაკების“ ხელში მან ეს სიკაშკაშე დაკარგა და ახლა კომერსანტების ხელში ოდნავ ბუუტავს და ბუუტურობს, დემოკრატიას ვაშენებო. იმას ვერ ხვდება რომ დემოკრატია იმ ბაზისზე უნდა დაშენდეს, რომელიც მისმა წინაპრებმა ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებით შექმნეს და არა კომუნისტებისა და კომერსანტების მიერ შემოთავაზებული ძალობით და მამაძალლობით, რომლითაც რამდენიმე ძალი და მამაძალლი მდიდრდებოდა და ახლაც მდიდარდება, მაგრამ ძალობით და მამაძალლობით ერი ვერასდროს ვერ იხეირებს. ამის სიმპტომები შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ კომერციამ იმაზე მეტი სისწრაფით გაანადგურა მოსახლეობის საშუალო ფენა, რომელიც საზოგადოების კულტურული და ზნეობრივის შემოქმედების საზომს წარმოადგენს, ვიდრე გერმანული ფაშიზმის „ბლიცკრიგმა“ ევროპის ქვეყნების მთავრობები. ქართველი კაცის ზემოთ ჩამოთვლილ თვისებები, რომლებითაც იგი არსთა განმრიგის მიერ შექმნილ კაცობრიული ცხოვრების ფერთა სიუხვევში მზესავით კაშკაშებდა, ოფიციალურად არავის უარყვია, მაგრამ საზოგადოებაში მამაძალლური ჩვევების დამკვიდრებამ ისინი დავიწყების უძირო ზღვაში მოისროლა. მათი ადგილი დაიჭირა და კი ცდილობს მათსავით იკაშკაშოს, მაგრამ ჯერჯერობით ბუუტურის მეტი არაფერი გამოსდის. ჯეელები მუდამ ახლის ძიებაში არიან, ძველის არაფერი მოსწონთ, რაც ლევ ტოლსტოის დიდი ხნის წინათ შეუმჩნევია და უთქვამს: „ხშირად გვესმის, ახალგაზრდა ამბობს არ მინდა სხვისი ჭკუით სიარული, თვითონვე მოვიფიქრებო. რისთვის ისჯები მოფიქრებულის ახლად მოსაფიქრობლად?! – აიღე გამზადებული და წადი წინ! ამაშია კაცობრიობის ძალა“.

იმოდენა მოაზროვნე როგორიც დანტეა, არ იწონებს პოლიტიკურად დაყოფილ მსოფლიოს და საქვეყნოდ ამბობს: რომ „პოლიტიკურად დაყოფა კაცობრიობისა წამებიანია მშვიდობის დაცვის საქმეში“. მშვიდობის სამართლებრივი საშუალებებით დაცვა არის და მუდამ იქნება კაცობრიობის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილის N1 საზრუნვაც. მშვიდობა ყველას უნდა! მდიდარსაც და ღარისხსაც, ქურდსაც და ყაჩალსაც, მონასაც და მონათმფლობელსაც, ყმასაც და ბატონსაც, ქრისტიანისაც და ურიასაც, რუსსა და თათარსაც, ამერიკელსაც და ეთიოპიელსაც. შეიძლება საქმეში ზედაპირულად ჩახედულმა კაცმა იკითხოს: „თუ მშვიდობა ამდენ ხალხს სურს, რა უშლით ხელს, რომ დაამყარონ, ეს ქვეყანა ტანკადრომებად და თოფისნამდების საწყობებად რომ აქციესო და საომრად ატროვებულნი ცოფიანი ძალებივით უღრენენ ერთმანეთსო?! – რა უშლის და უძველესი დროიდან მთავრობის მიერ მდიდართა და ღარიბთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის კანონმდებლობის ფარისევლური ბუნება, რომელიც გარემოების და მდგომარეობის შესაფერისად ქამელონივით მხოლოდ გარეგნულად იცვლის ფერს, შინაარსით კი ცივილიზებული კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე უცვლელი რჩება.

მისი შეცვლა საჭიროებს იმ საზოგადოებრივი გაერთიანებების რეკონსტრუქციას, რომელსაც უხსოვარი დროიდან სახელმწიფოს ეძახიან. მისი გაუქმება და განადგურება კი არა საჭირო, რასაც ხშირად მოითხოვენ ჭკუიდან ნახევრად და ხშირად მთლიანად შერეკილი პოლიტიკოსები, არამედ რეორგანიზაცია და მისი ძირითადი ფუნქციის, რომ იგი როგორც მდიდრების დამცველი და ღარიბების დასამორჩილებელი მანქანის შეცვლა კაცთა შორის სამართლიანი და კეთილშობილური ურთიერთობის ფუნქციების დამატევიდრებელი წარმონაქმნით.

ბურუუაზის ყველა იდეოლოგი და განსაკუთრებით ლიბერალები ირწმუნებიან, რომ მდიდარი უმცირესობა იხსნის ღარიბ უმრავლესობას გაჭირვებისგან. მაგრამ ეს დაპირებები ფანტასტიკაა, ილუზია, რომლებიც რეალობად არასდროს არ გადაიქცევიან რადგან: არ იქნება, არასოდეს არ იქნება, რომ მდიდრებით თავისი ნებით ჩამოვიდნენ ღარიბების გამჭლევებულ ზურგებიდან.

გლობალიზმაც და იმპერიამაც უნდა სცნონ კაცობრიული

ცხოვრების ფერთა სიუხვე. დავით ალმაშენებლის იმპერია რელიგიების და კულტურების მრავალფეროვნებითა და ერთა თანასწორუფლებიანობით იყო ფეოდალურ-დემოკრატიული ხასიათის გაერთიანება, რომელშიც იმპერიაში შემავალ ერებს შორის გადაუქრელი წინააღმდეგობები არ ჰქონიათ. იგი დაანგრია აღმოსავლეთის ქვეყნების უდიდესმა გაერთიანებამ: რომელსაც ხელი შეუწყო იმდროინდელი ფეოდალების პატიკულაციისაკენ სწრაფვამ.

კაცობრიული ცხოვრების ფერთა სიუხვის მიუღებლობა იყო ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი დიდი იმპერიების იავარქმნისა.

თანამედროვე ევროპის ქვეყნების დაქვემდებარება ფულის იმ სახეობისადმი, რომელსაც ევრო უწოდეს, არის ერთ-ერთი დიდი ფაქტორი ევროპის ქვეყნების გაერთიანებისა ერთ ეკონომიკურ მთლიანობაში. ხოლო ეკონომიკა რომ ყველაფრის საფუძველია ამაში კარლ მარქსს ვერავინ შეედავება. არ არის გამორიცხული რომ ევროპამ მოახდინოს კონტინენტური გაერთიანება სამართლიანობის საფუძველზე დაყრდნობით.

შოვინისტების, რომლებსაც თავი პატრიოტებად მოაქვთ, ჭყამპალი ვერ შეაჩერებს ხალხების სწრაფვას სამართლიანი გაერთიანებისკენ.

კაცობრიობის კეთილდღეობისათვის მებრძოლმა პრეროგატივებმა მწვანე შუქი უნდა აუნთონ სამართლიანი გაერთიანებისკენ მიმავალ ხალხებს და წითელი – კოსმოპოლიტური ბუნაგებისკენ მიმავალთ.

ბებრებს სწამთ და ჯელებმა უნდა ირწმუნონ, რომ ჭეშმარიტი პატრიოტიზმი და ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი არსად, არასდროს და არაფერმში ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. ისინი წარმოადგენენ ორ ტოტს იმ ხისა, რომელსაც კაცთა მშვიდობიანი თანაარსებობის ვესტა შეიძლება ვუწოდოთ.

ჭკვიან კაცს უთქვამს: „ვისაც ადამიანი არ უყვარს საერთოდ, არც სამშობლო ეყვარება“-ო. ქართველი კაცი, რომ კაცთმოყვარე არ ყოფილიყო ვერასდროს ვერ იტყოდა „თათარიც ჩვენი ძმა არის“-ო.

კოლხეთის საერთ-სამეცნიერო საერთაშორისო
აკადემიის აკადემიკოსი ზელიმ ჩაკვეტაძე
10-VI-2024 წ.

პატობის პირითადი ფაქტორები

„ნებისმიერ ეპოქაში კაცები მზად იყვნენ თავიც კი გაენირათ, ოღონდ მათზე ხალხს ეთქვა, ნამდვილი კაციაო“. **ნოას ჰარი**

ჭკვიან კაცს გარკვეული მიზანი თვალწინ უდგას და მას მტკიცედ მისდევს.

ჰეგელი

„კაცი უნდა კაცი იყოს ყველგან ყოველთვის“. **იპნენი**

ხალხს უთქვამს: „ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია, ზოგსა კიდევ კაცუნაო“, სანამ კაცობის ძირითად ფაქტორებს შევეხებოდეთ, საჭიროა, გავარკვიოთ ამ ანდაზის ლოგიკური მნიშვნელობა. კაცი არის უკანა კიდურებზე დაყრდნობით მოსიარულე ძუძუ-მწოვარი, მოაზროვნე, იარაღის მკეთებელი და გამომყენებელი მაკროკოსმოსური არსება, რომლის სუბსტანციას მიწაზე ადა-მიანი წარმოადგენს; ზევით კი ის, „ვინც არს ძალი უხილავი, შემწე ყოველთა მიწიერთა“.

ზოგიერთ სიტყვას მათ შორის კაცსაც აქვს ორგვარი გაგება-ვინწრო და ფართო. ვინწრო გაგებით კაცი ნიშნავს მამრობითი სქესის ადამიანს მამაკაცს. ხოლო ფართო გაგებით მასში ენობრივად ქალიც იგულისხმება ამის მიხედვით კაცთან დაკავშირებით გვაქვს ორი კომპოზიტი მამაკაცი და დედაკაცი. მათთან ერთად გვაქვს კომპოზიტური სიტყვები დედაკაცუნა და მამაკაცუნა. ხალხს უთქვამს: „ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია, ზოგსა კაცსა კაცუნაო, – ზოგს დედაკაცს დედაკაცი, ზოგსა დედაკაცუნაო“. კაცუნა კაცის კნინობით – დამცირებითი ფორმაა, რომელიც ითქმება ისეთ კაცზე ფიზიკურად სუსტია და საზოგადოებრივი მდგომარეობით და ღირსებით უმნიშვნელო არსებაა. კაცი თავისი კაცობით და შემოქმედებით მაკროკოსმოსური არსებაა, ხოლო კაცუნა მიკროკოსმოსური.

კაცობის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტორებია:

1. ლოგიკური აზროვნების და იარაღის წარმოების და გამოყენების უნარი. 2. საზოგადოებრივი ხასიათი. 3. რწმენა. 4. გაიძვერობასთან შეურიგებლობა. 5. კაცთმოყვარეობა. 6. პროგრესული იდეების და ტრადიციების დაცვა. 7. ზნეობრივ ჩარჩოში ცხოვრება.

გადავხედოთ დასახელებულ ფაქტორებს ცალ-ცალკე: 1. თვითეული ზრდადასრულებულ და ნორმალურ ადამიანს შესწევს ლოგიკური აზროვნების და დასკვნის გამოტანის უნარი. 2. კაცი ხასიათის მიხედვით სამგვარია: საზოგადოებრივი, ალტრუისტული და ეგოისტური. აქედან კაიკაცისთვის მისაღები ნორმაა საზოგადოებრივი ხასიათი, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას და მასთან პირადულის შეხამებას. 3. რწმენა ნიშნავს რისამე სარწმუნოდ მიჩნევას, დაჯერებას და დარწმუნებას რამეში. 4. შეურიგებლობა ყოველგვარ გაიძვერობასთან და მამაძალლობასთან. 5. კაცთმოყვარეობა და სტუმართმოყვარეობა, რომლის გარეშე კაცი მთელ ერებში კაცად არ ითვლება. ქართველი თავადი შიო პურმარილიანობის გრძნობამ გააუკვდავა. მას მარანი გზის პირზე ჰქონდა, რომელიც არასდროს არ იკეტებოდა, ოთხ თვეში ღვინო უთავდებოდა და შემდეგ თვითონ დადიოდა სხვებთან საქეიფოდ. ახლაც მღერიან ჩვენში „სახლო, ღმერთმა აგაშენოს როგორც შიოს მარანია“-ო. 6. პროგრესულ იდეებს და ტრადიციებს თუ კაცი არ იცავს, ხალხის შეხედულებით იგი სულწანეულების წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კაცად არ ჩაითვლება. ხალხი არც იურიდიულ დამნაშავეს აჭმევს შოკეოლადს, მაგრამ ზნეობრივთან განსაკუთრებით მკაცრია. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ყველა პროგრესული და დიდმნიშვნელოვანია, კაცობის კრიტერიუმად მაინც ზნეობა უნდა ჩაითვალოს.

ჰარარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია გვატყობინებს, რომ „იარაღის წარმოების პირველი მტკიცებულება 2,5 მლნ-ი წლის წინანდელია. იარაღის წარმოება და გამოყენება ის კრიტერიუმია, რომლითაც არქეოლოგები უძველეს ადამიანებს ცნობენ“ (იხ. ნოას ჰარარის „საპიენსი“ გვ. 21)

არქეოლოგების მიერ მიღებული მტკიცებულების კრიტერიუმად მიიღება ჰომოების ადამიანებად ცნობის საქმეში ჩვენთვის (თავს უფლებას ვაძლევ, რომ ჩემს აზრს ჩვენი ვუწოდო, რადგან მე არა ვარ მარტოხელა მოაზროვნე) მიუღებელია, რადგან ჩვენს მიერ კაცობის ძირითად ფაქტორებში იარაღის კეთებას და გამოყენებას კი არა პრეროგატივა ზნეობას მივეცით, ხოლო არქეოლოგების მიერ გათვალისწინებული ჰომოების ადამიანებად აღიარების ფაქტორი რიგითი წევრობის უფლებით დავაკმაყოფილეთ.

ჰომოების 6 ძირითადი სახეობიდან კაცობრიობის უახლოეს წინაპრად აღიარებულია ჰომო საპიენსი, იგი „70 000 წლის წინ აფრიკიდან არაბეთის ნახევარკუნძულზე გადმოვიდა და იქედან მთელ ევრაზიაში გავრცელდა, რომელიც მაშინ სხვა ადამიანებით (უფრო სწორად ჰომოებით) იყო დასახლებული“. (იხ. ჰარარის „საპიენსი“ გვ.26)

ჩვენთვის მისაღებია აზრი იმის შესახებ, რომ პირველყოფილი ადამიანების გაერთიანებები, რომლებსაც მეცნიერებმა პირველყოფილი თემური წყობილება უწოდეს, არის ჰომო საპიენსის შემოქმედება და ეს შემოქმედება წარმოადგენს ზნეობის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, ჩვენს მიერ მითითებულ კაცობის ძირითად ფაქტორებში.

მართალია, ადამიანებში უხვად ნახავ ისეთ კაცებს, რომლებსაც ლოგიკური აზროვნების და იარაღის გამოგონების და გამოყენების უნარი არა აქვთ, თოსს ტარს ვერ დააგებენ, ისეთი ხელჩოგანები არიან. ურწმუნოებით, გაიძერობით, კაცომოძულებით, პროგრესის უარმყოფელობით, უხასიათობით ძალლობით და მამაძალლობით ცხოვრობს ამ ქვეყნად. ისინი რომ არიან, იმდენი რომ კარგი კაცი დადიოდეს ქვეყანაზე, მაშინ ეს საწყალი ხალხი მუდმივ და გამოუვალ გაჭირვებაში არ იქნებოდა კისრამდე ჩაფლული.

ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანები, მიკროკოსმურ არსებებს უფრო წარმოადგენენ ვიდრე ადამიანებს, მაგრამ ენობრივი ნორმების მიხედვით კაცებად ითვლებიან. ამ „დალოცვილმა“ დემოკრატიამ კაცები და კაცუნები ყველა ერთნაირად ჩაწერა საარჩევნო სიებში, რადგან მისი ფავორიტები ვერ ხვდებიან,

რომ ერთ მაკროკოსმოსურ ადამიანში მეტი გონიერივი ძალა და კაცობაა ვიდრე მთელი დედამიწის მიკროკოსმოსურ არსებებში კაცუნების ჩათვლით.

ეთიკის სპეციალისტები გვასწავლიან რომ ადამიანის ცხოვრებას ორი არსებითი ნიშანი აქვს: 1. ადამიანი საზოგადოების წევრია და მის არსებობას საზოგადოებრივი ხასიათი აქვს. 2. ადამიანი შეგნებული არსებაა და მის არსებობას შეგნებული ხასიათი აქვს. მათი შეხედულებით ეს ორი არსებითი ნიშანი განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან.

ჭ.შ. კაცი და ადამიანი სხვადასხვა ცნებებია. კაცი არის ის არსება, რომელიც აქმაყოფილებს ამ სტატიაში კაცისადმი წაყენებულ მოთხოვნებს ნაწილობრივ მაინც ყველა კაცი ბრძენიც და რეგვენიც, გმირიც და ლაჩარიც, იდიოტიც და გენიოსიც, გონჯიც და იმპოზანტიც. ზარმაციც და მამაციც, დავრდომილიც და ხეიბარიც, დებილიც და იდიოტიც არის ადამიანი. მაგრამ ყველა მათგანი არ არის კაცი, უფრო სწორად კაცური კაცი. ადამიანი კი ყველა მათგანი არის იმიტომ, რომ თვითუეული მათგანი გარდა იდიოტისა ცხოველისაგან განსხვავებ ით არის მოაზროვნე და ენამეტყველი არსება, რაც ადამიანის განმასხვავებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ცხოველისაგან. გამონაკლისს წარმოადგენენ იდიოტები, ისინი რომელ სამყაროს ეკუთვნიან, ამის შესახებ მსჯელობა სპეციალური უწყებების საქმეა და არა პუბლიცისტური მწერლობისა.

რუსთაველის ავთანდილის სიტყვები, რომლებითაც იგი ას-მათს მიმართავს „მითხარი, სულე, რა გიყავ, კაცი ვარ ადამიანი“, მაჩვენებელია იმისა, რომ იგი კაციც არის და ადამიანიც. ადამიანი ადამისეულია, მიწიერია, კაცი კი ფართო შემოქმედების უნარის მქონე მინაზე მცხოვრები ციური არსებაა. ცნობილი პოეტი გრიგოლ ორბელიანი კაცის ასეთ განმარტებას იძლევა: „კაცი ის არის, ვინც არის ზეგადმო არსით ცხებული, მით ყოვლი საქმე არს კეთილ და მხარე დამშვენებული“. მისი შეხედულებით კაცია ქვეყნის მშვენება და არა პომო და ადამიანი. აქ შეიძლება ითქვას, რომ კაცობა შეიძლება ტიტულადაც ჩაითვალოს, მაგრამ ადამიანს თუ მას კაცის სინონიმად არ გამოვიყენებთ, ტიტულად ვერ ჩათვლით, რადგან იგი ბიოლოგიური არსებაა და არა შემოქმედი.

ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ კარგი რწმუნებულებაა იმისა, რომ კაცი სხვა არის და ადამიანი-სხვა. თუმცა ხალხი ამ მცნებებს ერთმანეთის სინონიმებად იყენებს იგი როგორც პლატონი ამბობს: ის ფენომენია, რომელიც თავის ზრახვებში და შეხედულებებში არავის ჩაირევს და ყველაფერს ისე „მოანახელავებს“, როგორც მას აწყობს.

ლუარსაბ თათქარიძე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეტყველების უნარს, არის არა კაცი, არამედ მხოლოდ ადამიანი. იგი სხვა ადამიანებივთ უკანა კიდურებზე დაყრდნობით დადის. ხოლო რაც შეეხება წინა კიდურებს რომლებითაც კაცები მრავალგვარ საქმეს აკეთებენ, იგი მხოლოდ სტომაქის ხორავით ამოსაყორავად იყენებს, სხვაში ვერაფერში. ლუარსაბი თავისი „შემოქმედებით“ თავისი ავტორის თეზაც არის და ანტითეზაც. როგორც ადამიანები, ისინი თეზებია და როგორც კაცები-ანტითეზები. ორივე მათგანი მიწიერი არსებაა და ორივეს ერთნაირი ბიოლოგიური მოთხოვნილებები აქვთ. აზროვნების რა მოგახსენოთ, მაგრამ მეტყველების უნარი ორივეს აქვს და ფაქტორები ადასტურებენ, რომ ისინი ერთმანეთის თეზებს წარმოადგენენ. მაგრამ რაც შეეხება კაცობას, აქ ისინი ნამდვილი ანტითეზები არიან. ილია ჭავჭავაძეში ვერც ერთი ავანტიურისტი, ვერც ერთი მატყუარა, ვერც მეჭორე, ვერც ერთი ცილისმზამებელი როგორი დახელოვნებული არ უნდა იყოს თავის საქმეში, ვერ აღმოაჩენს ისეთ ფაქტორს, რომელიც მას მის მიერ შექმნილ ლუარსაბის დაამსგავსებს. ვერც ლუარსაბში აღმოაჩენს ვინმე ისეთ რამეს, რომელიც თავის ფორმით და შინაარსით ილიას მოსაწონი იქნებოდა.

ილია და ლუარსაბი ორივე ადამიანია და ამ ორი ადამიანიდან ერთში კაცია ჩასახლებული თავისი მიწიერი და ციური, კაცობრიული და ღვთაებრივი საქმეებით დატვირთული, მეორეში-სტომაქის აპოლოგეტი, მისი ყურმოჭრილი და ერთგული მონა, რომელსაც თავისი უსაყვარლესი ბატონის ღალატს ჭრიკნების და ცრუპენტელების მთვარსადალიც ვერ დასწამებს.

ოთარაანთ ქვრივის და მისი გიორგის, ზაქროს და გაბრიელის სახით ილია გვასწავლის როგორები უნდა ვიყოთ. ხოლო ლუარსაბის, დათიკოს ზაქროს ბატონის სახეებით-როგორები არ უნდა ვიყოთ.

ილია იმ მეურნალს გვაგონებს, რომელიც გულდასმით სწავლობს სწეულის ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზს სწეულებასთან ბრძოლის ტაქტიკის შემუშავების მიზნით. ეს კაცი „სოფლის მშენებელმა“ სოციალ-დემოკრატებმა, რუსულ ბერდენკის ტყვით შუბლგახვრეტილი, ბებერი ხის კუნძივით დააგდეს წინამურის ბებერ გზაზე: „შე ბებერო ძალლო, სოფელს ვაშენებთ და ფეხებში ნუ გვებორკებიო“. სწორედ სოციალ-დემოკრატების დანაშაულებრივმა მოქმედებამ იმოდენა პატრიოტ კაცს, როგორიც აკაცი წერეთელი იყო, ათქმევინა: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ საქართველო!“-ო.

აი, ჩვენი საქართველო. აი ჩვენი კომუნისტური პარტია, რომელსაც კაიკაცობის ეტალონად მოჰქონდა თავი, რომელმაც ილიას მკვლელი 1941 წლამდე ატრაბახა ქუჩებში, აი, ამ ხელებით მოვკალი ილია ჭავჭავაძე“-ო და საბოლოოდ ჯეროვანი სასჯელის მაგივრად ათი წლის პატიმრობით დასაჯა. აი, ასე მუშაობდა კომუნისტური პარტია, რომელმაც ილიას მკვლელი სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა და ათწლიანი პატიმრობა აკმარა. აი, ღვანწლი იმ ბოლშევიკებისა, რომელთა „შემოქმედებით“ მოხიბლული ქართველი მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე წერდა: „მე ბოლშევიკის გარდა ამ ქვეყნად სხვა კაცი კაცად არ მიმაჩნია“-ო.

კაცობის სახეს ამ ქვეყნად ბევრი ატარებს, მაგრამ კაცობის ტიტულს ჩვენი ცხოვრების სავალალოდ ძალიან ცოტა იმსახურებს.

აკადემიკოსი ზელიმ ჩაკვეტაძე
15-VII-2023 წ.

ქადაგის დებულების ფეზი

„გულისა და სამყაროს ფუნდამენტურ
სიღრმეში ყველაფერს თავისი ახსნა აქვს.“.

დაგლას ადამსი

„ბრძენი არ ენდობა საკუთარ მსჯელობას და
მოითხოვს მის განასჯას სხვა ბრძენთა მიერ და
მათთან შეთანხმებით ასაბუთებს თავის
შეხედულებათა ჭეშმარიტებას“.

მაქსიმე ალმასარებელი

„ბოროტ ადამიანებს ბოროტი და
ავი ძალლები ჰყავთ“.

დოილი

„ძალლი მაინც ძალლია“.

რომაული თქმა

არსებობს რეალური ძალა, რომელიც კარნახობს ყოველ სუ-
ლიერ არსებას რომ ჰპოვოს თავისი ბედის თანაზიარი არსება და
დაამყაროს მასთან სულიერი კავშირი არსთა განმრიგემ ძალლს
და კაცს რომ ერთნაირი ცხოვრებისული პირობები დაუწესა ეს
იყო ძირითადი ფაქტორი ამ 2 არსების ურთიერთდაკავშირებისა.
ძალლი გამოიყო მაღალუნარიან მტაცებელს მგელს და შეეხიზნა
ძალლური ცხოვრებით მცხოვრებ ადამიანს. მას შემდეგ როგორც
ისტორიკოსები წერენ 14 ათასი წელი გავიდა, მაგრამ ხიზანისა და
მასპინძლის ურთიერთდამოკიდებულება არ შეცვლილა, რასაც საქ-
მეში ზედაპირულად ჩახედული ადამიანები მეგობრობას უწოდებენ.

ძალლი ადამიანთან შეაგუა მისმა ბრძოლის დაბალუნარია-
ნობამ და შემგუებლურმა ბუნებამ. მან, თავის ძლიერი მოძ-
მისგანაც განსხვავებით, შეძლო სხვისი ნებისა და სურვილის
აღმასრულებლობა.

მარლ პეტეფი თავის „ძალლში“ ძალლს ასე ალაპარაკებს:
„ბატონის სუფრასთან ჩვენთვის რჩება გახრული ძვალი,
თუმცა მწარეა შოლტი ზურგს რომ აგვინვავს სტენით,
მაგრამ დარტყმასაც იტანს ძალლური ძვალი ჩვენი.“

ბატონს გაუვლის რისხვა, მოსვლას გვანიშნებს მშვიდად, ფეხებს ვულოკავთ ენით, ბედნიერი ვართ დიდად“.

ხოლო „მგლების სიმღერაში“ ძალლის მაღალუნარიან მოძმეს ავტორი ასე ალაპარაკებს:

„გვშია, გვცივა და ვუძლებთ, ერთით ვჯობივართ მრავალთ, ყმად არ ვეკუთვნით არვის, თავისუფალი დავალთ“.

ვინც ძველი ქართველი კაცის ფსიქოლოგიას ღრმად ჩახედავს, დაგვერწუნება იმაში, რომ მისი ადორაციის საგანი ძალლი კი არა მგელი იყო, არა როგორც ძლიერი მტაცებელი არამედ როგორც ჭკვიანი, დაუმორჩილებელი და მეომარი არსება. დიდი ხნის წინათ მრავალნაცადმა მონადირემ მითხრა: „ნებისმიერი ნადირის მოკვლაზე მოგცემ გარანტიას, მაგრამ მგელზე ვერა“ - რატომ?! - იმიტომ რომ იგი ჭკვიანია და მოხერხებულად გაურბის საშიშროებას... მისი მოკვლა შემთხვევითია-ო. ხალხს მისი მტაცებლობა არ მოსწონს, თორემ მის ბრძოლისუნარიანობას და დაუმორჩილებლობას თაყვანს სცემს. მგელაძების, რომლებიც საქართველოში ერთ-ერთ მრავალრიცხოვან გვარს წარმოადგენენ, საგვარეულო ტოტემი მგელი უნდა ყოფილიყო.

კავკასიელი კაცის დაუმორჩილებელი და გაუტეხელი ბუნება ჩანს ხალხურ ლექსში: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამონქდებიან ჯავრი შექამონ მტრისანი“.კაი ყმა, მგელი, არწივი არც ერთი არ გაიწვრთნება“. ძალიან მოსწონდა ზალს არსენას იპოზენტურობა, გვერდიდან არ იცილებდა, ...ბოლოს მაინც მოიშორა, რომ გულზვიადი გამოდგა, გათამამდა, მეტისმეტად გათამამდა“ (იხ. ჯავახიშვილის არსენა მარამდელი გვ. 33).

მოიშორა, რადგან იგი ბარათაშვილებს ძალლივით ერთგულ მონად უნდოდათ გაეწვრთნათ, მაგრამ არსენა როგორც „კაი ყმა“, არ შეიძლებოდა მათ ჭკუაზე განვრთნილიყო. არსენას საერთო ენა ბარათაშვილების საგვარეულოში შეიძლებოდა მხოლოდ ტატოსთან გამოენახა, მაგრამ არა როგორც ბარათაშვილთან, არამედ როგორც არსებული სინამდვილის წინააღმდეგ ამხედრებულ რაინდთან.

ძალლის გაიდეალება, შეიძლება როგორც პატრონის ერთგული და უპრეტენზიო მსახურისა და არავითარ შემთხვევაში როგორც ადამიანის მეგობრის, იგი რომ ადამიანის ერთგული იყოს,

ვერ შესძლებდა მანუელის, პეპეს, დალი ჰასანისა და ფაშისტების ერთგულ სამსახურს (იხ. ჩემი „მეამბოხის კრედი“ გვ. 47).

კაცის და ძალის მეგობრობა ეწინააღმდეგება არისტოტელეს შეხედულებას: რომ „მეგობარი ერთი სულია ორ სხეულში“. ეს შეხედულება ისე ანადგურებს ძალმადიდებლების შეხედულებას ძალის და კაცის მეგობრობაზე, რომ სადაოს აღარაფერს ტოვებს, რადგან მარტო შეუძლებელი კი არა წარმოუდგენელიცაა კაცს ძალის თანაზიარი სული ედგას და თუ ვინმეს უდგას, მაშინ მისი სახით კაცთან კი არა მის ანტითეზასთან გვაქვს საქმე. ძალ-ლს ხალხი კი არა მისი გარკვეული ნაწილი, რომელსაც შეიძლება ძალმადიდებლური ვუწოდოთ, აიდეალებს და აღმერთებს. თორემ ხალხის შეხედულებით: „შავი ძალი და თეთრი ძალი ორივე მამაძალია“. ძალო, არ წაგადებინებ ხელსა მაგ ჩემი ძმისასა, ერთის დედას კი ვატირებ ან ჩემს ამ ჩემის მტრისასა“.

ვაჟა-ფშაველას პოემებში ძალი დაუნდობლობის და ბოროტების საგანია: „...ვინ გაჭმევს კაი ყმის ლეშსა ძალო, დაგიდგა თვალები...“ „ჩამიგდეთ ხელში, ძალებო!...“ „...ძალ იყოს თქენი მკვდრისადა, ვაჟაცი იღებს ხმისაო“.

ბოროტების მამამთავარი სატანა ხალხის შეხედულებით ძალის ან გველის სახეს ღებულობს და ადამიანებს ისე ეცხადება. გოეთეს ფაუსტს იგი ჰუდელის ჯიშის ძალის სახით გამოეცხადა, ხოლო გასაუბრებისას მან სქოლასტის სახე მიიღო. ბიბლიური სატანა კი გველის სახით გამოეცხადა ევას. ეკლესიამ გველი ბოროტების სიმბოლოდ გამოაცხადა, მაგრამ იგი ნაწილობრივ ამართლებს ამ შეხედულებას რადგან სიკეთესაც საკმაოდ სჩადის. ანადგურებს ჭია-ლუებს, მწერებს და მღრღნელებს, რითაც პროფილაქტიკას უტარებს გარემოს. მისი სხეული გამოიმუშავებს შხამს, რაც ფარ-მაკოლოგიურ საქმიანობაში ძვირფას ნედლეულად ითვლება.

ძალი მიუხედავად მისი ძალური ცხოვრებისა სხვა შინაურ ცხოველებთან შედარებით იღბლიანი არსებაა, რადგან აბრამული რელიგიის ქვეყნებში მისი ხორცის ჭამა აკრძალულია. რაც შეეხება მის „კეთილშობილებას“, რომლის სხეული წარმოადგენს ცოფის ვირუსის სუბსტანციას, თავის უნებლივ დანაშაულს ვერავითარი დამსახურებით ვერ გამოისყიდის და ვერც დავსჯით, მაგრამ ვერც იმის უფლებას მივსცემთ, რომ

მისმა ნაშიერმა სოფლის ორდობები აავსო, ხოლო ქალაქში კეთილმოწყობილ ქუჩებსა და პროსპექტებზე ადამიანებისა და ავტომობილების მოძრაობა დააბრკოლოს.

ბუნების დამცავები თავდადებით იცავენ ფლორისა და ფაუნის ნებისმიერ სახეობას, ანგარიშს არ უწევენ იმას, თუ რა რაოდენობით არის საჭირო საზოგადოების და სამყაროს განვითარებისთვის ფლორისა და ფაუნის ესა თუ ის სახეობა. ბუნებაში არსებობენ ისეთი არსებები, რომლებსაც მნიშვნელობა მხოლოდ მეცნიერული ლაბორატორიებისთვის აქვთ. მეცნიერებს უნდა ჰქონდეთ იმის სამუალება, რომ ისინი სპეციალურ საცავებში შეინარჩუნონ. მეცნიერული ლაბორატორიებისთვის სხვა არსებებთან ერთად საჭიროა: ტილიც და ბალლინჯოც, ფარისანაც და კრაზანაც, მაგრამ ხალხის ცხონება თუ გინდა, ისინი ყველა უნდა მოიცილო თავიდან.

რაში სჭირდება საქართველოს 350 000 მოუსაფარი (მანანნალა) ძალი? ! კიდევაც რომ მოხდეს მათი „გაკეთოლშობილება“, რა ხეირს ნახავს ფართო საზოგადოება?! როგორც გაზეთები გვატყობინებენ, მთავრობას დაუწყია ზრუნვა მანანნალა ძალლების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. ნათია ჩიქოვანმა გაზეთით გვაუწყა, რომ 79 მლნ-ი ლარის დახარჯვა იგეგმება ძალლების საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურული მომსახურეობის მიზნით. ალბათ კიდევ გამოიყოფა რამდენიმე მლნ-ი, რომ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოებთან შეიქმნას ახალი უწყებები ძალლების მომსახურეობასთან დაკავშირებით, რომელშიც ასობით ადამიანი დასაქმდება. ადამიანთა დასაქმება მაშინაა კარგი, როცა ისინი მატერიალურ ან სულიერ დოკუმენტების შემნიან, თორემ ძალლების მოვლით და მათი ჩიპების კეთებით ჩვენი აკადემიური მთავრობა ქვეყანას სიღარიბის ბრჭყალებისგან ვერ გაათავისუფლებს.

უფალო, შენ გადააფარე შენი კალთა ამ „განათლებულ“ მთავრობას, რომელიც ისეა გატენილი ვალებით, როგორც ლუარსაბ თათქარიძის სტომაქი ხორცით. სურსათის და მასთან ერთად სამრეწველო საქონლის ფასებიც კატასტროფულად იზრდება და იგი 79 მლნ-ს ძალლების მომსახურებისთვის უპირებს დახარჯვას.

79 მლნ-ი ლარი ნეტავი მთელი საქართველოსთვის მაშოვია სადმე და ძალლები პატრონიანებიც და უპატრონოებიც თუნდაც ბებერმა მგლებმა გაატყავონ.

P.S. ძალლმადიდებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მიზანთოროპია. დოილის შეხედულება რომ „ბოროტ ადამიანებს ბოროტი და ავი ძალლები ჰყავთ“ უდავო ჭეშმარიტებაა. თუ პლატონის შეხედულებას გამართლებულად მივიჩნევთ, რომ „უმსგავსი უმსგავსს ეძებს და პოულობს“, მაშინ დოილთან სადაო არაფერი რჩება.

დიდი მიზანთოროპები ძალლოფილები იყვნენ. კვესელავას „ასერგასის დღეში“ ვკითხულობთ: „...სტალინგრადის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა, საერთო სასადილოს ჰიტლერმა საკუჭნაო ამჯობინა. აქ იგი მარტო სადილობდა თავის საყვარელ ძალლ ბლონდისთან ერთად.იგი ადამიანებს პლანეტის ბაცილებს უწოდებდა, ხოლო მისი დაზვერვის უფროსი, კანარისი – ქვეწარმავალთ, ჭიალუებს... და მკენარებსაც კი... ამბობდა, რომ უფრო ძალლები უყვარდა, ვიდრე ადამიანები. მის სამუშაო კაბინეტში არა ვინმე გამოჩენილი პიროვნების, არამედ საკუთარი ძალლის ზეპლის სურათი ეკიდა.

როცა შელენბერგი მივიდა მის დასაპატიმრებლად, კანარისმა ამ სურათზე მიუთითა და უთხრა: „გახსოვდეთ შელენბერგ პირუტყვთა ერთგულება. აი ჩემი ძალლი, ყველაფერს ხედავს, მაგრამ არაფერს ამბობს, არც არასდროს გამცემს, რასაც მე ვერ ვიტყვი ადამიანებზე“. მისი საწერი მაგიდის უკან იყო ადამიანის საშინლად დაბრეცილი, სატანისებურად დამცინავი სახე. ალბათ ერთ დროს მისი ხასისა და მსოფლიოში კარგად ცნობილი ჯაშუშის მატა ხარის ნაჩუქარი“ (ასერგასისი დღე. წიგნი II).

ჩემი ცხოვრების ძირითადი ნაწილი მასწავლებლობაში გამოტარებია და კარგად ვატყობ, რომ ჩვენი ხალხის დიდი ნაწილი ჩემი სტატიის იდეას ვერ გაითვალისწინებს და მის ავტორს შეიძლება ზოგიერთმა მათგანმა ძალლებთან მეომარი რაინდი უწოდოს, რითაც დიდ შეცდომას დაუშვებს, რადგან მე ძალლებთან მეომარი რაინდი კი არა იმ ძალლმადიდებლების წინააღმდეგ ამხედრებული მეამბოხე ვარ, რომელიც ცოცხალი თავით ვერ შეუგუვდება იმ მდგომარეობას, რომ კაცმა თავისი ზრუნვის №1 საგნად ადამიანების მაგივრად ძალლი აღიაროს.

კანარისის აზრი კარგად გამოხატავს მიზანთოროპის შეხედულებას ადამიანებზე და ცხოველებზე. მას არ უყვარს ადამიანი, რომე-

ლიც დოსტოევსკის შეხედულებით „მეამბოხედ იბადება“ და ბუხბუ-ხობს მაჭარივით მანამ, სანამ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი პოლიტიკურ კასტრაციას არ გაუკეთებენ და სულიერ მონად არ აქცევენ. ძალი კი მეამბოხედ არ იბადება. იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთგულად ემსახურება პატრონს. ერთგულება უდავოდ კარგია, სასახელოა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა, რომ ორად გაყოფილი წუთისოფელში, რომელშიც კეთილი და ბოროტი ერთმანეთის წინაშე დგანან და მორიგების არავითარი შანსი არ არსებობს, ვის მხარეზე დგას ძალიში და დამარცხებულების ფეტიში, სიკეთის თუ ბოროტების?! უფალო, ამის გარჩევის უნარი სახელმწიფოს მმართველებს მაინც რომ მისცე, მაშინ ისინი აღარ მოისურვებენ ადამიანის ძვლებზე კოლოსების შენებას და აღარც ლევ ტოლსტოის სიტყვებს ექნება გამართლება, რომლებითაც იგი გვატყობინებს: „მე ღრმად ვარ დარწმუნებული, და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მსოფლიოს შეშლილები მართავენ“.

ჩემს „ადამიანის და ძალის მეგობრობის აქსიოლოგიის“ ანოტაციაში (რომლის დაბეჭდვა გაზრდომა „რეზონანსმა“ მთელი წლის განმავლობაში ვერ შესძლო), ნათქვამია: რომ „არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება საპატიოდ ჩაითვალოს, რომ ამ გაძალებულ ქვეყანაში, რომელშიც მოსახლეობის 14% შიმშილობს, ვიღაცა ძალი თუ მამაძალლი 272 მილიონ დოლარს ძალის უტოვებს სამემკვიდრეოდ. ამით იგი დასცინის, ჩმორავს და ასაწყლებს, იმ ადამიანებს, რომელთა შრომის ნაყოფის მითვისებით იგი მილიონერი გამხდარა და ახლა ფეხებზე იკიდებს იმ გაძარცული ხალხის ბედს და იმ სიყვარულის გრძნობასაც, რომელიც არსთა განმრიგეს უბოძებია მისთვის ადამიანებთან მეგობრული თანაცხოვრების მიზნით.

ჩემი ბებერი ტვინი ვერ უგუვდება იმ მდგომარეობას, რომ კაცმა თავისი ზრუნვის ნომერ პირველ არსებად ძალი აღიაროს და ადამიანი უკანა რიგებში გადაისროლოს.

კოლხეთის საერო-სამეცნიერო საერთაშორისო
აკადემიის აკადემიკოსი ზელიმ ჩაკვეტაძე.
2-IX-2024

ეგილობი

„რაც უფრო ახლოა სრულყოფასთან არსი.
უკეთ გრძნობს ბოროტებას და სიკეთესაც“.
დანტე

Когда б я властен был над этим небом злым
я б сокрушил его и заменил другим,
чтоб не было преград стремлением блогородным
и человек мог жить тоскою не тамим

ომარ ხაიაში

მიხეილ ჯავახიშვილი წერს: „ამ ქვეყნიურო ცხოვრებავ, ნამდვილი ჯოჯოხეთი ხარ, მაგრამ იმ ქვეყანაში რომ ღმერთმა არჩევანის უფლება მოგცეს, აირჩიე რომელიც გინდა აქაური სამოთხე თუ იქაური ჯოჯოხეთიო, სუყველა შენსკენ გამოვი-ქცეოდით“-ო. საინტერესოა, – რატომ?! რატომ უნდა მიატო-ვოს ადამიანმა ნამდვილი სამოთხე, სადაც პოეტის ენით რომ ვთქათ: „წყდება კაცთ ოხვრა გულმოსაკლავი, სადაც იდუმალ მარადიულზე ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი“ და მიუ-ბრუნდეს ამ წუთისოფელს, სადაც, როგორც ილია ამბობს და ჩვენც აშკარად და ყოველდღიურად ვხედავთ და განვიცდით: „... წაწყმედა და ლალატია, სადაც ძმა ჰებარობს სისხლსა ძმისასა, სად შური, ზაკვა ძულებადა ჰედის წმინდა სიყვარულს მოყ-ვასისასა“. მოცემული არგუმენტები გვკარნახობენ, რომ ადა-მიანი დავინახოთ არა ფაშისტების და კომუნისტების თვალით, რომლებისთვისაც იგი წარმოადგენს საშუალებას მიზანთან მი-საღწევად, მაგრამ (მსოფლიოში არსებულ ყველა ენაზე „მაგრამ“ გამოხატავს გამოთქმული აზრის ლოგიკასთან წინააღმდეგობის გამოცხადებას) ისინი მნარედ ცდებიან და მათი ბებერი გონება ვერ ხვდება, ან არ სცნობს იმას, რომ ადამიანი მარტო მიწიერი და მიკროკოსმოსური კი არა მაკროკოსმოსური არსებაა, რო-მელმაც შექმნა კაცობრიული ცივილიზაცია და ღმერთებისა და ანგელოზების არმიებიც, ხოლო 1945 წლის 16 ივლისს დილის 5 საათზე 29 წუთსა 45 წამზე ამერიკელმა მეცნიერებმა პირველი ატომური ბომბი ააფეთქეს და როგორც ჰარარი გვატყობინებს

„ადამიანებს არა მხოლოდ ისტორიის მიმართულების შეცვლის, არამედ მისი დასრულების შესაძლებლობა გაუჩნდათ“. პარა-რის განცხადება მხოლოდ ნაწილობრივ გადმოგვცემს ატომის გახლებით მიღწეული ნარმატების მნიშვნელობას. აქ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ადამიანს გაუჩნდა შესაძლებლობა კოსმოსში გამგზავრებისა. მოცემული განაცხადის შემდეგ რამ-დენიმე წელინადში ადამიანი კოსმოსური ხომალდით კოსმოსში შეიჭრა. ხოლო 1969 წელში მთვარეზე შევიდა. გაიხსნა გზა კოსმოსის ათვისებისა. მას შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ნახევარ საუკუნეში თუ გავითვალისწინებთ ატომური ეპოქის შესაძლებლობებს, მეტი უნდა გაკეთებულიყო. კაცობრიობა, როგორც აკადემიკოსი ყიზილაშვილი წერს: „...ყოველწლიურად მხოლოდ შეიარაღებაზე 800-900 მილიარდ დოლარს ხარჯავს“ ეს თანხები რომ კოსმოსის შესწავლას მოხმარებოდა ადამიანი ამ დროში თავისუფლად იმოგზაურებდა მზის ოჯახის პლანეტებზე, მაგრამ ფული, რომლის გარეშე იესო ქრისტეს კუბოც არ გაკეთებულა. სახელმწიფოს ხელში კი არა კომერსანტის ხელშია და იგი იქამდე ძუნია, რომ კაპიტან ვერ გაგდებინა ხელიდან, თუ მისგან ხვალ თუმანს არ ელოდება. ხოლო კოსმოსი ხვალ და ზეგ ვერაფერს, ვერ მოგცემს მაგრამ იგი სხვა პერსპექტივებთან ერთად ეკონომიკურ ფაქტორსაც შეიცავს, რაც ადამიანმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს კომერსანტები, რომელთა ფეტიში ფულია, პერსპექტივას (მითუმეტეს შორეულს) არაფრად მიიჩნევენ.

რაც შეეხება პესიმისტების უიმედობას ძალები და მამა-ძალები დაანგრევენ დედამიწას ატომებითო, დასაჯერებელი არაა. მე ოპტიმისტურად მოაზროვნე კაცი ვარ და მჯერა რომ ადამიანმა, რომელმაც შესძლო ავტომური ბომბის დამზადება, იმასაც შესძლებს, რომ ძალებს და მამაძალებს მისი გამოყენების საშუალება არ მისცეს.

ადამიანი არ არის მარტოოდენ მიკროკოსმოსური არსება, რომ ღმერთის მიერ შემორაგულ ედემის ბალში დასტიო და იმას იქეთ გახედვის საშუალება არ მისცე. იგი, როგორც ზემოთ ითქვა მაკროკოსმოსური არსებაა და ისე ცდილობს კოსმოსის დაუფლებას, როგორც კომერსანტი ფულიანი ტომრისას. იგი

ყველაფერს შეძლებს და ყველაფერს გააკეთებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი თანაპლანეტელები კეთილისა და ბოროტის გარჩევას შესძლებენ და თავაშვებული თავისუფლების მაგივრად ზნეობის ჩარჩოებში ჩადგებიან და ჭიპების გამოჩენას ზნეობრივ პათოსად არ ჩათვლიან.

ტუტუცი კაცისთვის ზნეობრივი ჩარჩო შეზღუდვაა, ხოლო კარგი კაცისთვის იგი არავითარ შეზღუდვას და შებოჭვას არ წარმოადგენს. მისთვის ის ჩარჩო კოლექტივის ნაწყალობები საკარმიდამო მიწის ნაკვეთი კი არ არის, არამედ მთელი სამყაროა მთელი თავისი აქსესუარებით. და თუ მისი ინტელექტი ცალკეულ გალაქტიკებშიც ვერ ეტევა და სამყაროში არსებული ექვსი ძირითადი მიმართულებით მიისწრაფის უსასრულობისკენ, საზოგადოების მიერ დადგენილი ზნეობრივი ჩარჩოს სივიწროვეს არასდროს განიცდის.

რაც შეეხება მდგომარეობას, რომ ხალხი ვერ გვიგებს, ხალხი არ გვიჯერებს, ხალხი არ გაგვყვებაო, ამაზე წუწუნი ინტელიგენტუნების საქმეა და ინტელექტუალურ კაცს, იგი არ ეკადრება, თუ სოფლის შენება გინდა, ის ხალხი უნდა გამოიყენო, რომელიც გყავს. აბა მას ვინ გამოგიცვლის: პარიზი თუ სტამბოლი, ვენა თუ ბერლინი, ლონდონი თუ რომი. ვის რაში სჭირდება შენი „განათლებული“ ხალხი. თავისიც საკმარისი ჰყავს ყველას.

ძველ საქართველოში არსებობდა სასჯელის ფორმა, რომელსაც სოფლიდან გაძევებას (მოკვეთას) ეძახდნენ. ვაჟა-ფშაველას პოემის პერსონაჟი ალუდა ქეთელაური თემმა გააძევა სოფლიდან, დამკვიდრებული უარყოფითი ტრადიციის უარყოფის გამო. ასეთი სასჯელი აბსოლუტური უსამართლობა იყო. დამნაშავეს რომ სოფლიდან აძევებ, ვის უგზავნი შენს „ოხერს“ რაში სჭირდება?! თუ დასასჯელია, შენ უნდა დასაჯო, თუ უკეთურია შენ უნდა გააკეთილშობილო. აბა სხვას რაში ავალდებულებ შენს „ოხერს“ უპატრონოს. თუმცა ალუდა ოხერი კი არა პროგრესულად მოაზროვნე და რეგრესული და დრომოჭმული ტრადიციის უარყოფელი მეამბოხეა. მაგრამ გაუნათლებელი თემისგან ცუდ კაცად იყო შეფასებული.

ხალხის, როგორც ფიზიკური ისე ინტელექტუალური უნარი

და ზნეობა მთლიანად დამოკიდებულია აღზრდაზე და გარემო პირობებზეა, თუ ადამიანებს კარგად აღზრდიან და გარემო პირობებიც ნორმალური ექნებათ, მაშინ გვეყოლება კულტურული საზოგადოება. მაგრამ თუ მათ სწორ აღზრდას ვერ მისცემ და გარემო პირობებიც უხერო ექნებათ, მაშინ ისინი ჩამოყალიბდებიან ბრძოლების არმიებად, რომელთა გაკეთილშობილება უკიდურესად გაჭირდება.

ხალხს ბურუუაზიულ-ლიბერალური თავისუფლება კი არა, პირველ რიგში ზნეობრივი ჩარჩო სჭირდება. მეორე რიგში ზნეობრივი ნორმებიდან გამომდინარე იურიდიული კანონები.

ზნეობის ჩარჩოებში ჩამდგარი ადამიანების მიერ დაკანონებულ მთავრობებს საშუალება მიეცემათ გააუქმონ ისეთი ბარბაროსული და სამარცხვინო კანონი, როგორიც სიკვდილით დასჯა (მკითხველს ვთხოვ კიდევ ერთხელ გადაიკითხოს ჰიუგოს „კლოდ გე“ და მაქსიმალურად შეამციროს საპყრობილების და ძალისმიერი უწყებების რიცხვი. დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანის ჩასმა ზნეობრივ ჩარჩოში და ამ ჩარჩოდან გამომდინარე იურიდიული ნორმების მტკიცედ დაკანონება იქნება კაცობრიული კულტურის ნამდვილი ზემინი და გამარჯვება და ასრულდება ომარ ხაიამის ოცნებაა: Чтоб не было преград стремлениям благородным и человек мог жить тоскую не тамыим“.

ახალმა დრომ ერთ-ერთი ძნელად გადასაჭრელი პრობლემის წინაშე დააყენა ადამიანი. ეს პრობლემა მანქანისა და მუშის კორელაციის კომპრომისია.

ტექნიკურმა რევოლუციამ გამოიწვია მანქანური წარმოების განვითარება. XIX საუკუნეში მანქანები უკვე შეენაცვლენ მუშა ხელს. მანქანური ინდუსტრის დანერგვით აღარ გახდა საჭირო მუშახელის სიმრავლე და მწარმოებლებმა დაიწყეს მათი შემცირება. წარმოებიდან დათხოვილი მუშები „გაუნათლებელი“ ევროპის ქვეყნებში აწყობდნენ ამბოხებებს, ასე იყო ძველ რუსეთშიც. ხოლო ახალ რუსეთში, სანამ ბებერ სტალინს ბებერ პირში ბებერი სული ედგა, ამბოხებას ვერავინ ბედავდა.

თანამედროვე პირობებში მუშა ხელზე აღარ არის ისეთი დიდი მოთხოვნილება როგორიც ძველ დროში იყო. მწარმოებლები რობოტებს ასრულებინებდნენ მრავალგვარ სამუშაოებს. რობოტები კონკურენციას უწევენ მუშათა კლასს. მუშა და რობოტი ერთმანეთის პირისპირ დააყენა ახალმა ცხოვრებამ.

მთავრობები ახალმა მდგომარეობამ დილემის წინაშე დააყენა. მან ან უნდა დაამუხრუჭოს ტექნიკის განვითარება, ან უმუშევრობისათვის გასწიროს მუშა. მათ შორის კომპრომისი შეუძლებელია.

რადგან ყოველ მდგომარეობას თავისი გამოსავალი აქვს, შეუძლებელია, რომ ჩვენს პრობლემასაც არ ჰქონდეს იგი.

ეს პრობლემა არ აწუხებს არც მალთუსინელებს, რომლებიც სამარგელი სიმინდივით უპირებენ კაცობრიობას გამოჩალვას, არც ჯორჯიის შტატში სტელაზე გაკეთებული წარწერის ავტორებს, რომლებიც გვმოძღვრავენ, რომ „კაცობრიობის რაოდენობა ნახევარ მილიარდამდე უნდა შემცირდეს. ისინი ყველა მიკროორგანიზმები არიან და მათუსალასავით რომ იცოცხლონ, ზოგადკაცობრიულ პრობლემებზე ფიქრით თავს არასდროს შეიწუხებენ. კაცობრიულ პრობლემებზე ფიქრი მაკროორგანიზმების საქმეა, რომლის № პირველი საზრუნავი ადამიანია და ძალლთაპირი მიზანთროპების აზრებს ვერასდროს დაეთანხმებიან.

ამ პრობლემის შესახებ უნდა იმსჯელოს ყველამ, ვისაც მხრებზე მოაზროვნე თავი ადგას, ხოლო ვისაც ღმერთმა თავის მაგივრად გოგრა დაადგა, მისგან არაფერს მოველით და არც შევაწუხებთ.

ჩვენ ორივე არსის ქურუმები ვართ, მანქანისაც და ადამიანისაც. აქედან ჩვენი № პირველი საზრუნავი ადამიანია. რაც შეეხება მანქანას, ჩვენ მას ვაფასებთ იმის გამო, რომ იგი ამსუბუქებს ადამიანის ძალლურ ცხოვრებას. მაგრამ მენარმეთა მიერ წარმოებული დოვლათის განაწილების პრინციპის დარღვევამ მათ საშუალება მისცა, რომ მანქანური წარმოების მომგებიანობაზე დაყრდნობით მუშები ცარიელ-ტარიელები გაუშვას ქუჩებში. ამ შემთხვევაში მენარმე ხდება შეურიგებელი მტერი მუშისა. ამ მტრობის სუბსტანციას მანქანა წარმოადგენს. თუ

უარვყოფთ მანქანას, დაზარალდება მუშაც, მეწარმეც და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მომხმარებელიც. ჩვენთვის და მთელი საზოგადოებისთვისაც მომგებიანია მათი კონსოლიდაცია, რაც აუცილებლად უნდა მოვახერხოთ.

ორად გაყოფილ წუთისოფელში ადამიანებიც ორ არატოლ ნაწილად არიან გაყოფილი. ერთინ წარმოადგენენ მიკროკოსმოსურ არსებებს, – მეორენი – მაკროკოსმოსურს.

მიკროკოსმოსური მენარმე ჩვენი ლუარსაბივით ხელის გაშლილ მტევანს მსუბუქად დაირტყამს სტომაქზე და თუ დარწმუნდა რომ მეტის ჩატენა აღარ შეიძლება... ამოუშვებს ხვრინვას. მისი კაცობის ნომერ პირველი საზრუნავი სტომაქია და თუ იგი ძეხვივით არის გატენილი ხორაგით, მაშინ მისი ხორციც ცხონებულია და სულიც და სხვა რამეებზე ზრუნვით თავს აღარ იწუხებს.

მაკროკოსმოსური მენარმე მუდამ იმაზე ფიქრობს, რომ წარმოების საშუალებების გაუმჯობესებით გაუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი, გაზარდოს მისი რაოდენობა და წარმოებული პროდუქციის თვითლირებულების შემცირების ხარჯზე შეამციროს მისი საბაზო ღირებულებაც.

კაცთა შორის ის დიდი სხვაობა, რომელზეც ჩვენ საუბარი გვაქვს, ხალხს ძველ დროშიც შეუმჩნევია და უთქვამს:

„ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია, ზოგსა კიდევ კაცუნაო.

ზოგს დედაკაცს დედაკაცი, ზოგსაც დედაკაცუნაო“.

ის მდგომარეობა რომ კაცუნები და დედაკაცუნები ძალიან ხშირად სარგებლობენ იმ პატივით, რომელიც ხალხს მხოლოდ ნამდვილი კაცებისთვის და დედაკაცებისთვის ემეტება. იწვევს უკმაყოფილებას და გულისტკივილს ზოგჯერ ამბოხსაც.

გერმანელი პოეტი ჰაინრიხ ჰაინრიქ რამ უგრძვინია და განუცდია, ის ვეღარ გაურკვევია: თუ „...სახელს პატივს როგორ აღწევს ყველა ფლიდი და მზაკვარი?!“

ჰაინრის შემდეგ ორი საუკუნე გავიდა და ახლა მის მიერ დასმულ კითხვაზე ნებისმიერი ჭკვიანი კაცი სწავლული იქნება თუ უსწავლელი ასეთ პასუხს გაგცემს: – „ძალლობით და მამა-ძალლობით“-ო.

P.S სანამ ძალლები და მამაძალლები ძალლობით და მამა-
ძალლობით სახელს და პატივს პოულობენ ამ საწყალი ხალხის
საშველი არ გაჩნდება.

**კოლხეთის საერო-სამეცნიერო საერთაშორისო
აკადემიის აკადემიკოსი ზელიმ ჩავეტაძე
14-VII-2024 ნ.**

საჩქევი

პროლოგი	3
შემოქმედებითი შრომის აპოლოგია	10
ამა ქვეყნის უძლიერესნი და მათი მსახურები	15
ღმერთი და კოსმოსი, კაცი და ადამიანი	27
საკუთრებათა სტრუქტურა და სუბსტანცია	33
ღმერთისა და სატანას ურთიერთობის აქსიოლოგია	41
სიყვარული და სიძულვილი	49
მჯიჯგნელები და გაჯიჯგნილები	58
სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია, ბურჯები და პრინციპები	64
მეამბოხე კაცის იდეალი	69
მეამბოხის პრინციპი და კრიტერიუმი	74
იმპერიები და ეროვნული სახელმწიფოები	84
კაცობის ძირითადი ფაქტორები	97
ძალმადიდებლების ფეტიში	103
ეპილოგი	109



კოლეგიუმის მდგრადი ხედი
სამეცნიერო ხელობის მიზანის
არატექნიკური
სისტემის განვითარების